



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ ”

თავდაცვის, საზოგადოებრივი
წესრიგის და უსაფრთხოების
სფეროს აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ფ. შ. შ.

ფრიდონ შენგელია

„ 4 “ აპრილი 2013 წელი

ეგზ. N2

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში 0128/00

2011 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 30 სექტემბერი

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. შემოკლებები -----	3
2. ზოგადი საკითხები -----	3
3. დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ -----	4
4. უარყოფითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები ფინანსური ანგარიშგების შესახებ -----	6
5. დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ -----	10
6. უარყოფითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ -----	11
7. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები -----	90
8. სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2011 წლის ბალანსი დანართებით -----	97
9. სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2012 წლის 9 თვის ბალანსი დანართებით -----	108

შემოკლებები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - **სამინისტრო**;

შსს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტი - **დეპარტამენტი**;

შსს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო მთავარი სამმართველო - **სამმართველო**;

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-
ექსპერტიზის ეროვნული ბიურო;

მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მიერ დადგენილი სამშენებლო რესურსების ფასები -
საბაზრო ფასები;

მშენებლობის შემფასებელთა კავშირი - **მშკ**;

სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება -საქართველოს სასაზღვრო პოლიცია -
სასაზღვრო პოლიცია;

ავტოსატრანსპორტო საშუალება - **ა/მ**;

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - **შპს**;

ინდივიდუალური მეწარმე - **ი.მ.**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - **ეკონომიკის სამინისტრო**;

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი - **კუდ**;

განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი - **გდდ**;

ზოგადი საკითხები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სპეციალური, გასამხედროებულ დაწესებულებათა სისტემა, რომელიც კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან.

სამინისტროს დანაყოფების მატერიალურ-ტექნიკურ და ფინანსურ მომსახურებას, სხვა ფუნქციებთან ერთად 2012 წლის 27 ივლისამდე ახორციელებდა საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტი, რომელიც 27 ივლისიდან გაუქმდა და მის ფუნქციებს 14 ნოემბრამდე ასრულებდა სამინისტროს ადმინისტრაცია. 2012 წლის 14 ნოემბრიდან აღნიშნული ფუნქციების შესასრულებლად ჩამოყალიბდა საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტი.

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის N614 ბრძანებულებით დამტკიცებულია სამინისტროს დებულება, რომლის ძალითაც მისი ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფის, კერძოდ გენერალური ინსპექციის კომპეტენციაში სხვა მრავალ ფუნქციასთან ერთად შედის: „სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების მიერ მატერიალური და ფინანსური რესურსების

ხარჯვის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის შემოწმება; სამინისტროს სისტემაში ფინანსური, მათ შორის ოპერატიული ხარჯების შემოწმების ჩატარება“ და ა.შ.

აუდიტის პერიოდში, სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ამ კუთხით, მხოლოდ ოპერატიული ხარჯების კონტროლი ხორციელდებოდა.

ამასთან, მინისტრის 2007 წლის 10 ივლისის №953 ბრძანებით საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის, საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარ სამმართველოში შექმნილია სარევიზიო განყოფილება, რომელსაც დაეკისრა სამინისტროს საბალანსო ერთეულების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმების ჩატარება, ანუ პრაქტიკულად ასრულებდა შიდა აუდიტის ფუნქციას.

2012 წლის აგვისტოდან სარევიზიო განყოფილებას ეწოდა აუდიტის სამსახური.

აუდიტის პერიოდში, სარევიზიო განყოფილების მიერ შემოწმებულია რამდენიმე საბალანსო ერთეული. უშუალოდ სამინისტროს ცენტრალური აპარატის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი კი არ ჩატარებულა, თუმცა მინისტრის მიერ დამტკიცებული მონიტორინგისა და კონტროლის გეგმების და პროგრამების შესაბამისად, 2011 წლის მეორე ნახევარში ჩატარებულია საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარ სამმართველოს დაქვემდებარებაში არსებული 5 ქვედანაყოფის საქმიანობის აუდიტი. კერძოდ, შემოწმებულია: სასაწყობო და ტრანსპორტის განყოფილებები, შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოების ორგანიზებისა და ტექნიკური ზედამხედველობის, აგრეთვე შენობათა და მატერიალურ ფასეულობათა ექსპლუატაციის სამსახურები და შესყიდვების სამმართველო.

აღნიშნული აუდიტების შესახებ გაფორმებული ცნობების გაანალიზებით და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აუდიტის პერიოდში, სარევიზიო განყოფილება სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებული სამმართველოს შემადგენლობაში იყო, რაც ამცირებდა მის დამოუკიდებლობის ხარისხს. დადგინდა, რომ შიდა აუდიტის მიერ ჩატარებული შემოწმებების შედეგებს მიმდინარე აუდიტი ვერ დაეყრდნობოდა. აქედან გამომდინარე, ზემოხსენებული ქვედანაყოფების საქმიანობის აუდიტიც ჩვეულებრივ რეჟიმში ჩატარდა.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის (შემდგომში „სამინისტროს ცენტრალური აპარატი“) ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსებს 2011 წლის 31 დეკემბრის და 2012 წლის 30 სექტემბერის მდგომარეობით და მათთან დაკავშირებულ ანგარიშებს. თითოეული პერიოდის აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და

ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციის გაწეული ხარჯების შესახებ. 2011 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის ნორმების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

უარყოფითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ბალანსზე ირიცხება გასულ წლებში პრივატიზებული 347.9 ათასი ლარის ნარჩენი ღირებულების უძრავი ქონება, ხოლო საცნობარო მუხლში ასახულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან წლების წინ მხოლოდ რაოდენობრივად გადმოცემული შენობა-ნაგებობები.

2012 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბალანსზე ჯერ კიდევ ირიცხებოდა 2008-2009 წელს პრივატიზებული 347.9 ათასი ლარის ნარჩენი ღირებულების უძრავი ქონება. მაგალითად: დაბა წყნეთში მდებარე შენობა-ნაგებობები მათზე დამაგრებული მიწის ნაკვეთებით - ნარჩენი ღირებულება 188.8 ათასი ლარი; მცხეთის რაიონის სოფელ ნატახტარში მდებარე შენობა-ნაგებობები - ნარჩენი ღირებულება 74.3 ათასი ლარი და ა.შ.

აღნიშნული ქონების ნაწილი აუქციონის გზით საკუთრებაში გადაეცა სხვადასხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, ნაწილი კი საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საკუთრებაში გადაეცათ იძულებით გადაადგილებულ პირებს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბალანსზე რიცხული თითქმის არც ერთი შენობა-ნაგებობის საბალანსო ღირებულება არ შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას. ამის დასტურია ისიც, რომ საცნობარო მუხლში ირიცხება 45 ერთეული ამორტიზებული შენობა ნაგებობა, რომლებსაც რეალური ღირებულება ჯერ კიდევ გააჩნიათ, მაგრამ მათი ნარჩენი საბალანსო ღირებულება ნულის ტოლია.

გარდა ამისა, საცნობარო მუხლში ასახულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან წლების წინ მხოლოდ რაოდენობრივად გადმოცემული შენობა-ნაგებობები (გადმოცემის დოკუმენტში მითითებულია შენობის ფართი მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის ფართით), რომელთა რეალური ღირებულება არ არის დადგენილი და შესაბამისად არ არის შეტანილი სამინისტროს ბალანსის აქტივებში.

საბუღალტრო სამსახურში წარდგენილი ზოგიერთი დოკუმენტი არასრულყოფილია და ვერ აკმაყოფილებს მისთვის წაყენებულ მოთხოვნებს.

2011 წლის 29 ოქტომბერს „UAB Lukrecijos reklama“-სთან გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სარეკლამო მომსახურებაზე დაიდო ხელშეკრულება N892, საერთო ღირებულებით 48.0 ათასი ევრო. აღნიშნული შესყიდვის განხორციელების საჭიროების შესახებ (მოთხოვნა, პატაკი ან სხვა) შესყიდვების სამსახურმა ვერანაირი დოკუმენტი ვერ წარმოგვიდგინა. სამინისტროს საბუღალტრო სამსახურში წარმოდგენილია, მხოლოდ „UAB Lukrecijos reklama“-ს მიერ გამოწერილი

ინვოისი 48.0 ათას ევროზე, სადაც მისაწოდებელი მომსახურების გრაფაში მითითებულია სარეკლამო ვიდეოს გადაღება. ამ კომპანიისათვის 2011 წლის ნოემბერში გადახდილია შესაბამისი თანხა, კერძოდ 106.3 ათასი ლარი. არ არის წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც დაადასტურებდა აღნიშნული მომსახურების მიღების ფაქტს. აქედან გამომდინარე საბუღალტრო სამსახურს არ შეეძლო დაედგინა სამეურნეო ოპერაციის კანონიერება, მაგრამ გადახდილი თანხა მაინც პირდაპირ ხარჯად იქნა აღიარებული.

გარდა ამისა, აღნიშნული შესყიდვის განხორციელებისას დარღვეულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნები¹. კერძოდ: საბუღალტრო სამსახურის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით შეღავათის მისაღებად ფინანსთა სამინისტროსადმი წარდგენილი დოკუმენტები², მაგრამ ამ არარეზიდენტი საწარმოს მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული ეს შემოსავალი მოგების გადასახადით დაბეგრილი არ არის. ამ კუთხით გადასახდელმა თანხამ შეადგინა 11.8 ათასი ლარი³.

ასევე უკუდაბეგვრის წესით დღგ-თი არ არის დაბეგრილი ამ საწარმოს მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გაწეული მომსახურება. გადასახდელმა თანხამ შეადგინა 21.3 ათასი ლარი⁴.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ეს ხელშეკრულება ითვალისწინებდა სამინისტროსათვის ვიდეორგოლის სცენარის შექმნას, იმის შესახებ, რომ მძღოლებს აღარ ევალებათ მართვის მოწმობის ტარება. ამ საკითხის რეკლამირებაზე კი ასეთი დიდი ოდენობის თანხის გახარჯვა, აუდიტის ჯგუფის აზრით, საბიუჯეტო სახსრების არაეფექტური ხარჯვის მაგალითია.

ამასთან, ზემოხსენებული ხელშეკრულება გაფორმებულია ინგლისურ ენაზე და არ არის ნათარგმნი ქართულად, რითაც დარღვეულია „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ: „ხელშეკრულების უცხოურ ენაზე დადების შემთხვევაში, იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა ითარგმნოს ქართულ ენაზე“.

მსგავსი ფაქტიც რამდენიმეა.

მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდება აუდიტის პერიოდში სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯების შესახებ საბუღალტრო სამსახურში წარმოდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების უმრავლესობა. კერძოდ, ამ დოკუმენტებში (ჩეკი, მენიუ, ინვოისი, მიღება-ჩაბარების აქტი და სხვა) ძირითადად, მითითებულია

¹ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის მე-4 ნაწილის, 134-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ პუნქტის (2011 წელს მოქმედი რედაქციის მიხედვით) და 176-ე მუხლის მოთხოვნები.

² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 2 მარტის N145 ბრძანებით დამტკიცებული წესის (მოქმედებდა 2012 წლის 1 იანვრამდე) შესაბამისად.

³ $106.3/0.9 - 106.3 = 11.8$

⁴ $[106.3 + 11.8 (\text{დაურიცხავი გადასახადი})] * 18\% = 21.3$

მხოლოდ გაწეული ხარჯის ზოგადი არსი, მაგალითად: „სამინისტროს სტუმრების ვახშმით გამასპინძლება“, ისე, რომ არ არის დაკონკრეტებული სტუმრების ვინაობა, რაოდენობა, ვიზიტის მიზანი და ა.შ. აქედან გამომდინარე საბუღალტრო სამსახურს არ შეუძლია დაადგინოს სამეურნეო ოპერაციის კანონიერება და ცალკეული მაჩვენებლების ლოგიკური შესაბამისობა, რაც რეალურად უშლით ხელს მათზე დაკისრებული მოვალეობების სრულყოფილად შესრულებაში და მნიშვნელოვანი რისკების მატარებელია⁵. აღნიშნული დოკუმენტები და შესაბამისი მოხსენებითი ბარათი სამმართველოს უფროსის რეზოლუციით წარმოდგენილია გადარიცხვის საფუძველად.

სამინისტროს ბალანსზე ირიცხება საექვო დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები

აუდიტის პერიოდში სამინისტროს ბალანსზე რიცხული დებიტორული დავალიანება 32,086.0 ათასი ლარიდან 25,263.7 ათას ლარამდე შემცირდა.

დებიტორული დავალიანების სტრუქტურა წარმოდგენილია ცხრილის სახით:

მოთხოვნები	01.01.2011	01.01.2012	01.10.2012
მოთხოვნები მივლინებით	143,660	151,090	65,925
მოთხოვნები დანაკლისებით	4,640,474	4,623,208	4,060,553
ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები	8,468,240	18,255,586	9,178,172
მოთხოვნები სხვა წინასწარი გადახდებით	18,833,614	16,978,292	11,959,057
სულ:	32,085,988	40,008,176	25,263,707

მთლიანი დებიტორული დავალიანების 47,3% ირიცხება სხვადასხვა მომწოდებელზე, მათ შორის 24 მომწოდებელზე რიცხული 5,034.2 ათასი ლარის დავალიანება წარმოშობილია 2002-2010 წლებში და საკმაოდ ხანდაზმულია.

აქედან ძირითადი ნაწილი (4,397.9 ათასი ლარი) მოდის უცხოურ კომპანიებზე, რომელიც წარმოშობილია 2007-2009 წლებში. აღნიშნულ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შეიარაღების, სპეცტექნიკისა და მისი გამოყენების სწავლების მოწოდება (ტესტირება). ზოგ შემთხვევაში საბუღალტრო სამსახურში მომწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების დოკუმენტაცია წარმოდგენილია მხოლოდ სპეცტექნიკის ნაწილში, ხოლო მათი ტესტირების/სწავლების მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, გარდა

5. „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტების მიხედვით: პირველად დოკუმენტებში აღინიშნება „6.....სხვა მონაცემები, რომლებიც გამომდინარეობს მოვლენის შინაარსიდან და მონაცემების დამუშავების ტექნოლოგიის თავისებურებებიდან“ და „8. ბუღალტერიაში შემოსული პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები ექვემდებარება აუცილებელ შემოწმებას როგორც ფორმის (დოკუმენტის სისრულე და გაფორმების სისწორე, რეკვიზიტების შევსება) და შინაარსის მიხედვით (სამეურნეო ოპერაციის კანონიერება, ცალკეული მაჩვენებლების ლოგიკური შესაბამისობა), ასევე, არითმეტიკულად“.

შესაბამისი პასუხისმგებელი პირის წერილისა, არ არის წარმოდგენილი. ამასთან, რიგ შემთხვევებში საქონელი მოწოდებულია, მაგრამ შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოდგენილია ხარვეზებით და მოითხოვს დაზუსტებას. ასეთი მიზეზების გამო კი ფინანსურ ანგარიშგებაში მილიონობით ლარის დებიტორულ დავალიანებად ასახვა გაუმართლებელია.

ამრიგად, ბალანსში დებიტორულ დავალიანებად ასახული 4 მილიონ ლარზე მეტი აქტივის არსებობა საეჭვოა და დასაზუსტებელია მისი რეალური ოდენობა.

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დანაკლისების ანგარიშზე ირიცხებოდა 4,623 ათასი ლარის მატერიალური ფასეულობები. მათ შორის 4,097 ათასი ლარის დანაკლისი წარმოადგენს 2008 წლის მოვლენების დროს ქონების განადგურებისა და დაკარგვის შედეგს. აქედან გენერალური ინსპექციის დასკვნის შესაბამისად 563 ათასი ლარის დანაკლისი ჩამოწერილია 2012 წლის 7 ივნისს (მინისტრის ბრძანება N393).

2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად დაკარგული და განადგურებული ქონების ბალანსის აქტივის მხარეს ასახვაც არასწორია და იწვევს ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანების ნაშთის ზედმეტად წარმოდგენას.

2012 წლის 1 ოქტომბრისათვის მოთხოვნებმა ანგარიშვალდებული პირების მიმართ შეადგინა 9,178.2 ათასი ლარი. (საკითხი განხილულია აქტის საიდუმლო ნაწილში).

2012 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით კრედიტორული დავალიანება შეადგენდა 11,356.7 ათას ლარს. მთლიანი დავალიანების 22% ირიცხება სხვადასხვა მომწოდებლებზე და შეადგინა 2,459.2 ათასი ლარი. აქედან 1,245.1 ათასი ლარის დავალიანების არსებობა საეჭვოა. (ეს საკითხიც განხილულია აქტის საიდუმლო ნაწილში).

სამინისტროს ცენტრალურ აპარატზე რიცხული კრედიტორული დავალიანების უდიდესი ნაწილი (54.3%), კერძოდ 7,557.9 ათასი ლარი სახელფასო დავალიანებაა და 1998-2004 წლებიდან მომდინარეობს.

მიუხედავად იმისა, რომ 2009 წლის 27 ივლისის შს მინისტრის N950 ბრძანების საფუძველზე შექმნილი დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების შემსწავლელი კომისიის მიერ 2000-2005 წლამდე წარმოქმნილი დავალიანებების ხანდაზმულობის, რეალობის, ამოღების ალბათობისა და ჩამოსაწერი დავალიანებების განსაზღვრის მიზნით გატარებულია გარკვეული ღონისძიებები - მაგრამ ეს ღონისძიებები არასაკმარისია. არ ჩატარებულა მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია, არ გაფორმებულა ურთიერთშედარების აქტები⁶ და ა. შ. შედეგად, 2012 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით სამინისტროს ბალანსზე კვლავ თანხობრივად არსებითი ოდენობის ხანდაზმული და საკმაოდ არარეალური დავალიანებები ირიცხება, რაც ქმედითი ზომების გატარებას საჭიროებს.

⁶საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის #70 ბრძანებულების მე-14 მუხლის და მე-15 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები. ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 23 ივლისის #605 ბრძანება.

საშემოსავლო გადასახადი არ არის დარიცხული და გადახდილი

აუდიტის პერიოდში სამინისტრო ცალკეული თანამშრომლებისთვის ახორციელებდა საცხოვრებელი ბინების დაქირავებას, რაზედაც გაწეულია ჯამში 264.2 ათასი ლარის საკასო ხარჯი.

აღნიშნული ხარჯების გაწევის დროს გათვალისწინებული არ არის კანონმდებლობის მოთხოვნა⁷, რომლის მიხედვითაც დაქირავებულის მიერ დაქირავებულისთვის მომსახურების მიწოდებისას (ასევე საცხოვრებლის სარგებლობაში გადაცემისას) საიჯარო ქირის წლიური საბაზრო ღირებულება განეკუთვნება ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებს და იბეგრება საშემოსავლო გადასახადით, რაც არც სამინისტროს და არც საცხოვრებლით მოსარგებლეს არ განუხორციელებია.

უარყოფითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

უარყოფითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხები არსებით გავლენას ახდენს წარმოდგენილ ფინანსური ანგარიშგებაზე. ამიტომ იგი სამართლიანად ვერ ასახავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის ფინანსურ მდგომარეობას 2011 წლის 31 დეკემბრის და 2012 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა მოცემული თარიღებით.

დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მისი სამართლიანად წარდგენის პასუხისმგებლობის გარდა, რომელიც აღწერილია ზემოთ, „სამინისტროს“ ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის, ფინანსური ოპერაციების და იმ ინფორმაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობა რომელიც ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

⁷ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 80-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, მე-100 მუხლის მე-3 ნაწილის და 101-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ პუნქტების მოთხოვნები.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

გარდა ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის პასუხისმგებლობისა, რომელიც აღწერილია ზემოთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა სამინისტროს საქმიანობა, ფინანსური ოპერაციები და სხვა ინფორმაცია, რომელიც ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

უარყოფითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

საბიუჯეტო ასიგნებების დაგეგმვასა და გადანაწილებაში დაშვებული კანონდარღვევები

სამინისტრომ 2010 წლის 30 აგვისტოს წარდგენილი საბიუჯეტო განაცხადით მოითხოვა 28,803 სამტატო ერთეული და 598,138.3 ათასი ლარის ასიგნებები.

2011-2014 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მიხედვით 2011 წლისათვის სამინისტროში დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრული მოცულობა განსაზღვრულია 28,532 ერთეულით, ხოლო ასიგნებების ზღვრული მოცულობა 566.0 მლნ. ლარით.

სამინისტროს მიერ 2010 წლის 24 ნოემბერს წარდგენილ კორექტირებულ საბიუჯეტო განაცხადში სწორედ ეს პარამეტრებია დაფიქსირებული, რაც უცვლელად დამტკიცდა „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით (ორგანიზაციული კოდი - 30 00).

ზემოხსენებულ კანონში 2011 წლის 29 ნოემბერს შეტანილი ცვლილებებით სამინისტროსათვის დამტკიცებული ასიგნებანი დონორების დაფინანსების ხარჯზე გაიზარდა 2,238.7 ათასი ლარით (სასაზღვრო პოლიციისათვის), რის შედეგადაც საბოლოოდ დამტკიცებულმა ბიუჯეტმა შეადგინა **568,238.7** ათასი ლარი. აქედან, **549,118.0** ათასი ლარი (96.7%) გათვალისწინებული იყო სამინისტროს ორგანოების და სასაზღვრო პოლიციის (ორგანიზაციული კოდი - 30 01), დანარჩენი **19,120.7** ათასი ლარი კი სამინისტროს სისტემაში შემავალი 5 სსიპ-ის დასაფინანსებლად.

ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის წერილში მითითებული ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობების შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შემდეგში

„სამინისტრო“) 2011 წლის 31 აგვისტოს წარდგენილი 2012-2015 წლების საბიუჯეტო განაცხადით 2012 წლისათვის მოითხოვა 28,532 საშტატო ერთეული და 576.0 მლნ. ლარის ასიგნებები. ამასთან, განაცხადში მითითებული იყო, რომ სამინისტროს ზღვრული მოცულობების ზევით ესაჭიროებოდა 37,806.1 ათასი ლარის დაფინანსება.

2012-2015 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მიხედვით 2012 წლისათვის სამინისტროში დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრული მოცულობა განსაზღვრულია 28,533 ერთეულით, ხოლო ასიგნებების ზღვრული მოცულობა 585.2 მლნ. ლარით.

სამინისტრომ 2011 წლის 26 ნოემბერს წარდგენილი კორექტირებული საბიუჯეტო განაცხადით ეს დაფინანსება მოითხოვა, რაც უცვლელად დამტკიცდა „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით (ორგანიზაციული კოდი - 30 00).

ზემოხსენებულ კანონში 2012 წლის 25 ივლისს შეტანილი ცვლილებებით სამინისტროსათვის დამტკიცებული ასიგნებანი 150.0 ათასი ლარით შემცირდა, ხოლო 2012 წლის 17 დეკემბერს -2,840.2 ათასი ლარით (2713.5+126.7) გაიზარდა, რის შედეგადაც საბოლოოდ დამტკიცებულმა ბიუჯეტმა შეადგინა **587,890.2** ათასი ლარი, საიდანაც **2,713.5** ათასი ლარი გრანტით დაფინანსებაზე მოდის. აქედან, **567,585.8** ათასი ლარი (96.5%) გათვალისწინებული იყო საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო საზღვრის დაცვის (პროგრამული კოდი - 30 01) ღონისძიებების, ხოლო დანარჩენი **20,304.4** ათასი ლარი სისტემაში შემავალი 5 სსიპ-ის მიერ განსახორციელებელი პროგრამების დასაფინანსებლად.

ამრიგად, საბიუჯეტო კანონებით სამინისტროს ორგანოების და სასაზღვრო პოლიციის დასაფინანსებლად გამოყოფილი ასიგნებები გაწერილი იყო ერთი ორგანიზაციული კოდით და მისი დანაწილება სტრუქტურულ ერთეულებს შორის განხორციელდა შესაბამისი ბრძანებებით. კერძოდ: სამინისტროს 2011 წლის 4 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცდა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, სასაზღვრო პოლიციისა და სისტემაში შემავალი სსიპ-ების 2011 წლების ბიუჯეტები. ხოლო, 2011 წლის 22 დეკემბრის N1040 ბრძანებით სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა, ტერიტორიულ ორგანოებსა და სასაზღვრო პოლიციას შორის გადანაწილდა 2012 წლის საბიუჯეტო კანონით გამოყოფილი ასიგნებები.

აღნიშნული ბრძანებებით, უშუალოდ ცენტრალურ აპარატს 2011 წლისათვის დაუმტკიცდა 171.789.0 ათასი ლარის, 2012 წლისათვის კი 169,172.3 ათასი ლარის ასიგნებანი.

ბიუჯეტის დაგეგმვისა და საბიუჯეტო ასიგნებების გადანაწილების საკითხის შესწავლით გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზები და ნაკლოვანებები.

კერძოდ, სამინისტროს ცენტრალური აპარატისათვის იგეგმებოდა საჭიროზე მეტი ასიგნებები, რის გამოც წლის განმავლობაში რამდენჯერმე განხორციელდა ზემოხსენებული ბრძანებებით დამტკიცებული პარამეტრების კორექტირება. შედეგად, ცენტრალური აპარატის ასიგნებები 2011 წელს 36,055.3 ათასი ლარით, ანუ 21%-ით შემცირდა და 135,733.7 ათასი ლარი შეადგინა.

აღნიშნული 36,055.3 ათასი ლარიდან 16,551.8 ათასი ლარის კლება შრომის ანაზღაურების მუხლზე მოდის. ამ მუხლით ცენტრალური აპარატის დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 36,669.1 ათასი ლარი, გადანაწილებების შედეგად კი აღნიშნული თანხა 20,117.3 ათას ლარამდე, ანუ 45.1%-ით შემცირდა. ეს თანხა კი სრულიად საკმარისი იყო ამ მუხლის დასაფინანსებლად (საკასო ხარჯი- 20,117.3 ათასი ლარი). მსგავსი სიტუაციაა 2012 წლისთვისაც, კერძოდ, ამ მუხლით დაგეგმილი - 36,880.8 ათასი ლარი გადანაწილებების შედეგად 20,465.2 ათას ლარამდე, ანუ 41.8%-ით შემცირდა, რაც წლების მანძილზე დამკვიდრებული არასწორი პრაქტიკის შედეგია.

გასული წლების ანალოგიური მონაცემების გაანალიზებით დადგინდა, რომ წლების მანძილზე ბიუჯეტის დაგეგმვისადმი ასეთი არასწორი მიდგომა იყო დამკვიდრებული. მაგალითად, 2010 წელს ამ მუხლით გათვალისწინებული იყო 68,466.7 ათასი ლარის ასიგნებები, რომელიც წლის მანძილზე 20,027.5 ათას ლარამდე შემცირდა (70.7%-ით).

წარმოდგენილი ინფორმაციით, 2008-2011 წლებში სამინისტროში 1500 დან 2000 საშტატო ერთეულამდე მუდმივად იყო ვაკანტური, რაც დაგეგმვისას არც ერთხელ გათვალისწინებული არ ყოფილა. შედეგად, ამ პერიოდში ცენტრალური აპარატის მიერ შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული საკასო ხარჯები 19 მილიონიდან 21.2 მილიონ ლარამდე მერყეობდა. ასეთ პირობებში კი ყოველწლიურად ამ მუხლით 30 მილიონ ლარზე მეტის დაგეგმვა არაგონივრულია.

თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა არაფინანსური აქტივების მუხლით ასიგნებების დაგეგმვის თვალსაზრისითაც.

არასათანადო დაგეგმვის მაგალითია ის გარემოებაც, რომ სამინისტროში სახელმწიფო შესყიდვების დამტკიცებული გეგმები არასრულყოფილია. კერძოდ, სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად გათვალისწინებული ასიგნებებიდან მხოლოდ ნაწილი არის გაწერილი კონკრეტული საქონლის ან მომსახურების შესაძენად, ანუ წლის მანძილზე განსახორციელებელი შესყიდვები სრულად არ იყო დაგეგმილი. შედეგად, სამინისტროს უჩნდებოდა თავისუფალი სახსრები, რომელსაც წლის მანძილზე იყენებდა, ან წლის დასაწყისში დაუგეგმავი შესყიდვების განსახორციელებლად, ან სხვა საბალანსო ერთეულების დასაფინანსებლად.

კერძოდ, 2011 წლის სახელმწიფო შესყიდვების დამტკიცებული გეგმა, რომელიც ჯამში 66.3 მლნ. ლარის ღირებულების შესყიდვების განხორციელებას ითვალისწინებდა, წლის მანძილზე 14-ჯერ შეიცვალა, ჯამში 34.5 მლნ. ლარით, ანუ 52%-ით გაიზარდა და 100.8 მლნ. ლარი შეადგინა. ანალოგიურადა, 2012 წლის სახელმწიფო შესყიდვების დამტკიცებული გეგმა, წლის მანძილზე 15-ჯერ შეიცვალა, ჯამში 26.4 მლნ. ლარით, ანუ 28.2%-ით გაიზარდა და 93.5 მლნ. ლარიდან 119.9 მლნ. ლარს მიაღწია. აუდიტით კი დადგინდა, რომ წინასწარ დაუგეგმავი შესყიდვები გაცილებით მეტი დარღვევა-ნაკლოვანებით ხორციელდებოდა, ვიდრე დაგეგმილი. (სახელმწიფო შესყიდვების საკითხი განხილულია ქვემოთ).

არასწორი დაგეგმვის მაგალითია აგრეთვე ხშირი შიდა კვარტალური გადანაწილებები, რაც ძირითადად ხორციელდებოდა კვარტლების ბოლო დღეებში და აუთვისებელი ასიგნებები გადაჰქონდათ მომავალი კვარტლისათვის. თუმცა, გაცილებით არალოგიკურია 2012 წლის 7; 10; 23

და 31 აგვისტოს სამინისტროს ცენტრალური აპარატის მეოთხე კვარტალში გათვალისწინებული ასიგნებებიდან 9.7 მლნ. ლარის გადმოტანა მესამე კვარტალში. აგრეთვე, ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლების პროგრამისათვის მეოთხე კვარტალში გათვალისწინებული ასიგნებებიდან - 630.0 ათასი ლარის გადმოტანა მესამე კვარტალში.

გარდა ამისა, სამინისტროს ცენტრალური აპარატისათვის დამტკიცებული ასიგნებებიდან სისტემაში შემავალი სსიპ-ებისათვის სხვადასხვა ოდენობის თანხებია გადანაწილებული, რაც ჭარბი საბიუჯეტო ასიგნებების არსებობაზე მიუთითებს.

მაგალითად, სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას“ საბიუჯეტო კანონით დაუმტკიცდა 4,360.0 ათასი ლარის ასიგნებები, სამინისტრომ კი წლის მანძილზე დაფინანსება 1,224.7 ათასი ლარით, ანუ 28,1%-ით გაუზარდა. აქედან, 200.6 ათასი ლარი სატელევიზიო რეალითი შოუს ორგანიზებისათვის საჭირო ხარჯების, 470.1 7 ათასი ლარი კი საკალათბურთო კლუბის შსს „აკადემია“-ს დასაფინანსებლად იქნა გამოყოფილი.

კიდევ უფრო დაუსაბუთებელი გადანაწილებებია განხორციელებული სამინისტროს ცენტრალური აპარატისათვის დამტკიცებული ასიგნებებიდან, სხვადასხვა პროგრამების დასაფინანსებლად 2012 წელს.

მაგალითად, 21 თებერვალს სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტის“ თხოვნით პროგრამებს შორის განხორციელებულია ასიგნებების გადანაწილება (ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N133). კერძოდ, სამინისტროს ცენტრალური აპარატისათვის დამტკიცებული ასიგნებებიდან ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლების პროგრამისათვის (პროგრამული კოდი 30 02) გადანაწილებულია 500.0 ათასი ლარი, რომელსაც სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტი“ ითხოვდა სამეთვალყურეო კამერებისა და ჩამწერების შესაძენად.

ანალოგიურად, 2012 წლის 20 მარტს და 10 აპრილს 1.2 მლნ ლარია (700.0 ათასი და 500.0 ათასი ლარი) გადანაწილებული სატრანსპორტო საშუალებების (ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცვლილების ცნობები N268 და N379), ხოლო 21 მაისს 500.0 ათასი ლარი დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის კაპიტალური რემონტის, საოფისე ავეჯისა და ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების შესაძენად (ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N533).

2012 წლის 5 და 25 ივნისს კი უკვე 1,700.0 ათასი ლარია (1.0 მლნ და 700.0 ათასი) გადანაწილებული უნიფორმის და სპეცტექნიკის შესაძენად (ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობები N598 და N732), 25 დეკემბერს კი 215.0 ათასი ლარი, ძირითადად საახალწლო პრემიების გასაცემად.

ჯამში, წლის მანძილზე სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტის“ საბიუჯეტო ასიგნებები 11,948.2 ათასი ლარიდან 34,4%-ით ანუ 4,115.0 ათასი ლარით გაიზარდა და 16,063.2 ათასი ლარი შეადგინა, რაც არასწორი დაგეგმვის ნათელი მაგალითია.

დასაფიქსირებელია ის გარემოება, რომ აღნიშნულ დეპარტამენტს ამავე პერიოდში სამინისტროსაგან მიღებული აქვს 1,771.3 ათასი ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივებიც.

გარდა აღნიშნულისა, 2012 წლის დაწყებისთანავე, კერძოდ 6 იანვარს, სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას“ მისივე N17793 წერილის საფუძველზე სამინისტროს ცენტრალური აპარატისათვის დამტკიცებული ასიგნებებიდან სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება-გადამზადებისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობის (პროგრამული კოდი 30 03) პროგრამისათვის გადაუნაწილდა 51.7 ათასი ლარი, რომელიც სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას“ ესაჭიროებოდა საკალათბურთო კლუბის შსს „აკადემია“-ს დასაფინანსებლად. ამავე მიზნით, 2012 წლის 20 ივნისს 380.0 ათასი ლარია (ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N757) გადანაწილებული.

როგორც უკვე აღინიშნა, ამავე საჭიროებისათვის გასულ 2011 წელსაც ხშირად ხდებოდა ანალოგიური გადანაწილებები და თუ ასეთი ხარჯის გაწევა აუცილებელი იყო, იგი საბიუჯეტო კანონით უნდა დამტკიცებულიყო.

როგორც შრომის ანაზღაურების, ისე სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვაში არსებული ხარვეზების შედეგად სამინისტროს უზნდებოდა თავისუფალი სახსრები, რომელსაც წლის მანძილზე იყენებდა, ან წლის დასაწყისში დაუგეგმავი შესყიდვების განსახორციელებლად, ან სხვა საბალანსო ერთეულების დასაფინანსებლად. ამასთან, დაუგეგმავი ხარჯების გაწევა ძირითადად ხდებოდა გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, რის შედეგადაც შესყიდვა ხორციელდებოდა ტენდერის გარეშე, რაც გამორიცხავს კონკურენციას და შესაბამისად მნიშვნელოვანი რისკის მატარებელია.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ წლების მანძილზე სამინისტროს აპარატს შტატით მომუშავეთათვის სახელფასო დავალიანების სახით ერიცხება 7,557.9 ათას ლარის კრედიტორული დავალიანება, რომელიც მომდინარეობს 1998-2004 წლებიდან. საბიუჯეტო განაცხადის წარდგენის დროს კი არ მომხდარა აღნიშნული დავალიანებების დასაფარავად ასიგნებების გათვალისწინება ვალდებულებების კლების მუხლში, რაც არასწორია.

მიმდინარე აუდიტით დარღვევა-ნაკლოვანებები გამოვლინდა სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის თითქმის ყველა სფეროში. მათგან მნიშვნელოვანია შემდეგი:

რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯების ქვემოთხსენიებული აუდიტის პერიოდში სამინისტროს მიერ გაწეულია 5,669.5 ათასი ლარის საკასო ხარჯი, საიდანაც 5,168.3 ათასი ლარი უნიფორმის შესყიდვაზე მოდის.

საკითხის შესწავლით დადგინდა, რომ ამ მიზნით ხშირ შემთხვევაში ხდებოდა საბიუჯეტო სახსრების დაუგეგმავი, არარეგულირებული და არაეკონომიური ხარჯვა.

მაგალითად, წარმოდგენილი ინფორმაციით, 2011 წლისათვის უნიფორმის შეძენა გათვალისწინებული იყო მესამე-მეოთხე კვარტლებში, მაგრამ პოლიციის დღის აღსანიშნავი ალღუმისათვის სამინისტროს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა სასწრაფო წესით აპრილ-მაისში განეხორციელებინა გარკვეული რაოდენობის უნიფორმისა და აქსესუარების შესყიდვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2011 წლის 20 აპრილს გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, გამარტივებული შესყიდვის გზით შპს „მილერი და კომპანიასთან“ გაფორმებულია ხელშეკრულება N371, სახელშეკრულებო ღირებულებით - 560.0 ათასი ლარი.

ხელშეკრულება ითვალისწინებდა უნიფორმის ორი ათასი კომპლექტის („კოსტუმი შარვლით“), აგრეთვე ორ-ორი ათასი ცალი ქუდის, პერანგის და ჰალსტუხის მიწოდებას. აქედან 500-500 უნდა მიწოდებულიყო 4 მაისამდე, დანარჩენი კი 24 მაისის ჩათვლით, თუმცა ამ ვადამ 23 მაისს გაფორმებული შეთანხმების ოქმი N1-ის მიხედვით 1 ივლისამდე გადაიწია.

აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების და შესრულების მდგომარეობის შესწავლით გამოვლინდა მნიშვნელოვანი დარღვევა-ნაკლოვანებები. კერძოდ:

1. არასწორია გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით ამ შესყიდვის განხორციელება, რადგან 6 მაისის აღსანიშნავ აღლუმთან დაკავშირებული შესყიდვები სამინისტროს წინასწარ უნდა დაეგეგმა და ტენდერის საშუალებით განხორციელებინა.
2. თუ შესყიდვა დაკავშირებული იყო აღლუმთან, მაშინ უნიფორმის მიწოდების ვადა 6 მაისამდე უნდა განსაზღვრულიყო. მისაწოდებელი საქონლის უდიდესი ნაწილის ($\frac{3}{4}$ -ის), ანუ 420.0 ათასი ლარის ღირებულების უნიფორმის მიწოდების ვადად 24 მაისის განსაზღვრა, თანაც ამ ვადის მნიშვნელოვნად გაზრდა, მიუთითებს იმაზე, რომ არავითარი გადაუდებელი აუცილებლობა, თუნდაც ამ ნაწილის სასწრაფოდ შესყიდვისა არ არსებობდა. ამრიგად, სამინისტრომ დაარღვია „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა, იმის შესახებ, რომ სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით, თუ: არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა;“ თუმცა „ასეთ შემთხვევაში შესასყიდი საქონლის რაოდენობა, სამუშაოს ან მომსახურების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო შესაბამის ვადებს“.
3. როგორც აღინიშნა, საქონლის დიდი ნაწილის მოწოდების ვადა 23 მაისს გაფორმებული შეთანხმების ოქმი N1-ის საფუძველზე, 24 მაისიდან 1 ივლისამდე გადაიწია, რაზედაც მიმწოდებლისაგან არ არის წარმოდგენილი შესაბამისი არგუმენტაცია. ვინაიდან, სამინისტრო დაინტერესებული იყო ამ შესყიდვის სასწრაფო წესით განხორციელებით, მისთვის მიწოდების ვადის გადაწევა ხელშეკრულების პირობები გაუარესებაა, რაც მოქმედი კანონმდებლობით დაუშვებელია. ამით, დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-5 მუხლის მოთხოვნა, რომლის ძალითაც „მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა“. იმ შემთხვევაში, თუ სამინისტრო მიმწოდებელს ვადას არ გადაუწევდა, იგი უფლებამოსილი იყო მისთვის საურავის სახით 20.4 ათასი ლარის გადახდა დაეკისრებინა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ და რაც სამინისტრომ არ განახორციელა.

4. სამინისტრომ მიმწოდებელს საუკეთესო პირობები შეუქმნა ანგარიშსწორების თვალსაზრისითაც. კერძოდ, მას ხელშეკრულების გაფორმებისთანავე მთლიანად გადაერიცხა 560.0 ათასი ლარი, რაზედაც წარმოდგენილი იყო საბანკო გარანტია. აღნიშნული გარანტია მოქმედებდა 25 ივნისის ჩათვლით და მიუხედავად უნიფორმის მიწოდების ვადის 1 ივლისამდე გადაწევისა, ამ ვადის გაგრძელება, ან ახალი გარანტიის წარმოდგენა არ მომხდარა.
5. ხელშეკრულებაში მითითებული იყო, რომ მისაწოდებელი ქუდები უნდა ყოფილიყო ბამბა-პოლიესტერის, სხვა პროდუქცია კი ვისკოზა - პოლიესტერის ქსოვილისაგან შეკერილი, თუმცა არ არის დაფიქსირებული მათი პროცენტული შემცველობა, მაშინ როდესაც ქსოვილის ღირებულებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მისი შემადგენლობა და ეს საკითხი მიმწოდებლის ნებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. ამასთან, პროდუქციის მიღება-ჩაბარება ისე განხორციელდა, რომ არ იქნა წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნა ქსოვილის შემადგენლობის შესახებ.

გარდა ამისა, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, 2012 წლის 13 აგვისტოდან 11 სექტემბრის ჩათვლით 4 საწარმოსთან გაფორმებულია 6 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით 1,681.6 ათასი ლარი.

აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველად წარმოდგენილია მხოლოდ მინისტრის 2012 წლის 9 აგვისტოს N660 ბრძანება, რომლის ძალითაც უზნის ინსპექტორთა ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის შეცვლასთან დაკავშირებით საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარ სამმართველოს დაევალა ახალი ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის შემუშავება, დამზადება და შეძენა, რისთვისაც უნდა განეხორციელებინათ გამარტივებული შესყიდვა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საბიუჯეტო განაცხადების მიხედვით უზნის ინსპექტორის სამტატო გეგმური ოდენობა 5000 ერთეულს არ აღემატება, ზემოხსენებული ხელშეკრულებებით კი გაცილებით დიდი ოდენობის ფორმის ტანსაცმელი და აქსესუარებია შეძენილი. მაგალითად: 2012 წლის 31 აგვისტოს შპს „დემეტრე 96“-თან გაფორმებულია N788 ხელშეკრულება 10-10 ათასი ცალი პერანგის და მაისურის შესყიდვაზე. აღნიშნული პროდუქციიდან 2013 წლის 1 აპრილის მდგომარეობით გაცემული იყო მხოლოდ 2798 ცალი (28%) პერანგი და 248 (2,5%) მაისური და ნაშთად ირიცხებოდა - 7202 პერანგი და 9752 მაისური, საერთო ღირებულებით 179.5 ათასი ლარი.

14 აგვისტოს შპს „ელსელემასთან“ გაფორმებულია N718 ხელშეკრულება 10-10 ათასი შარვლისა და შევრონის (ჟეტონის) შესყიდვაზე. მიწოდებული 10 ათასი ცალიდან 2013 წლის 1 აპრილისათვის 184.9 ათასი ლარის საერთო ღირებულების 7252 ცალი (72,5%) შარვალი კვლავ ნაშთად ირიცხებოდა.

ანალოგიურად, შპს „სამკერვალო მაუდის“ მიერ N710 ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებული 5000 ერთეულიდან 2013 წლის 1 აპრილისათვის 50.4 ათასი ლარის საერთო ღირებულების 4666 ცალი (93,3%) წინაფრიანი ქუდიც გაუცემელი იყო.

გარდა ამისა, 2012 წლის 7 და 11 სექტემბერს შპს „ელსელემასთან“ და შპს „ნიტექსთან“ გაფორმებულია ხელშეკრულებები N823 და N831, შესაბამისად 5000; 7000 და 390 ცალი ზამთრის ქურთუკის შესაძენად. აქედან, პირველ შემთხვევაში მარჯვენა კალთისა და ზურგის სარქველზე დამაგრებული უნდა ყოფილიყო წარწერა „POLICE“, მეორე შემთხვევაში ქურთუკის მკლავზე უნდა ყოფილიყო წარწერა „დაცვის პოლიციის დეპარტამენტი“, ხოლო მესამე შემთხვევაში „საავიაციო უშიშროება“. სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტისათვის“ უნიფორმის შეძენა სამინისტროს ცენტრალური აპარატის პრეროგატივა არ არის და ამ მიზნით დეპარტამენტს თავისი დაფინანსება გააჩნია. აღსანიშნავია, რომ დეპარტამენტს აღნიშნული ქურთუკების შეძენის თხოვნით სამინისტროსათვის არც კი მიუმართავს.

შპს „ელსელემას“ მიერ N823 და N718 ხელშეკრულებებით შეძენილია 22200 ცალი შერვონი, საიდანაც 2013 წლის 1 აპრილისათვის 9.9 ათასი ლარის საერთო ღირებულების 16664 ცალი (75%) შერვონი გაუცემელი იყო. მსგავსი ფაქტი არაერთია.

ყოველივე ზემოაღნიშნული კი ექვის ქვეშ აყენებს ამ შესყიდვების განხორციელებისას გადაუდებელი აუცილებლობის გარემოების არსებობას.

2012 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით მხოლოდ სამინისტროს ცენტრალური აპარატის საწყობებში უბნის ინსპექტორისათვის განკუთვნილი 1,600.0 ათას ლარზე მეტი ღირებულების, დიდი ოდენობით უნიფორმა ინახებოდა. მათ შორის, 4796 ცალი ზამთრის ქურთუკი (ღირებულებით - 311.7 ათასი ლარი), 5000 ცალი ზამთრის შარვალი (ღირებულებით - 105.0 ათასი ლარი), 15000 ცალი გრძელმკლავებიანი პერანგი (ღირებულებით - 255.0 ათასი ლარი) და ა.შ. ასეთ შემთხვევაში კი ამ ფორმის ახლით შეცვლის საჭიროება და მით უმეტეს გადაუდებელი აუცილებლობა არგუმენტირებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ არანაირი არგუმენტი აუდიტის დროს წარმოდგენილი არ ყოფილა.

ამასთან, აგვისტო-სექტემბერში ზამთრის ქურთუკების შეძენა გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, რამაც ტენდერის ჩატარებისაგან თავის არიდება და კონკურენციის უგულებელყოფა გამოიწვია, დაუსაბუთებელია და ექვის საფუძველს წარმოადგენს.

დასაფიქსირებელია ის გარემოებაც, რომ სამინისტროს საწყობებში ინახებოდა 98.3 ათასი ლარის ღირებულების 4832 ცალი ძველი შესყიდული ზამთრის შარვალი, ანუ ერთეული ფასი შეადგენდა 20.35 ლარს, ხოლო იმავე წელს ტენდერში გამარჯვებული შპს „მოდელის სახლი მატერიალსაგან“ (10 აპრილის N343 ხელშეკრულება) 105.0 ათასი ლარად შეძენილია 5 ათასი ცალი ზამთრის შარვალი, ანუ 1 ცალში გადახდილია 21 ლარი. ამავე ხელშეკრულებით შეძენილია უბნის ინსპექტორის 8000 ცალი შარვალი და თითოეულში გადახდილია 20 ლარი, მაშინ როდესაც ტენდერის გარეშე გაფორმებული ზემოხსენებული (N718) ხელშეკრულებით შესყიდული შარვლის ფასი უკვე 25.5 ლარი იყო.

ანალოგიურად, ტენდერის გარეშე გაფორმებული ზემოხსენებული N788 ხელშეკრულებით შესყიდულია 10 ათასი ცალი პერანგი, სადაც ერთეულის ფასი 19.85 ლარი იყო. იმავე შპს „მოდელის სახლი მატერიალსაგან“ ასევე ტენდერის შედეგების მიხედვით 1 მარტს გაფორმებული

N257 ხელშეკრულების საფუძველზე 255.0 ათასი ლარად შეძენილია 15 ათასი ცალი პერანგი, ანუ 1 ცალში გადახდილია 17 ლარი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ N257 ხელშეკრულებით საწარმომ სამინისტროს 572.0 ათას ლარად მიაწოდა იმ რაოდენობის უნიფორმა, რომლის შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაც, სატენდერო წინადადებით 810.3 ათასი ლარით იყო განსაზღვრული და ტენდერში კონკურენციის შედეგად თითქმის 30%-ით შემცირდა. ასეთი პრაქტიკული მაგალითების გაუთვალისწინებლობა და შესყიდვების განხორციელება კონკურენციის გარეშე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მიზანშეუწონელია.

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით ნაცვლად დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული 53,547.7 ათასი ლარისა, აუდიტის პერიოდში გაწეულია 49,634.4 ათასი ლარის საკასო ხარჯი.

ამ პერიოდში სამინისტრო ახორციელებდა არაფინანსური აქტივების შესყიდვას, ჩანაცვლებას, სხვადასხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან უსასყიდლოდ მიღებას და გაცემას. ამასთან, ხშირი იყო შემთხვევები კერძო სამართლის იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან ჩუქების სახით მნიშვნელოვანი ღირებულების აქტივების მიღებისა და ა.შ.

აღნიშნული მუხლით გაწეული საკასო ხარჯისა და არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის ოპერაციების შესწავლით გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები. კერძოდ:

სამინისტროსათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებებით საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა:

თანამშრომელთა ბინით უზრუნველყოფის მიზნით სამინისტროს მიერ გაწეულია მნიშვნელოვანი ხარჯები. მათ შორის, ქ.ქუთაისსა და ქ.ბათუმში, მშენებარე კორპუსებში თანადაფინანსების პრინციპით შეძენილია ჯამში 934.7 ათასი აშშ დოლარის ღირებულების 32 ბინა, საიდანაც 1/3 ანუ 517.2 ათასი ლარი (311.6 ათასი აშშ დოლარი) გადახდილია სამინისტროსათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებებიდან, დანარჩენ თანხას კი ბანკის შეღავათიანი კრედიტით ანაზღაურებენ ბინების მიმღები პირები.

გარდა აღნიშნულისა სამინისტრო, სხვა უწყებებთან ერთად, როგორც თავისი ისე ამ უწყებების თანამშრომელთათვის აწარმოებდა საცხოვრებელი ბინების მშენებლობას, რასაც ამავე პრინციპით (წილობრივად), აფინანსებდა სამინისტროსათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებებით. მათ შორის:

- ქ. თბილისში, ისან-სამგორის რაიონში, წულუკიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე იუსტიციის სამინისტროს სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროსთან“ ერთად განახორციელა ორ სადარბაზოიანი, ცხრასართულიანი ოთხი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, რომლის საერთო ღირებულებიდან, 6,038.5 ათასი ლარი გადახდილია სამინისტროსათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრებით.
- ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიაში სსიპ „აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორსა“ და სამეგრელო-

ზემო სვანეთში გუბერნატორის ადმინისტრაციასთან ერთად ახორციელებს ორი ხუთსართულიანი (სულ 100 ბინა) საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობას, რომლის საერთო ღირებულებიდან (4,681.2 ათასი ლარი), 936.24 ათასი ლარი გადახდილია საბიუჯეტო სახსრებით.

- ქ.ახალციხეში, სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროსთან“ და სსიპ „შემოსავლების სამსახურთან“ ერთად ახორციელებს (არ დასრულებულა) ერთი ცხრასართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობას, რომლის საერთო ღირებულებიდან (4,680.0 ათასი ლარი) 1,237.2 ათასი ლარი გადასახდელია საბიუჯეტო სახსრებით. 2012 წლის 1 ოქტომბრამდე სამინისტროს მიერ უკვე გადახდილია 309.2 ათასი ლარი.

ამასთან, აღნიშნული მშენებლობების უზრუნველსაყოფად, ასევე საბიუჯეტო სახსრებიდან მხოლოდ შს სამინისტროს მიერ დამატებით გადახდილია ჯამში 384.5 ათასი ლარი და გამოყენებულია სახელმწიფოს კუთვნილი, ჯამში 408.7 ათასი ლარის ღირებულების (აქ არ შედის ანაკლიაში მშენებარე კორპუსების ქვეშ არსებული მიწის ფასი) 35,298 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

მათ შორის: ქ.თბილისში, ისან-სამგორის რაიონში, ცხრასართულიანი ოთხი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა:

- საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია - 50.0 ათასი ლარი;
 - საავტორო ზედამხედველობა -9.0 ათასი ლარი;
 - მშენებლობაზე ზედამხედველობა -17,5 ათასი ლარი;
 - წყალმომარაგება-წყალარინების სისტემაზე მიერთება - 137.6 ათასი ლარი;
 - ბინებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის - 37.0 ათასი ლარი;
 - გაზიფიკაციის საპროექტო სამუშაოები - 3.6 ათასი ლარი;
 - კორპუსების ქვეშ არსებული, სამინისტროს ბალანსზე რიცხული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი - 17646 კვ.მ, ღირებულებით - 363.0 ათასი ლარი;
1. ქ.ახალციხეში ასაშენებელი საცხოვრებელი კორპუსი:
 - პროექტის მიზმის, კორექტირების, ტერიტორიის გეოლოგიური კვლევის და ტოპო გადაღებების სამუშაოები- 10.0 ათასი ლარი;
 - კორპუსის ქვეშ არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი - 6,498 მ², ღირებულებით - 45.7 ათასი ლარი;
 2. სოფელ ანაკლიაში ორი ხუთსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი:
 - ესკიზები-56.3 ათასი ლარი;
 - საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია - 38.5 ათასი ლარი;
 - მეორე საცხოვრებელი კორპუსისათვის დამატებითი დოკუმენტაცია - 10.0 ათასი ლარი;
 - საავტორო ზედამხედველობა -9.0 ათასი ლარი;
 - ბინებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის - 6.0 ათასი ლარი;

- კორპუსების ქვეშ არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი - 11,154 მ². აღნიშნული ნაკვეთის გადმოცემის საფუძველია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 15 ნოემბრის №05/26390 წერილი, სადაც ამ ნაკვეთის ღირებულება არ არის მითითებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუდიტის პერიოდში, თანამშრომელთა ბინით უზრუნველყოფის მოტივით სამინისტროს კუთვნილი საბიუჯეტო ასიგნებებიდან სულ გაწეულია 8,185.6 ათასი ლარის საკასო ხარჯი და კერძო საკუთრებაშია გადაცემული სახელმწიფოს კუთვნილი, 35298 კვ.მ, ჯამში 408.7 ათასი ლარის ღირებულების (აქ არ შედის ანაკლიაში მშენებარე კორპუსების ქვეშ არსებული მიწის ფასი) არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

ამრიგად, თანამშრომელთა ბინით უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტროს მხრიდან დაიხარჯა მნიშვნელოვანი ოდენობის შრომითი, მატერიალური და ფულადი რესურსები.

აღნიშნული საკითხის შესწავლით გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები. კერძოდ:

1. სამინისტროს პასუხისმგებელი პირების განმარტებით ზემოაღნიშნული ხარჯები გაწეულია „საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. აღნიშნული კანონის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტში დაფიქსირებულია, რომ „საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლის ბინით უზრუნველყოფაზე ზრუნავს სახელმწიფო. საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლის ბინით უზრუნველყოფის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით“. თუმცა, მოქმედი კანონმდებლობით არ არის დაკონკრეტებული, რომ ეს ჩანაწერი უშუალოდ შსს-ს მიერ თანამშრომელთათვის საცხოვრებელი ბინების მშენებლობას, ან ამ მშენებლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით თანამონაწილეობას გულისხმობს.

2. 2011-2012 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების შესახებ საქართველოს კანონებით შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის განსაზღვრული პრიორიტეტებით, თანამშრომელთათვის საცხოვრებელი ბინების მშენებლობა გათვალისწინებული არ ყოფილა, ანუ სამინისტროსათვის გამოყოფილი ასიგნებების ამ მიზნებისათვის ხარჯვა არ შეესაბამება აღნიშნული კანონების მოთხოვნებს, მით უმეტეს, რომ სამინისტროს მიერ 2010 წლის 24 ნოემბერს წარდგენილ კორექტირებულ საბიუჯეტო განაცხადში, საცხოვრებელი შენობებისათვის (პასუხისმგებელი პირების სიტყვიერი განმარტებით - ყაზარმების ასაშენებლად) მხოლოდ 245.0 ათასი ლარი იყო გაწერილი და თანამშრომელთათვის საცხოვრებელი ბინების მშენებლობა ნახსენებიც არ ყოფილა.

3. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ მსგავსი შესყიდვის განხორციელება არ ყოფილა გათვალისწინებული შესყიდვების დამტკიცებული გეგმებით, მაშინ როდესაც, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის (შესყიდვების დაგეგმვა) პირველი და მეორე პუნქტების მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული წლიური გეგმის შესაბამისად.

4. აღნიშნული მშენებლობების განსახორციელებლად საჭირო ტენდერების ჩატარებისას, შესაბამისი ხელშეკრულებების და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტების

გაფორმებისას ადგილი ჰქონდა ძალზე არალოგიკურ და ურთიერთშეუსაბამო მოთხოვნებს და პროცედურებს, სისტემატურად ირღვეოდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნები. მაგალითად:

ა) სამინისტროს სატენდერო კომისიის 2011 წლის 30 მარტის (სხდომის ოქმი N1) გადაწყვეტილებით დამტკიცდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით ქ.თბილისში, სამინისტროს კუთვნილ 17,700 კვ.მ მიწის ფართზე, ცხრასართულიანი საცხოვრებელი კორპუსის საპროექტო სამუშაოების შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია და სატენდერო განცხადება, რომელიც 31 მარტის 20.47 სთ-ზე განთავსებულ იქნა შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

განცხადებაში მითითებული იყო, რომ სატენდერო წინადადებების მიღება იწყებოდა 2 აპრილს (შაბათს) და მთავრდებოდა 4 აპრილს (ორშაბათს) 12 საათზე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა 50.0 ათასი ლარი.

შესყიდვის ობიექტი იყო: ორსადარბაზოიანი, ცხრასართულიანი საცხოვრებელი კორპუსის პროექტი, (მათ შორის: არქიტექტურული, კონსტრუქციული, ელექტრომომარაგების, სუსტი დენების, წყალგაყვანილობის, კანალიზაციის, ვერტიკალური გეგმარების და მშენებლობის ორგანიზაციის პროექტები), რენდერები, ფოტომონტაჟი და ხარჯთაღრიცხვა.

გარდა ამისა, შემსრულებელს უნდა ჩაეტარებინა ტერიტორიის გეოლოგიური გამოკვლევა (მინიმუმ 12 შურფი, მინიმუმ 15 მეტრზე ლაბორატორიული დასკვნით) და ტერიტორიის ტოპოგრაფიული გადაღება (მასშტაბი 1:500; მასშტაბი 1:2000).

ასეთი დიდი მოცულობის სამუშაოების შესასრულებლად კი მხოლოდ 5 დღიანი ვადა იყო გათვალისწინებული.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა (შპს „ინტერ-დიზაინი 2000“), რომელმაც სამუშაოების შესასრულებლად, კიდევ უფრო არარეალური, კერძოდ კი მხოლოდ 4 დღიანი ვადა, მოითხოვა და გაიმარჯვა კიდევ. მასთან 7 აპრილს გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება (N335).

აღსანიშნავია, რომ ამ საწარმოს არ ჰქონდა წარმოდგენილი ინფორმაცია სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის შესახებ, რაზედაც მას ეცნობა 6 აპრილს და მიეცა წინადადება სამი დღის ვადაში მოეწოდებინა ეს ინფორმაცია. შპს „ინტერ-დიზაინი 2000“-მა იმავე დღეს წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტაცია.

მომდევნო ერთ დღეში (7 აპრილს) განხორციელდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პროცედურა ხელშეკრულების გაფორმების ჩათვლით. კერძოდ:

1. ჩატარდა სატენდერო კომისიის სხდომა (ოქმი N3) და შპს „ინტერ-დიზაინი 2000“-ს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენისათვის განესაზღვრა 4 დღე.
2. შპს „ინტერ-დიზაინი 2000“-ს გაეგზავნა შესაბამისი წერილი.
3. საწარმომ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტაცია.

4. კვლავ ჩატარდა სატენდერო კომისიის სხდომა (ოქმი N4) და ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ინტერ-დიზაინი 2000“.
5. შპს „ინტერ-დიზაინი 2000“-ის დირექტორს გაეგზავნა შესაბამისი წერილი და ეთხოვა მოსულიყო ხელშეკრულების გასაფორმებლად.
6. ზემოხსენებული პირობებით გაფორმდა ხელშეკრულება N335.

2011 წლის 11 აპრილის მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, შპს „ინტერ-დიზაინი 2000“-მა შეასრულა აღებული ვალდებულება და 15 აპრილს ჩაერიცხა 50.0 ათასი ლარი.

შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრების 2011 წლის 8 აპრილის ერთობლივი ბრძანებით დამტკიცდა ქ. თბილისში, ისან-სამგორის რაიონში, წულუკიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე საქართველოს შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებისათვის ორსადარბაზოიანი, ცხრასართულიანი სამი საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო-სამუშაოების სატენდერო დოკუმენტაცია და ტენდერის ჩატარება დაევალა შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო კომისიას. ბრძანებაში მითითებული იყო, რომ ანგარიშსწორება უნდა ეწარმოებინა შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ და ამ სამინისტროების თანამშრომლებს სს „საქართველოს ბანკის“ იპოთეკური სესხის მეშვეობით.

სამინისტროს მიერ ტენდერი გამოცხადდა იმავე დღეს, ანუ 3 დღით ადრე, ვიდრე ამ მშენებლობისათვის საპროექტო სამუშაოების მიღება-ჩაბარება განხორციელდებოდა. შესყიდვების პორტალზე განთავსდა რენდერები, არქიტექტურული, კონსტრუქციული, ელექტრომომარაგების, წყალგაყვანილობის და კანალიზაციის პროექტები, ისე რომ ეს პროექტები ოფიციალურად ჯერ არ არსებობდა და მათ შესაქმნელად მხოლოდ წინა დღეს იყო გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება.

სამინისტროს პასუხისმგებელი პირების სიტყვიერი განმარტებით, შპს „ინტერ-დიზაინი 2000“-მა აღნიშნული დოკუმენტები ვადაზე ადრე წარმოადგინა.

შპს „ინტერ-დიზაინი 2000“-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით გამოვლინდა, რომ საწარმომ ამ პროექტზე მუშაობა დაიწყო ხელშეკრულების გაფორმებამდე. კერძოდ, წყლის ქიმიური ანალიზისათვის საჭირო სინჯი 5 აპრილსაა აღებული, ანუ ტენდერის ჩატარებამდე ერთი დღით ადრე.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ ანალიზის შედეგი (დასკვნა) დათარიღებულია 15 აპრილით, ანუ შესაბამისი პროექტის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან (11 აპრილი) 4 დღის შემდეგ. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ შპს „ინტერ-დიზაინი 2000“-მა, ან არ გაითვალისწინა ანალიზის შედეგები და მათ მიღებამდე გააკეთა პროექტი, ან სამუშაო დაგვიანებით შეასრულა და მიღება-ჩაბარება წინასწარ გაფორმდა, რითაც მინიმუმ საჯარიმო სანქციები იქნა თავიდან აცილებული.

სხვა სახის კვლევების შედეგები დათარიღებული არ არის, ამიტომ მათი შესრულების რეალური ვადები ვერ დგინდება.

არსებული ინფორმაციით შპს „ინტერ-დიზაინი 2000“-ის დირექტორი ვ. ნაზაროვი არის სამინისტროს შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოების ორგანიზების და ტექნიკური ხელშე-

ლობის სამსახურის უფროსის მოადგილის (მაშინდელი მთავარი სპეციალისტის) ს. ნაზაროვის მამა. ამასთან, პროექტის ავტორი გ.პატარქალიშვილი, ამავე სამსახურის უფროსის მაშინდელი მოადგილის მ. პატარქალიშვილის შვილია.

აღსანიშნავია, რომ შპს „ინტერ-დიზაინი 2000“-ის მიერ წარმოდგენილ პროექტში და ხარჯთაღრიცხვაში რამდენიმე მნიშვნელოვანი შეუსაბამობაა, კერძოდ:

პროექტით გათვალისწინებული იყო 414 გ.მ. საყრდენი კედელის მოწყობა, 7500 კვ.მ. ასფალტბეტონის საფარის დაგება და სხვა სახის სამუშაოების ჩატარება, რაც მისივე გაკეთებულ ხარჯთაღრიცხვაში შეტანილი არ არის.

პროექტით სახურავი უნდა მოწყობილიყო მეტალოკრამიტით, ხარჯთაღრიცხვაში კი ფერადი თუნუქია გათვალისწინებული.

ამავე ხარჯთაღრიცხვით, მარტო ერთ ბლოკზე 2 100 გ.მ ორმაგი იზოლაციის მქონე სპილენძის ელ.სადენის ($2 \times 10 + 1 \times 6$ მმ/კვ.) მონტაჟის საერთო ღირებულება დარიცხვების ჩათვლით შეადგენს 48.4 ათას ლარს, საიდანაც 1 გ.მ. ელ.სადენის ფასია 20 ლარი, მაშინ როდესაც მშპ-ს მიერ დადგენილი ფასებით შესაბამის პერიოდში ამ მასალის ღირებულება 4-6 ლარის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო შესაბამის ტენდერში გამარჯვებული შპს „ზიმოს“ მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვით ეს სამუშაო გაფასებულია 11.4 ათას ლარად (1 გ.მ. 5.44 ლარი). ანუ მხოლოდ ამ პოზიციით, ექვსივე ბლოკის ხარჯთაღრიცხვა ხელოვნურადაა გაზრდილი მინიმუმ 222.0 ათას ლარით (გაანგარიშება: ერთი კორპუსი შედგებოდა 2 ბლოკისაგან, ანუ 3 კორპუსი 6 ბლოკისაგან, 6-ჯერ 48.4 ათასი = 290.4 ათას ლარს, შპს „ზიმოს“ გაფასებით 6-ჯერ 11.4 ათასი = 68.4 ათას ლარს, $290,4 - 68,4 = 222$ ათას ლარს).

ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ შესრულებულ სამუშაოთა აქტში (ფორმა 2-ში) 1 გ.მ. ელ.სადენის ფაქტიურ ღირებულებად უკვე 4.05 ლარი, ანუ 25%-ით ნაკლებია დაფიქსირებული.

შეუსაბამობაა გაჯით ლესვის სამუშაოების მოცულობებშიც. კერძოდ, შპს „ინტერ-დიზაინი 2000“-ის მიერ წარმოდგენილ პროექტში ერთ ბლოკზე გათვალისწინებული იყო 8789.43 მ² ჭერის და კედლების გაჯით ლესვის სამუშაოები, ხოლო მისივე გაკეთებულ ხარჯთაღრიცხვაში შეტანილია კედლების, კოლონების (11260.8 მ^2) და ჭერის (4302.8 მ^2) გაჯით ლესვის სამუშაოები, საერთო მოცულობით - 15563.6 მ^2 , რაც გაფასებული იყო 138.8 ათას ლარად (1 მ² - 8.92 ლარი) და რამაც ექვს ბლოკზე დარიცხვების ჩათვლით - 1,104.1 ათასი ლარი შეადგინა. ამრიგად, სხვაობა პროექტსა და ხარჯთაღრიცხვაში მითითებულ სამუშაოთა მოცულობებს შორის არის 6774.17 მ^2 , რომლის ღირებულებაც ერთ ბლოკზე 60.4 ათას ლარს, ექვს ბლოკზე 362.6 ათას ლარს (გაანგარიშება: $15563.6 - 8789.43 = 6774.17$; $138.8 / 15.5636 = 8.92$; $6774.17 \times 8.92 = 60,425.6$ ლარი; $60,425.6 \times 6 = 362.6$ ათასი ლარი), დარიცხვების გათვალისწინებით კი 480.7 ათას ლარს შეადგენს.

შპს „ინტერ-დიზაინი 2000“-ის მიერ გაკეთებულ ხარჯთაღრიცხვაში შეტანილია სხვადასხვა სახის კედლების მოწყობის სამუშაოები, სხვადასხვა სისქის წვრილი სამშენებლო ბლოკით, რომელთა რაოდენობა ჯამში 108.8 ათას ცალს შეადგენს. შპს „ზიმოს“ მიერ გაკეთებულ ხარჯთაღრიცხვაში კი მხოლოდ 80.0 ათასი სტანდარტული წვრილი სამშენებლო ბლოკია მითითებული. სამივე კორპუსზე გაანგარიშებით (დარიცხვებით) შპს „ინტერ-დიზაინი 2000“-ის მიერ გაკეთებული ხარჯთაღრიცხვით ამ სამუშაოების ღირებულება იყო 1,818.3 ათასი ლარი, შპს

„ზიმოს“ ხარჯთაღრიცხვით კი 1,416.0 ათასი ლარი, ანუ სხვაობამ 402.3 ათასი ლარი შეადგინა. მიუხედავად ასეთი მნიშვნელოვანი შეუსაბამობისა, სამინისტროს შესაბამისი თანამშრომლების მიერ ორივე ხარჯთაღრიცხვა შენიშვნების გარეშე არის მიღებული.

პროექტის მიხედვით, რეალურად ამ სამუშაოებისათვის 80.0 ათასი სამშენებლო ბლოკი სრულიად საკმარისი იყო.

მიუხედავად ზემოაღნიშნული სერიოზული განსხვავებებისა, ეს პროექტი და ხარჯთაღრიცხვა შენიშვნების გარეშე იქნა მიღებული სამინისტროს მიერ, თუმცა მშენებლობის პროცესში ამ დოკუმენტებმა ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, რომ პრაქტიკულად, თვისობრივად სრულიად განსხვავებული მეთოდით განხორციელდა მშენებლობა. ამიტომ, თავდაპირველი და კორექტირებული ხარჯთაღრიცხვებით გაანგარიშებულ მოცულობებსა და ერთეულის ფასებს შორის საკმაოდ დიდი განსხვავებები დაფიქსირდა. მიუხედავად ამისა, შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება მაინც, მაქსიმალურად ახლოა თავდაპირველი ხარჯთაღრიცხვის შედეგად გამოყვანილ ღირებულებასთან.

ბ) სამინისტროს მიერ ცხრასართულიანი სამი საცხოვრებელი კორპუსის (აქედან, ორი შს-ს, ერთი კი იუსტიციის სამინისტროსათვის უნდა აშენებულიყო) სამშენებლო-სამუშაოების შესყიდვის მიზნით 8 აპრილს გამოცხადებულ ტენდერში სატენდერო წინადადებების მიღება იწყებოდა 24 აპრილს და მთავრდებოდა 29 აპრილს. ამ პერიოდში სატენდერო დოკუმენტაციაში და სატენდერო განცხადებაში შეტანილია მნიშვნელოვანი ცვლილებები, კერძოდ 19 აპრილს შეიცვალა ყველა ზემოაღნიშნული პროექტი. ამასთან, სატენდერო განცხადებას დაემატა განმარტებითი ბარათი და ვერტიკალური გეგმარება.

23 აპრილს სატენდერო განცხადებაში შეტანილია ცვლილება და შესყიდვის სავარაუდო ღირებულება, ნაცვლად თავდაპირველად გამოცხადებული 13,950.0 ათასი ლარისა, განსაზღვრულია 14,250.0 ათასი ლარით, ანუ გაზრდილია 300.0 ათასი ლარით. ამავე დღეს კიდევ ერთხელ შეიცვალა ასაშენებელი ობიექტების არქიტექტურა და რენდერები.

ანალოგიური მდგომარეობა დაფიქსირდა სხვა (ანაკლია, ახალციხე) საცხოვრებელი კორპუსების სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერების მიმდინარეობისასაც. სატენდერო დოკუმენტაციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შედიოდა სატენდერო წინადადებების მიღების დაწყების წინა დღეს, რის გამოც პრეტენდენტებს რეალურად მხოლოდ 6-7 დღე ჰქონდათ სატენდერო წინადადებების შეცვლილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, რასაც არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების რაოდენობაზე, მით უმეტეს, რომ ხარჯთაღრიცხვა, ან თუნდაც შესასრულებელ სამუშაოთა ჩამონათვალი (მოცულობები) სისტემაში ატვირთული არ არის და სავარაუდო პრეტენდენტებისათვის რთული იქნებოდა ასეთ შემჭიდროვებულ ვადებში სრულყოფილად მოემზადებინათ ხარჯთაღრიცხვა.

აღნიშნულ ტენდერებში მონაწილე პრეტენდენტების რაოდენობაზე უარყოფით გავლენას ახდენდა აგრეთვე, სატენდერო განცხადებაში დაფიქსირებული საკვალიფიკაციო მოთხოვნა იმის შესახებ, რომ პრეტენდენტის ბრუნვა 2008-2010 წლების განმავლობაში უნდა ყოფილიყო არანაკლებ

15.0 მილიონი ლარისა, რაც საქართველოში სამშენებლო საწარმოების დიდ უმრავლესობას არ გააჩნია. შესაბამისად ბევრ საწარმოს ასეთმა შეზღუდვებმა არ მისცა აღნიშნულ ტენდერებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

აღსანიშნავია, რომ შპს „ინტერ-დიზაინი 2000“-ის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვით ერთი ბლოკის მშენებლობის ღირებულება შეადგენდა 2,375.84 ათას ლარს. აქედან გამომდინარე შესყიდვის სავარაუდო ღირებულება თავიდანვე უნდა ყოფილიყო არანაკლებ 14,250.0 ათასი ლარისა (2375.84 ათასი ლარი X 6 ბლოკზე).

ცხრასართულიანი სამი საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით 8 აპრილს გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო ოთხმა პრეტენდენტმა: შპს „ზიმომ“, შპს „არტესი“, შპს „მიქსორი“ და შპს „ელექტრომონტაჟსერვისი“. გამარჯვება მოიპოვა შპს „ზიმომ“, რომელმაც ვაჭრობის მესამე რაუნდში 14,033.0 ათას ლარად შესთავაზა ამ სამუშაოების შესრულება, რაზედაც 4 მაისს გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება (N428).

გ) აღნიშნული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციაშიც და შესაბამის ხელშეკრულებაშიც სამშენებლო სამუშაოების შესრულების ვადად მითითებული იყო „ხელშეკრულების გაფორმებიდან 9 თვე“, ანუ სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2012 წლის 5 თებერვლამდე. 2012 წლის 25 იანვრის Nზ-019-1/12 წერილით, შპს „ზიმომ“ თხოვნით მიმართა სამინისტროს მშენებლობის დასრულების ვადის 15 აპრილამდე, ანუ 70 დღით გადაწევის შესახებ. სამუშაოების შეფერხების მიზეზად მან დაასახელა „ნაადრევი და გაჭიანურებული ზამთარი ძლიერი ყინვებით“, რომლებმაც შეუძლებელი გახადა როგორც ბეტონის და რკინა-ბეტონის, ასევე შიდა სამუშაოების წარმოება. სატენდერო კომისიის 2012 წლის 30 იანვრის (სხდომის ოქმი N6) გადაწყვეტილებით, იმავე დღეს გაფორმდა შეთანხმების ოქმი N1, მშენებლობის დასრულების ვადის 15 აპრილამდე გადაწევის შესახებ. შპს „ზიმომ“ 2012 წლის 12 აპრილის Nზ-094/12 წერილით აცნობა სამინისტროს, რომ მან დაასრულა სამშენებლო სამუშაოები და ითხოვა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება. შესაბამისი აქტი კი მხოლოდ 28 მაისს არის გაფორმებული, სადაც მითითებულია, რომ სამუშაოების შესრულების ვადა განისაზღვრა 12 აპრილით. იმის შესახებ, თუ რატომ გაჭიანურდა ვითომ დასრულებული ობიექტის მიღება-ჩაბარების განხორციელება, ლოგიკური არგუმენტები ვერ იქნა წარმოდგენილი.

აღნიშნული ცვლილება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არ ატვირთულა⁸.

ხელშეკრულებით სამინისტრო უფლებამოსილი იყო გრაფიკით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში მომწოდებლისათვის დაეკისრებინა პირგასამტეხლო ყველა ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოს 0.2%-ის ოდენობით. მიუხედავად იმისა, რომ

8. დარღვეულია „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-20 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა, რომლის ძალითაც: „ტენდერის ჩატარების შედეგად დადებულ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების/დამატების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება/დამატება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით და აიტვირთოს სისტემაში ხელშეკრულებაში ცვლილების/დამატების შეტანიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა“.

მომწოდებლმა დროულად ვერ დაასრულა სამშენებლო სამუშაოები, მასზე არ გავრცელებულა ეს სანქციები. მას ძალზე არადამაჯერებელი მიზეზით გაუგრძელეს სამუშაოების დასრულების ვადა, რადგან ზამთარში დაბალი ტემპერატურა და ნალექი უჩვეულო არაა და გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სატენდერო წინადადების წარმოდგენისას.

ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით, კერძოდ სამუშაოთა წარმოების ჟურნალების შემოწმებით დადგინდა, რომ შპს „ზიმოს“ ხელშეკრულების გაფორმებამდე, კერძოდ კი 2 მაისს უკვე დაწყებული ჰქონდა სამუშაოები და ამ ერთ დღეში, მარტო პირველ-მეორე კორპუსის საძირკველის მოსამზადებლად 760 მ³. გრუნტი დაამუშავა ბულდოზერით, ზედმეტი გრუნტი დატვირთა 0,5 მ³. ჩამჩიანი ექსკავატორით და გაზიდა. ამასთან, ჟურნალებში არ არის მითითებული, თუ როდის დაიწყო ამ სამუშაოებისათვის მომზადება და ტექნიკის მობილიზება, რაც ლოგიკურად კიდევ უფრო ადრე უნდა მომხდარიყო.

გარდა ამისა, ამავე ჟურნალებიდან ჩანს, რომ 28 აპრილს განხორციელდა N1 კორპუსის B - ბლოკის კედლების ლესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით (210 კვ.მ.), ხოლო 29 აპრილს შესრულდა სადარბაზოს კედლების და ქერის შეღებვა (278 კვ.მ.), ამავე კორპუსის A-ბლოკში ელექტროსადენების გაყვანის სამუშაოები 29-30 აპრილსაც მიმდინარეობდა, ანუ 12 აპრილს შპს „ზიმოს“ სამუშაოები დასრულებული არ ჰქონდა. ამასვე ადასტურებს სამინისტროს მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე, ამ მშენებლობაზე დანიშნული ტექნიკური ზედამხედველის, გია ბუხიაშვილის მოხსენებითი ბარათები, სადაც დაფიქსირებულია, რომ 12 აპრილიდან 6 მაისამდე ოთხივე კორპუსში ყოველდღიურად მიმდინარეობდა სხვადასხვა სახის სამუშაოები (იატაკის მოჭიმვა ქვიშ-ცემენტის ხსნარით, სახურავის მოწყობა, მოპირკეთება, შეღებვა, გამწვანება, დასუფთავება და. ა.შ.).

აღსანიშნავია, რომ სატენდერო განცხადებასთან ერთად გამოქვეყნებულ ხელშეკრულების პროექტში ანგარიშსწორების პირობად მითითებული იყო, რომ შემსყიდველი ვალდებული იქნება შესრულებული სამუშაოების ეტაპობრივად ანაზღაურებაზე ფორმა 2-ების და ფორმა 3-ების წარმოდგენის შემდეგ 20 დღის განმავლობაში. იქვე ფრჩხილებში მიწერილი იყო „ან შეთანხმებით“.

უკვე შპს „ზიმოსთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებით კი შემსყიდველი იღებს ვალდებულებას 100%-იან წინასწარ გადახდაზე, საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ, ან ეტაპობრივად ანაზღაურებაზე ფორმა 2-ების და ფორმა 3-ების წარმოდგენის შემდეგ 20 დღის განმავლობაში. ამრიგად ამ ხელშეკრულებაში არ არის დაკონკრეტებული ანგარიშსწორების ფორმები და პირობები. რეალურად კი სამინისტროს მთლიანი წილის - 4,516.4 ათასი ლარის გადახდა განხორციელდა წინასწარ, კერძოდ 11 მაისს, ანუ ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 დღეში.

ანალოგიური მდგომარეობაა სოფელ ანაკლიაში ბინების მშენებლობის შემთხვევაშიც. აქაც სამინისტროს წილი 936.3 ათასი ლარის გადახდა განხორციელდა წინასწარ, კერძოდ 2011 წლის 4 ნოემბერს, ანუ ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღეში, მაშინ როდესაც ეს მშენებლობა 2013 წლის დასაწყისისათვის დასრულებული არ იყო.

თუ სამინისტროსათვის მისაღები იყო ანგარიშსწორების ასეთი პირობები, მაშინ ეს აუცილებლად უნდა მითითებულიყო სატენდერო განცხადებაშიც, რადგან ასეთი ხელსაყრელი პირობები სავარაუდო პრეტენდენტებისათვის შეიძლებოდა დამატებითი სტიმული ყოფილიყო ტენდერში მონაწილეობისათვის.

დ) როგორც უკვე აღინიშნა, პროექტით ქ.თბილისში ცხრასართულიანი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა გათვალისწინებული იყო ტრადიციული კარკასული ტექნოლოგიით და ხარჯთაღრიცხვაც შესაბამისად იქნა შედგენილი. შპს „ინტერ-დიზაინი 2000“-ისა და შპს „ზიმოს“ მიერ გაკეთებული ხარჯთაღრიცხვების საერთო ღირებულება თითქმის თანაბარია (შესაბამისად 2,375.8 ათასი და 2,338.8 ათასი ლარი). მიუხედავად ამისა ცალკეულ პოზიციებში არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები, მაგალითად: პროექტით მოთხოვნილი იყო იატაკის ერთი ფენა იზოლიაციის მოწყობა, რაც შპს „ზიმოს“ გათვალისწინებული არა აქვს.

შპს „ზიმოს“ მიერ შედგენილ ხარჯთაღრიცხვაში მითითებულია „სახურავის ფენილის მოწყობა მეტალოკრამიტით - 396 კვ.მ“, შესრულებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით (ფორმა 2) კი თითოეულ ბლოკზე 796 კვ.მ. სახურავია მოწყობილი, ანუ ჯამში საჭიროზე 2400 კვ.მ-ით [(796-396)*6] ნაკლები სახურავის ფენილის მოწყობას ითვალისწინებდა გამარჯვებული საწარმოს ხარჯთაღრიცხვა, რამაც შესაბამისად მინიმუმ 50.0 ათასი ლარით არასწორად შეამცირა სატენდერო წინადადების ღირებულება.

ანალოგიურად, პროექტით გათვალისწინებული იყო $Q=20$ ტ/ს $T=60$ მ. სიმძლავრის ჰიდროფორის დამონტაჟება. ეს პოზიცია შპს „ინტერ-დიზაინი 2000“-ის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვით გაფასებული იყო 9.7 ათას ლარად, რაც ექვსივე ბლოკისათვის (ერთი კორპუსი ორი ბლოკისგან შედგება) ჯამში, დარიცხვების გათვალისწინებით დაახლოებით 70.0 ათას ლარს აღწევს. შპს „ზიმოს“ მიერ გაკეთებულ ხარჯთაღრიცხვაში კი შეტანილია „ჰიდროფორი“ და მითითებული არ არის მისი სიმძლავრე, ღირებულებად კი მხოლოდ 10 ლარია დაფიქსირებული, რაც არალოგიკურია. ამრიგად, შპს „ზიმოს“ მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციით (პროექტით) განსაზღვრულ მოთხოვნებს⁹, რის გამოც შპს „ზიმოს“ ექვემდებარებოდა დისკვალიფიკაციას, რაც არ განხორციელებულა და ეს პრეტენდენტი გამარჯვებულად გამოცხადდა.

ე) შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით, მშენებლობის პროცესში შპს „ზიმოს“ მიერ შემოთავაზებულ იქნა წინადადება მშენებლობის ახალი, ე.წ. გვირაბის (მონოლითური) ტექნოლოგიით წარმოების შესახებ, რაც ძალზე მნიშვნელოვან ცვლილებებს საჭიროებდა უშუალოდ ობიექტის კონსტრუქციულ ნაწილში. ამიტომ, თვითონ შპს „ზიმოს“ მიერ იქნა კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილიც და ხარჯთაღრიცხვაც და ამის მიხედვით გაგრძელდა მშენებლობა.

9. დარღვეულია „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-12 მუხლის მე-11 პუნქტის და მე-13 მუხლის მეორე პუნქტის ა) ქვეპუნქტის მოთხოვნები. კერძოდ: „თუ ყველაზე დაბალი ფასის წინადადებისმქონე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას ან მის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენილობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია ვალდებულია მოახდინოს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია“. „მიმწოდებელი ან/და პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, თუ მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას“.

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების 13.7 მუხლით ამ „ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შედგენილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ“. მიუხედავად ამისა, ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები წერილობით არ არის შეთანხმებული დამკვეთთან და არც სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაშია ატვირთული, რითაც დარღვეულია ამ ხელშეკრულების პირობებიც და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებიც¹⁰.

გ) ზემოხსენებული კორპუსების მშენებლობისას შესრულებული სამუშაოების საბოლოო აქტის (ფორმა 2) მონაცემების ფაქტიურთან შედარების მიზნით, შპს „ზიმოს“ დაკვეთით ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარებულია საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა, რომლის დასკვნაც გაცემულია 18 მაისს. აღნიშნული დასკვნის მიხედვით შესრულებული სამუშაოების ღირებულება თეთრების სიზუსტით შეესაბამება ფორმა 2-ის მონაცემებს, თუმცა იქვე მითითებულია, რომ ფაქტიურად შესრულებულია ზოგიერთი ისეთი სამუშაო, რომელიც ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული არ არის. მაგალითად, ხარჯთაღრიცხვა ითვალისწინებდა მხოლოდ 276 გრძ.მ-ის საყრდენი კედელის მოწყობას, ფორმა 2-ში კი დაფიქსირებულია 552.5 გრძ.მ-ის საყრდენი კედელის და მასზე 394 გრძ.მ-ის ლითონის მოაჯირების მოწყობა, რითაც შესრულებული სამუშაოების ღირებულება, მხოლოდ ამ ორი პოზიციით მინიმუმ 65.3 ათასი ლარით გაიზარდა. აღნიშნული 394 გრძ.მ-ის ლითონის მოაჯირების მოწყობის ღირებულებად ფორმა 2-ში შეტანილია 38.4 ათასი ლარი, ანუ 1 გრძ.მ-ის ფასი 97.4 ლარია. ეს თანხა დარიცხვების გათვალისწინებით (ზედნადები ხარჯები-10%, მოგება-8%, დღგ-18%) 53.8 ათას ლარს, 1 გრძ.მ-ის ფასი კი 136.5 ლარს აღწევს. ეს თანხა კი აშკარად მეტია საბაზრო ფასებზე, რადგან ადგილზე ჩატარებული აზომვებით და „მშკ“-ს მიერ დადგენილი ფასების ურთიერთშედარებით დადგინდა, რომ ამ მოაჯირების მოწყობისათვის გახარჯული რკინის მასალის მაქსიმალური საბაზრო ღირებულება არ აღემატება 10.0 ათას ლარს. ასეთი მაღალი ფასი ისეა შეტანილი ფორმა 2-ში და შესაბამისად გადახდილი ბიუჯეტიდან, რომ მისი წარმომავლობის შესახებ არანაირი დოკუმენტი (დამკვეთთან შეთანხმება, კალკულაცია, ბაზრის შესწავლის მასალები და ა.შ.) არ არსებობს.

ამავე დროს, ზემოხსენებული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული იყო 7500 კვ.მ. ასფალტბეტონის საფარის დაგება, საერთო ღირებულებით 315.0 ათასი ლარი, რაც შპს „ზიმოს“ მიერ არ გაკეთებულა და შემდგომში განხორციელდა თბილისის მერიის მიერ, ანუ იმ საქმეში, რომელიც შპს „ზიმოს“ უნდა შეესრულებინა საკუთარი სახსრებით, კვლავ საბიუჯეტო სახსრები გაიხარჯა. აღნიშნულის მიზეზები თბილისის მერიაში შემხვედრი შემოწმებით შეიძლება გაირკვეს.

როგორც უკვე აღინიშნა, პროექტით გათვალისწინებული იყო საცხოვრებელ კორპუსში

10. დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 თავის მე-5 მუხლის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-20 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოთხოვნები, რომელთა ძალითაც მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები, და „ტენდერის ჩატარების შედეგად დადებულ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების/დამატების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება/დამატება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით და აიტვირთოს სისტემაში ხელშეკრულებაში ცვლილების/დამატების შეტანიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა“.

$Q=20\text{ტ/ს}$ $T=60\text{მ}$. სიმძლავრის ჰიდროფორის დამონტაჟება. ეს ჰიდროფორი შპს „ზიმოს“ მიერ არ დამონტაჟებულა.

მიუხედავად იმისა, რომ ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ზოგიერთი სამუშაო არ შესრულებულა, ზოგიერთი კი აშკარად უფრო იაფად გაკეთდა, ამ სამუშაოთა ღირებულებები არ დარჩენილა ეკონომიის სახით და მათი ათვისება მოხდა გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებით, წერილობითი შეთანხმებების გარეშე.

გარდა ამისა, შპს „ზიმოს“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით დადგინდა, რომ შესრულებულად ნაჩვენები ზოგიერთი სახის სამუშაო უფრო ძვირად შეტანილი მიღება - ჩაბარების აქტში, ვიდრე ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული, თანაც ამ სამუშაოთა მოცულობა საეჭვოა. მაგალითად, ზემოხსენებული N428 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამი საცხოვრებელი კორპუსიდან შს სამინისტროს კუთვნილი ორი კორპუსის საბოლოო მიღება - ჩაბარების აქტში (ფორმა 2) დაფიქსირებულია მონოლითური რკ.ბეტონის საძირკვლის ფილის ქვეშ 1375 მ^3 . ბალასტის ფენის მოწყობა და დატკეპნა, საერთო ღირებულებით $23,609.0$ ლარი. ერთეულის ფასი დარიცხვების გარეშე შეადგენს 17.17 ლარს, დარიცხვებით კი - 24.07 ლარს. მაშინ როდესაც, შპს „ზიმოს“ დაზუსტებულ ხარჯთაღრიცხვაში, რომელიც ხელშეკრულების გაფორმების საფუძველი გახდა, აღნიშნული სამუშაოს ერთეულის ფასად დარიცხვების (დღგ-ს ჩათვლით) გათვალისწინებით მხოლოდ 17.70 ლარია დაფიქსირებული. ანუ, სხვაობა შეადგენს 6.37 ლარს ($24.07 - 17.70$), რის შედეგადაც სამუშაოს ამ სახეობაში ზედმეტად ანაზღაურებულია $8,759.0$ ლარი (1375×6.37).

ანალოგიურად, საძირკვლის ფილის ქვეშ ერთი კვ.მ. ბეტონის ფუძის მომზადება, დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვით ზედნადები ხარჯებისა და მოგების გათვალისწინებით შეფასებულია 110 ლარად, ხოლო დღგ-ს ჩათვლით 129.8 ლარად. ობიექტის საბოლოო მიღება ჩაბარების აქტის მიხედვით ერთეულის ფასი შეადგენს 118.75 ლარს, დარიცხვების გათვალისწინებით კი - 166.46 ლარს.

ზემოხსენებულ მიღება-ჩაბარების აქტში (ფორმა 2) ნაჩვენებია სულ 194.29 მ^3 . ბეტონის ფუძის მოწყობა. აქედან გამომდინარე სამუშაოს ამ სახეობაში ზედმეტად გადახდილია $7,122.67$ ლარი ($194.29 \times 166.46 - 129.80$).

ამრიგად, ამ ორ შემთხვევაში ზედმეტად გადახდილმა თანხამ შეადგინა $15,881.0$ ლარი.

აღსანიშნავია, რომ სულ ამ მისამართზე აშენდა ოთხი ცხრასართულიანი საცხოვრებელი კორპუსი, საიდანაც სამი შს. სამინისტროს თანამშრომლებისთვის იყო განკუთვნილი. ოთხივე კორპუსი ააშენა შპს „ზიმომ“ და მის მიერ წარმოდგენილ საბოლოო მიღება - ჩაბარების აქტებში (ფორმა 2), მარტო ამ კორპუსების მშენებლობაზე, შესრულებულადაა ნაჩვენები $22,487.1\text{ მ}^3$. რკინა-ბეტონის სამუშაოები, რასაც მოქმედი ნორმებით ესაჭიროებოდა $22,824.4\text{ მ}^3$. ბეტონი. გარდა ამისა, კორპუსების გარშემო მოწყობილია საყრდენი კედელი, რომელიც ძირითადად რკინა-ბეტონისაა, მაგრამ მიღება - ჩაბარების აქტში (ფორმა 2) ამ სახის შესრულებული სამუშაო შეტანილია არა მოცულობით, არამედ გრძივი მეტრებით, ანუ არ არის მითითებული გამოყენებული ბეტონის მოცულობა. აქედან გამომდინარე, საჭიროდ ჩაითვალა საყრდენი კედელის საკონტროლო აზომვის ჩატარება და მასში გამოყენებული ბეტონის მოცულობის დადგენა. შედეგად დადგინდა, რომ

აღნიშნული კედლის მარტო ხილული ნაწილის მოსაწყობად (საძირკველის გაუთვალისწინებლად) გამოყენებულია არანაკლებ 251 მ³. ბეტონი, ანუ, ამ მასშტაბის მშენებლობაზე შპს „ზიმოს“ სულ ესაჭიროებოდა მინიმუმ 23,075.0 მ³. ბეტონი (22,824.4+251) მის მიერვე წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებების მიხედვით 2011 წლის მაისიდან 2012 წლის 11 აპრილამდე განვლილ პერიოდში კი აღნიშნულ მისამართზე სულ შეზიდულია სხვადასხვა მარკის 22,698.5 მ³. ბეტონი, ანუ მინიმუმ 376.5 მ³-ით ნაკლები, რაც სერიოზულ ეჭვს ბაღებს წარმოდგენილ მიღება-ჩაბარების აქტებში ამ სახის შესრულებული სამუშაოების მოცულობების მექანიკურად გაზრდაზე და შესაბამისად კუთვნილზე დაახლოებით 73.9 ათასი ლარით $\{(376.5 \cdot 140) = 52,710.0$ ლარი + დარიცხვები: ზედნადები ხარჯები-10%, მოგება-8%, დღგ-18% $\} = 73.9$ ათასი ლარი) მეტის მიღებაზე.

ზ) მინისტრის 2011 წლის 29 ივნისის ბრძანებით დამტკიცდა ქ. თბილისში, ისან-სამგორის რაიონში, წულუკიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე სამინისტროსათვის კიდევ ერთი, ორ სადარბაზოიანი, ცხრასართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო-სამუშაოების სატენდერო დოკუმენტაცია და განცხადება. აღნიშნული კორპუსის საპროექტო სამუშაოების შესყიდვა სამინისტროს მიერ არ განხორციელებულა. წარმოდგენილი ინფორმაციით გამოყენებულ იქნა შპს „ინტერ-დიზაინი 2000“-ის მიერ N335 ხელშეკრულების თანახმად მოწოდებული და შპს „ზიმოს“ მიერ კორექტირებული პროექტი, რის შესახებაც არ გაფორმებულა შესაბამისი ხელშეკრულება და არც ხარჯია გაწეული.

ზემოხსენებული განცხადებით სატენდერო წინადადებების მიღება იწყებოდა 29 ივნისს და მთავრდებოდა 20 ივლისს. 14 ივლისს, ანუ აქაც სატენდერო წინადადებების მიღების დასრულებამდე 6 დღით ადრე სატენდერო დოკუმენტაციის არქიტექტურულ ნაწილში შეტანილია ცვლილებები.

ამრიგად, ამ შემთხვევაშიც, პრეტენდენტებს რეალურად მხოლოდ 6 დღე ჰქონდათ სატენდერო წინადადებების შეცვლილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ შპს „ზიმომ“, რომელმაც 4,566.3 ათას ლარად შესთავაზა ამ სამუშაოების შესრულება და ცნობილ იქნა გამარჯვებულად, რაზედაც 27 ივლისს გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება (N664). აღსანიშნავია, რომ ტენდერის გამოცხადებამდე უკვე ცნობილი იყო სამი კორპუსის მიმდინარე მშენებლობების პროექტების შეცვლის შესახებ და რადგან მეოთხეც ანალოგიური კორპუსი უნდა აშენებულიყო, თავიდანვე ის კორექტირებული პროექტი უნდა დადებულიყო და არა უკვე დაწუნებული და შეცვლილი.

აღსანიშნავია, რომ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად მითითებული იყო 4,750.0 ათასი ლარი, თუმცა აღნიშნული თანხის გაანგარიშების საფუძვლების შესახებ ინფორმაცია ვერ იქნა წარმოდგენილი.

სატენდერო დოკუმენტაციაში შენიშვნის სახით მითითებულია, რომ „შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტს მის მიერ დაფიქსირებულ საბოლოო თანხაზე წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვებს ჩაუტარდეს სამხარაულის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა ხარჯთაღრიცხვაში დაფიქსირებული მოცულობების

შესაბამისობაზე საპროექტო მოთხოვნებთან, აგრეთვე ხარჯთაღრიცხვებში დაფიქსირებული ღირებულების შესაბამისობაზე საბაზრო ღირებულებებთან.

მიუხედავად ამისა სამინისტროს ამ სახის ექსპერტიზის დასკვნა არ მოუთხოვია.

აღსანიშნავია, რომ ასეთი შენიშვნა სხვა ბინების (გარდა ახალციხისა) მშენებლობის სატენდერო დოკუმენტაციაში არ შეუტანიათ.

თ) 2011 წლის 29 ივლისს შპს „GMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS“-თან გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დაიდო ხელშეკრულება N668. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა „ანაკლიის გენერალური გეგმის 36-ე კვარტალში ბინების ექსტერიერის კონცეპტუალური პროექტის შედგენა (პროექტი მოიცავს 3D გამოსახულებებს, გენერალურ გეგმას და მარტივ განაწილებებს) და სამშენებლო პროექტის (არქიტექტურული ნაწილის) ზედამხედველობა“. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება იყო 56,268.3 ლარი.

იმავე დღეს შპს „ესსა“-სთან ასევე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დაიდო ხელშეკრულება N669, ანაკლიაში სამინისტროს თანამშრომლებისათვის საცხოვრებელი კორპუსის არქიტექტურული მუშა პროექტის შედგენის მიზნით. ხელშეკრულება სხვა პირობებთან ერთად ითვალისწინებდა სამშენებლო ტერიტორიის გეოლოგიურ და გეოდეზიურ კვლევას, შესაბამისი დასკვნების მომზადებით. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენდა 38,500 ლარს. შპს „ესსა“-ს ეს სამუშაოები უნდა შეესრულებინა 25 აგვისტომდე. შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად მან 24 აგვისტოს წარმოადგინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნამუშევრები.

2011 წლის 22 აგვისტოს, ანუ ზემოხსენებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე 2 დღით, ადრე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორსა“ და სამეგრელო-ზემო სვანეთში გუბერნატორის ადმინისტრაციას შორის გაფორმდა ოთხმხრივი შეთანხმება სახელმწიფო შესყიდვის ერთობლივად განხორციელების თაობაზე. შეთანხმების საგანს წარმოადგენდა ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიაში ორი ხუთსართულიანი (სულ 100 ბინა) საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო-სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ერთობლივად განხორციელება, მხარეთა მიერ შეთანხმებული სატენდერო განცხადებითა და დოკუმენტაციით. ამავე შეთანხმებაში მითითებულია, რომ თავდაპირველად ტენდერი უნდა გამოცხადებულიყო შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილი არქიტექტურული პროექტის მიხედვით ერთი კორპუსის მშენებლობაზე. ამასთან, სამინისტროს უნდა მოეხდინა მეორე კორპუსის მუშა პროექტის შესყიდვა და შემდგომში სატენდერო განცხადებაში შეეტანა ცვლილება, რითაც საბოლოო შესყიდვის ობიექტი იქნებოდა ორი კორპუსის სამშენებლო სამუშაოები.

იმავე დღეს, მინისტრის 2011 წლის 22 აგვისტოს N698 ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიაში, სამინისტროს თანამშრომლებისათვის ხუთსართულიანი ერთი საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო-სამუშაოების სატენდერო დოკუმენტაცია. მეორე დღეს, 23 აგვისტოს, ამ სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადდა ტენდერი, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 2,170.0 ათასი ლარი. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში

განთავსებული სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით პრეტენდენტს უნდა ჰქონოდა არანაკლებ 7 სართულიანი შენობის მშენებლობის ხუთწლიანი გამოცდილება, იმ დამკვეთების მიერ გაცემული რეკომენდაციები (არანაკლებ სამი), რომელთაგანაც გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულება შეადგენდა 1 მლნ. ლარს და მეტს. ამასთან პრეტენდენტის ბრუნვა 2008-2010 წლებში უნდა ყოფილიყო არანაკლებ 15 მლნ. ლარი, ხოლო აღნიშნული ერთი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა უნდა დაემთავრებინა ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 თვეში.

მინისტრის 2011 წლის 26 აგვისტოს N721 ბრძანების საფუძველზე, სატენდერო კომისიის (2011 წლის 26 აგვისტოს N2 სხდომის ოქმი) მიერ, 27 აგვისტოს სატენდერო დოკუმენტაციაში შეტანილია ცვლილება და ნაცვლად ერთისა მოთხოვნილია ორი კორპუსის აშენება, შესაბამისად შესყიდვის სავარაუდო ღირებულება გაიზარდა 4,340.0 ათას ლარამდე, ხოლო მშენებლობის ვადა შემცირდა 8 თვემდე.

2011 წლის 7 სექტემბერს სატენდერო კომისიის (N3 სხდომის ოქმი) მიერ სატენდერო დოკუმენტაციაში კიდევ იქნა შეტანილი ცვლილება და შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 4,700.0 ათას ლარამდე, ანუ 8.3%-ით გაიზარდა, რის საფუძველდაც მითითებულია მინისტრის 2011 წლის 7 სექტემბრის N740 ბრძანება, თუმცა ვერც ბრძანება და ვერც ამ ცვლილებების მიზეზები ვერ იქნა წარმოდგენილი.

სატენდერო განცხადებაში მითითებული იყო, რომ სატენდერო წინადადებების მიღება იწყებოდა 8 სექტემბერს და მთავრდებოდა 13 სექტემბერს. ამრიგად, სამინისტროს მიერ სატენდერო დოკუმენტაციაში შეტანილი მნიშვნელოვანი ცვლილებების გამო, პრეტენდენტებს რეალურად მხოლოდ 7 დღე ჰქონდათ სატენდერო წინადადებების შეცვლილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ორმა პრეტენდენტმა (შპს „ზიმო“ და შპს „დაგი“). გამარჯვება მოიპოვა შპს „ზიმომ“, რომელმაც ვაჭრობის მეორე რაუნდში 4,681.2 ათას ლარად შესთავაზა ამ სამუშაოების შესრულება, რაზედაც 21 ოქტომბერს გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება (N858). ხელშეკრულების გაფორმების პროცესის 13 სექტემბრიდან 21 ოქტომბრამდე გაჭიანურების მიზეზების შესახებ დასაბუთებული არგუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ 1 აგვისტოს, შპს „ესსა“-სთან დაიდო კიდევ ერთი ხელშეკრულება (N673) ღირებულება 10.0 ათასი ლარი), მეორე საცხოვრებელი კორპუსისათვის დამატებითი დოკუმენტაციის შესადგენად, რაც არ ითვალისწინებდა მუშა პროექტის შედგენას და მხოლოდ ტერიტორიის გეოლოგიური და გეოდეზიური კვლევით, ვერტიკალური გეგმარების და გენგეგმის დამუშავებით შემოიფარგლებოდა.

ამრიგად, აღნიშნული ორი კორპუსის ასაშენებლად გამოყენებული იყო ერთი მუშა პროექტი, რომელიც უკვე 24 აგვისტოს ჰქონდა სამინისტროს და რომლითაც ერთი კორპუსის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენდა 2,363.27 ათას ლარს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სატენდერო განცხადებაში უკვე 25 აგვისტოს შეიძლება ცვლილებების შეტანა და შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად 4,700.0 ათასი ლარის გამოცხადება, რაც პოტენციურ

პრეტენდენტებს მისცემდა ტენდერში მონაწილეობისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადების საშუალებას და რითაც გაიზრდებოდა კონკურენცია. იმის შესახებ, თუ რატომ გაჭიანურდა ასეთი ცვლილებების შეტანა 7 სექტემბრამდე, შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისაგან არგუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი.

შპს „ზიმოს“ მიერ ტენდერის დასრულებიდან მეორე დღეს, 14 სექტემბერს სამინისტროში წარმოდგენილია დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა ჯამური ღირებულებით 4,681.2 ათასი ლარი, რომელიც გადაეგზავნა სამინისტროს შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოების ორგანიზების და ტექნიკური დამხმარეობის სამსახურს. ამ სამსახურის მიერ გაცემულია დასკვნა, რომლის მიხედვითაც წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა შესაბამისობაშია სატენდერო დოკუმენტაციით (პროექტით) განსაზღვრულ მოთხოვნებთან. აღნიშნულის საფუძველზე კი, სატენდერო კომისიის მიერ 2011 წლის 19 სექტემბერს (სხდომის ოქმი N4) გადაწყდა, რომ შპს „ზიმოსათვის“ მიეცათ 4 სამუშაო დღის ვადა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოსადგენად. სატენდერო კომისიის მიერ 2011 წლის 13 ოქტომბრის N5 სხდომის ოქმით ირკვევა, რომ ზემოხსენებული დოკუმენტები წარმოდგენილი იყო სრულყოფილად, ამიტომ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ზიმო“ და კომისიის აპარატს დაევალა ხელშეკრულების მომზადება.

ამრიგად, შპს „ზიმო“ გამარჯვებულად გამოცხადდა 13 ოქტომბერს, ხოლო შესაბამისი ხელშეკრულება (N858) გაფორმდა 21 ოქტომბერს. ამ დროს, ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით ირკვევა, რომ შპს „ზიმო“ უკვე, მინიმუმ 16 ოქტომბერს აწარმოებდა სამუშაოებს. კერძოდ, წარმოდგენილი სამუშაოთა წარმოების ჟურნალების მიხედვით 16 – 18 სექტემბერს სულ შემოტანილი, დაყრილი და დატკეპნილია 875 მ³. ქვიშა - ღორღი, 16 - 20 სექტემბერის ჩათვლით ექსკავატორით ქვაბულში დამუშავებულია 2400 მ³. მიწა, განხორციელებულია 1450 მ³. ზედმეტი გრუნტის ტრანსპორტირება და ა. შ.

ამასთან, შპს „ზიმოს“ მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციით (პროექტით) განსაზღვრულ მოთხოვნებს. კერძოდ: შპს „ზიმოს“ მიერ შედგენილი თავდაპირველი ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული იყო ლიფტების მონტაჟი, იატაკის მოპირკეთება კერამოგრანიტის ფილებით პლინტუსების მოწყობით, მონოლითური ბეტონის იატაკის მოწყობა მორკინვით, შიდა კედლებისა და ჭერის გალესვა ქვიშა - ცემენტის ხსნარით. საერთო ღირებულებით თითოეულ კორპუსზე - 253.3 ათასი ლარი.

ტენდერის ჩატარების შემდეგ, კერძოდ 2011 წლის 19 სექტემბერს, შპს „ზიმოს“ მიერ წარმოდგენილ დაზუსტებულ ხარჯთაღრიცხვაში აღნიშნული სამუშაოები საერთოდ არ არის შეტანილი და მათი ღირებულების ნაწილით, დაზუსტებულ ხარჯთაღრიცხვაში ერთი გრ.მ. ხიმინჯის გაჭრის ღირებულება ძალზე არარეალური 50 ლარიდან გაზრდილია 400 ლარამდე.

მიუხედავად ამისა, სამინისტროს შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოების ორგანიზების და ტექნიკური დამხმარეობის სამსახურს დასკვნაში, აღნიშნულია რომ, „წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა შესაბამისობაშია სატენდერო დოკუმენტაციით (პროექტით) განსაზღვრულ

მოთხოვნებთან“. აღნიშნულის გამო, ეს პრეტენდენტი გამოცხადდა გამარჯვებულად, მაშინ როდესაც იგი ექვემდებარებოდა დისკვალიფიკაციას, რაც არ განხორციელებულა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული მშენებლობისათვის არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გადმოცემის თხოვნით შს სამინისტრომ მხოლოდ 2011 წლის 10 ნოემბერს მიმართა ეკონომიკის სამინისტროს, საიდანაც თანხმობის წერილი 15 ნოემბერს მიიღო. ამრიგად, მშენებლობა დაიწყო 2011 წლის ოქტომბერში, ისე რომ შესაბამისი მიწის ნაკვეთი ჯერ არ იყო გადმოცემული.

ი) აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2011 წლის 23 აგვისტოს ანუ შპს „ესას“ მიერ ტექდოკუმენტაციის მოწოდებამდე ერთი დღით ადრე შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ატვირთულია ხიმიწების განლაგების გეგმა - 1.10 ნიშნულზე, რომლის მიხედვით თითოეული კორპუსისათვის უნდა გაჭრილიყო 39 ერთეული ხიმიწი 15 მეტრ სიღრმეზე, რაც არ შეცვლილა. მიუხედავად ამისა ტენდერში მონაწილე შპს „ზიმოს“ მიერ 13 სექტემბერს წარმოდგენილ სატენდერო ხარჯთაღრიცხვაში თითოეული კორპუსისათვის გათვალისწინებულია 666 გრძ.მ. ხიმიწის გაჭრა 18 მეტრის სიღრმეზე (37x18). მეორე მონაწილე შპს „დაგი“-ს მიერ წარდგენილ ხარჯთაღრიცხვაში კი - 1404 გრძ.მ. ხიმიწების მოწყობა (37x 18 x2), თუმცა ტექსტში მითითებული აქვს 37 ერთეული ხიმიწის გაჭრა 18 მეტრი სიღრმეზე.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ვერ დგინდება, თუ რა დოკუმენტებზე დაყრდნობით დააფიქსირეს ეს პარამეტრები ტენდერში მონაწილე საწარმოებმა.

როგორც ამ საკითხის შესწავლით დადგინდა, შპს „ესას“ მომზადებული პირვანდელი საპროექტო დოკუმენტაციის თანახმად თითოეულ კორპუსზე გათვალისწინებული იყო 37 ერთეული ხიმიწის გაჭრა 18 მეტრის სიღრმეზე (ფურცელი 01), რაზედაც პროექტში წარმოდგენილია ხიმიწების არმირების ორი ვარიანტი და შესაბამისი მასალების სპეციფიკაცია (ფურცელი 02, 03, 04). მასალათა სპეციფიკაციის მონაცემები, ანუ სახარჯი მასალების მოცულობები სრულადაა გადატანილი შპს „ესას“ მიერ შედგენილ ხარჯთაღრიცხვაში, კერძოდ: ერთი კორპუსისათვის 666 გრძ.მ. ხიმიწის გასაჭრელად (37 ხიმიწი 18 მეტრის სიღრმეზე), გათვალისწინებულია 430 მ³. გრუნტის დამუშავება, ა/მ-ზე დატვირთვა და ტრანსპორტირება 25 კმ. მანძილზე. ასევე, 45.216 ტ. არმატურა და 423.48 მ³. ბეტონი. ამ სამუშაოთა საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება დარიცხვების გათვალისწინებით შეადგენს - 253.3 ათას ლარს, ანუ ერთი გრძ.მ. ხიმიწის მოწყობა შეფასებულია 380.35 ლარად.

შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ატვირთული პროექტის მიხედვით კი უნდა გაჭრილიყო 39 ხიმიწი თითოეული 15 მეტრის სიღრმეზე, ანუ ერთი კორპუსისათვის გათვალისწინებული იყო 585 გრძ.მ. ხიმიწების მოწყობა. აქედან გამომდინარე, სატენდერო დოკუმენტაციით ხიმიწების სიგრძე 666 მეტრიდან შემცირებულია 585 მეტრამდე, სხვაობა შეადგენს 81 გრძ.მ-ს, საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით - 30.8 ათასი ლარი, რაც ორივე კორპუსისათვის შეადგენს 61.6 ათას ლარს. აღსანიშნავია, რომ შესაბამისი ცვლილება სატენდერო ხარჯთაღრიცხვასა და სავარაუდო ღირებულებაში შეტანილი არ არის.

აღსანიშნავია, რომ ტენდერში გამარჯვებული შპს „ზიმოს“ მიერ წარმოდგენილ თავდაპირველ ხარჯთაღრიცხვაში ერთი კორპუსისათვის გათვალისწინებული იყო 666 გრძ.მ. ხიმინჯების გაჭრა (37 ხიმინჯი 18 მეტრის სიღრმეზე), თუმცა დაზუსტებულ ხარჯთაღრიცხვაში, რომელიც ხელშეკრულების გაფორმების საფუძველი გახდა, მხოლოდ 585 გრძ.მ. ხიმინჯების გაჭრაა დაფიქსირებული (39 ხიმინჯი 15 მეტრის სიღრმეზე). მიუხედავად ამისა, არ შემცირებულა აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მასალების რაოდენობა და სამუშაოთა მოცულობები. შედეგად, ამ სამუშაოების ღირებულებამ დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვით დარიცხვების გათვალისწინებით შეადგინა 475.1 ათასი ლარი, ანუ ერთი გრძ.მ ხიმინჯის გაჭრის ფასი მნიშვნელოვნად, კერძოდ 812.1 ლარამდე გაიზარდა.

შპს „ზიმოს“ მიერ წარმოდგენილ მიღება-ჩაბარების აქტში (ფორმა 3), რომელიც დადასტურებულია ექსპერტის დასკვნით, ეს პარამეტრები უცვლელადაა გადატანილი და შედეგად 585 გრძ.მ. ხიმინჯების მოსაწყობად გამოყენებულადაა ნაჩვენები იგივე რაოდენობის შრომითი რესურსები და მასალა, რაც საკმარისი იყო 81 გრძ.მ-ით უფრო მეტი (666 გრძ.მ.) ხიმინჯების მოსაწყობად. ეს გარემოება კი აჩენს ეჭვს, რომ მინიმუმ 30.0 ათასი ლარითაა გაზრდილი მისაღები თანხის ოდენობა. ამ გაანგარიშებაში ერთი გრძ.მ. ხიმინჯის მოწყობის ღირებულებად აღებულია 380.35 ლარი ($380.35 \times 81 = 30.8$ ათასი ლარი), ანუ შპს „ესას“ მიერ შედგენილ ხარჯთაღრიცხვაში არსებული მონაცემები და არა თვითონ შპს „ზიმოს“ მიერ წარმოდგენილ მიღება-ჩაბარების აქტში შეტანილი ერთეულის ფასი (812.1 ლარი), რაც გაცილებით მეტია საბაზრო ღირებულებაზე.

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ შპს „ზიმოს“ მიერ წარმოდგენილ სამუშაოთა წარმოების ჟურნალებშიც და ფარულ სამუშაოთა აქტებშიც, მხოლოდ 37 ერთეული 15 მეტრიანი ხიმინჯის მოწყობაა დაფიქსირებული. ამ შემთხვევაშიც ჩნდება ეჭვი, რომ ადგილი აქვს შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის ხელოვნურად გაზრდის ფაქტს, რის გამოც 24.4 ათასი ლარის ღირებულების 30 გრძ.მ-ით უფრო მეტი ხიმინჯის მოწყობაა შესრულებულად ნაჩვენები, ვიდრე ფაქტობრივად შესრულდა.

ანალოგიურ დარღვევებს აქვს ადგილი მეორე კორპუსის სამშენებლო სამუშაოებშიც.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 26 დეკემბრისა და 2012 წლის 6 იანვრის დასკვნებით დადასტურებულია მიღება-ჩაბარების აქტების რეალობა, ისე რომ არაფერია აღნიშნული ზემოხსენებული შეუსაბამოების შესახებ.

კ) შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრების, აგრეთვე სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ უფროსის 2012 წლის 4 ივნისის ერთობლივი ბრძანებით დამტკიცდა ქ.ახალციხეში ზემოხსენებული სამსახურების თანამშრომელთათვის საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო-სამუშაოების სატენდერო დოკუმენტაცია და ტენდერის ჩატარება დაევალა შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო კომისიას. ბრძანებაში მითითებული იყო, რომ ანგარიშსწორება უნდა ეწარმოებინა შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტრო სსიპ „აღსრულების ეროვნულ ბიუროს“, სსიპ „შემოსავლების სამსახურს“ და ამ სამსახურების თანამშრომლებს სს „საქართველოს ბანკის“ იპოთეკური სესხის მეშვეობით.

აღნიშნული კორპუსის საპროექტო სამუშაოების შესყიდვა სამინისტროს მიერ არ განხორციელებულა. წარმოდგენილი ინფორმაციით გამოყენებულ იქნა არსებული, შსს-ს კუთვნილი საპროექტო დოკუმენტაცია, ხოლო შპს „ინტერ-დიზაინი 2000“-ის მიერ განხორციელდა ამ პროექტის ადგილზე მიზმის, კორექტირების, ტერიტორიის გეოლოგიური კვლევის და ტოპოგადაღებების სამუშაოები, რაშიც მას გადაუხადეს 10.0 ათასი ლარი. ამ სამუშაოების შესრულებისათვის შპს „ინტერ-დიზაინი 2000“-თან ხელშეკრულება №501 გაფორმებულია 11 ივნისს, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტი - 18 ივნისს, მაშინ როდესაც წყლის ქიმიური კვლევის შედეგებზე დასკვნა გაცემულია 22 ივნისს.

სამინისტროს მიერ უშუალოდ კორპუსის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით ტენდერი ჯერ კიდევ 4 ივნისს, ანუ შპს „ინტერ-დიზაინი 2000“-ის მიერ ზემოხსენებული სამუშაოების დაწყებამდე გამოცხადდა, რაც არასწორია.

ამ განცხადებით სატენდერო წინადადებების მიღება იწყებოდა 20 ივნისს და მთავრდებოდა 25 ივნისს. 19 ივნისს, ანუ სატენდერო წინადადებების მიღების დასრულებამდე 6 დღით ადრე სატენდერო დოკუმენტაციის ძირითად (არქიტექტურა, ელექტრობა, კონსტრუქციები, სანტექნიკა) ნაწილში შეტანილია ცვლილებები. კერძოდ, თავდაპირველად სისტემაში ატვირთული იყო შპს „ესსა“-ს დირექტორის და პროექტის ავტორის მიერ ხელმოწერილი პროექტი, რომლის წარმომავლობის შესახებ ვერანაირი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი. ცვლილებების შემდეგ ატვირთულ პროექტს აქვს შპს „ინტერ-დიზაინი 2000“-ის დირექტორის (ვ. ნაზაროვის) და პროექტის ავტორის (გ.პატარქალიშვილის), ხელმოწერები. აღსანიშნავია, რომ ორივე პროექტის ავტორად ერთი და იგივე პიროვნება გ.პატარქალიშვილი არის მითითებული.

შესყიდვების ვებგვერდზე 19 ივნისს ატვირთული პროექტი თითქმის თბილისში აშენებული კორპუსების იმ პროექტების ანალოგიურია, რომელიც შპს „ზიმოს“ მიერ არის შედგენილი.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას რომ შპს „ზიმოს“ მიერ უკვე 28 მაისს ჩაბარებულად არის ნაჩვენები სამი ანალოგიური კორპუსი, მაშინ სამინისტროში უკვე უნდა ყოფილიყო შესაბამისი დასკვნა გაკეთებული და თუ ამ პროექტით იყო განზრახული ახალციხის კორპუსის აშენებაც, მაშინ პირდაპირ ეს პროექტი უნდა ატვირთულიყო შესყიდვების პორტალზე და არა სხვა, დაუდგენელი წარმოშობის პროექტი.

ამრიგად, ამ შემთხვევაშიც, პრეტენდენტებს რეალურად მხოლოდ 6 დღე ჰქონდათ სატენდერო წინადადებების შეცვლილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

განცხადებაში შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად მითითებული იყო 4,680.0 ათასი ლარი.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ შპს „ზიმომ“, რომელსაც შესყიდვის სავარაუდო ღირებულება არ შეუცვლია და 4,680.0 ათას ლარად შესთავაზა ამ სამუშაოების შესრულება, რაზედაც 5 ივლისს გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება (N556). ხელშეკრულებით აღნიშნული მშენებლობა ხუთ თვეში, ანუ 5 დეკემბერს უნდა დასრულებულიყო, ხოლო სამინისტროს წილი გადასახდელი თანხა 1,237.2 ათასი ლარს შეადგენდა. აუდიტის მიმდინარეობისას მშენებლობა დასრულებული არ იყო, თუმცა 1 ოქტომბრამდე სამინისტროს მიერ ანაზღაურებულია 309.2 ათასი ლარი.

ლ) აუდიტის პროცესში ზემოხსენებული მშენებლობების თაობაზე შეთანხმება ვერ წარმოგვიდგინეს, რითაც დარღვეულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 25 მაისის N 1-1/842 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტროს ან მისი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების მიერ სამშენებლო დოკუმენტაციის წარმოებისა და შეთანხმების წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის ძალითაც: „მშენებლობის თაობაზე შეთანხმების შესახებ გამოიცემა სათანადო ადმინისტრაციული აქტი, რომელიც წარმოადგენს მშენებლობის განხორციელების საფუძველს“.

აღსანიშნავია, რომ ამავე სამართლებრივი აქტის მე-2 მუხლის ა) პუნქტის მიხედვით, მშენებლობის თაობაზე შეთანხმება არის, „მშენებლობის შემთანხმებელი ორგანოების მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტი, რომელიც ადასტურებს ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობას, რის საფუძველზეც შესაძლებელია მშენებლობის განხორციელება“.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-10 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილების საფუძველზე, ხოლო ამ ფორმით პრივატიზების მიზანია, საკუთრების უფლება გადაეცეს იმ მყიდველს, რომელიც სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებს პრივატიზებისათვის დადგენილ პირობას (პირობებს).

აღნიშნულის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 11 ივლისის №11/07/02, 2011 წლის 20 სექტემბრის №20/09/01, 2012 წლის 26 მარტის №26/03/03 და 2012 წლის 31 ივლისის №31/07/04 განკარგულებებით სამინისტროს თანამშრომლებს პირდაპირი მიყიდვის ფორმით სიმბოლურ ფასად - 1 ლარად გადაეცათ აღნიშნული ბინები (თბილისი, ანაკლია და ახალციხე). ამ განკარგულებებში საპრივატიზებო პირობად დადგენილია ხსენებული 1 ლარის გადახდა 30 დღეში, ხოლო დამატებით საპრივატიზებო პირობების განსაზღვრის უფლება მიენიჭა შინაგან საქმეთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებს.

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 11 ივლისის №11/07/02 განკარგულების საფუძველზე გამოცემულია შსს მინისტრის 2011 წლის 12 ივლისის №594 ბრძანება, რომელიც არეგულირებს თანამშრომელთათვის ბინების გადაცემის, ანგარიშსწორების და სხვა საკითხებს. აღნიშნული ბრძანების №5 და №6 პუნქტებად მითითებულია, რომ თუ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო თანამშრომელს გაუუქმდება ნასყიდობის ხელშეკრულება, სამინისტრო უფლებამოსილია ამ ქონების განკარგვის შესახებ შუამდგომლობით მიმართოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. ამასთან, ყოფილ თანამშრომელს ახლად შერჩეულისაგან უნაზღაურდება მის მიერ გაწეული ხარჯი. ხოლო №7; და №8 პუნქტები ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

- 7. სამინისტროს მიერ შერჩეული „კანდიდატი ვალდებულია მის საკუთრებაში გადაცემული ქონება არ გაასხვისოს სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე სამი წლის განმავლობაში“;

- 8. „სამინისტროს თანამშრომელი ვალდებულია სამი წლის განმავლობაში სამინისტროს თანხმობის გარეშე არ შეიცვალოს სამსახური, ხოლო შეცვლის შემთხვევაში სამინისტროს მოთხოვნისთანავე ვალდებულია გადაცემული ფართი დაუბრუნოს სახელმწიფოს“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შსს-ს შესაბამის თანამშრომლებს შორის გაფორმდა სტანდარტული სახის ხელშეკრულებები, რომელთა მე-3 მუხლიც („დამატებითი საპრივატიზაციო პირობა“) ითვალისწინებს ზემოხსენებულ შეზღუდვებს.

ამრიგად, აღნიშნული სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისათვის დადგენილ იქნა გარკვეული პირობები, რაც კანონის მოთხოვნაა და რასაც ითხოვდა პრეზიდენტის ნორმატიული აქტიც. ამიტომ ამ პირობების შესრულება, ლოგიკურად უნდა ყოფილიყო სახელმწიფო ინტერესებში, რაც გაამართლებდა სახელმწიფო რესურსების ხარჯვას. მიუხედავად ამისა, მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ე.ზღუღაძის 2012 წლის 3 ოქტომბრის N804 ბრძანების საფუძველზე, მინისტრის 2011 წლის 12 ივლისის №594 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და №5; №6; №7; და №8 პუნქტები ისე იქნა ამოღებული, რომ სხვა რაიმე პირობის ჩადება არ მომხდარა. ორი დღის შემდეგ (5 ოქტომბერს) კი ე.ზღუღაძემ წერილით მიმართა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ თავმჯდომარეს (დ.გიორგაძეს), შსს-ს თანამშრომლებთან 2011-2012 წლებში გაფორმებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებიდან ამოეღოთ ზემოხსენებული მე-3 მუხლი.

იმის გათვალისწინებით, რომ ბინით დაკმაყოფილების მსურველთა რაოდენობა აშკარად აღემატებოდა არსებულ რესურსებს, საჭირო იყო გარკვეული კრიტერიუმების შემუშავება, რითაც განისაზღვრებოდა ბინის მიმღები კონტიგენტი, რაც ოფიციალური დოკუმენტის სახით არ შექმნილა.

შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით, მინისტრის გადაწყვეტილებით ბინათმშენებლობის პროექტში თანამშრომლები შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით შეირჩა: „მრავალშვილიანი ოჯახები, არ გააჩნდათ საცხოვრებელი ფართები და ცხოვრობდნენ ქირით, სამინისტროს დამსახურებული თანამშრომლები, იძულებით გადაადგილებული პირები და სხვა სოციალურად შეჭირვებული მოსამსახურეები“.

ამავე განმარტებით, მინისტრის მიერ სამინისტროს თითოეულ დანაყოფზე გადანაწილდა ბინების გარკვეული რაოდენობა, თუმცა ამ რაოდენობის გაანგარიშების რაიმე კრიტერიუმი ვერ იქნა წარმოდგენილი. ამ გადანაწილების მიხედვით თითოეულმა დანაყოფმა წარმოადგინა ბინათმშენებლობის პროექტში მონაწილე შერჩეული კანდიდატურების სიები.

ასევე, არანაირი არგუმენტაცია, თუ რა ნიშნის მიხედვით შეირჩა ბინის მსურველთაგან ესა თუ ის პიროვნება, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილ ოფიციალურ მასალებში არ ჩანს.

წარმოდგენილი ინფორმაციით, სულ 2011-2012 წლებში ბინათმშენებლობის პროექტის ფარგლებში განაწილებულია 460 ბინა, მ.შ. თბილისში – 332 ბინა (აქედან 36 ბინა საჩუქრად), ანაკლიაში – 60 ბინა, ახალციხეში – 68 ბინა.

საჯარო რეესტრის სააგენტოს ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის გადამოწმებით სრულყოფილად ვერ მოხერხდა დადგენა იმისა, არსებობდა თუ არა ბინების მიმღებთა საკუთრებაში სხვა საცხოვრებელი ფართი. აღნიშნული საკითხი შემდგომ შესწავლას საჭიროებს, რათა დადგინდეს ბინების განაწილების სამართლიანობა.

მინისტრის 2011 წლის 8 აგვისტოს №669 ბრძანებით საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარ სამმართველოს დაევალა გაეფორმებინა ხელშეკრულება შპს „ცვლილებათა ქართან“ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. ხელშეკრულებით, შპს „ცვლილებათა ქარი“ სამინისტროს საკუთრების უფლებით გადასცემდა 17 ბინას ქ.ბათუმში ლერმონტოვის ქუჩა №107-ში არსებულ მშენებარე სახლში. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენდა 556.7 ათას აშშ დოლარს, საიდანაც 185.6 ათასი აშშ დოლარი უნდა გადაეხადა სამინისტროს, ხოლო დანარჩენი სამინისტროს 17 თანამშრომელს სს „საქართველოს ბანკის“ მიერ დამტკიცებული იპოთეკური სესხის მეშვეობით, რაზედაც ბანკსა და სამინისტროს შორის გაფორმებული იყო მემორანდუმი. ზემოხსენებული ბრძანებით გათვალისწინებული იყო აღნიშნული ბინების თანამშრომლებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემა, ხოლო საკუთრების მოპოვებასთან (ბინების და იპოთეკის რეგისტრაციასთან) დაკავშირებული ხარჯები უნდა დაეფარა სამინისტროს.

2011 წლის 9 სექტემბერს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით სამინისტრომ ჩაიბარა აღნიშნული მშენებარე ბინები, იმავე დღეს მომწოდებელს გადაერიცხა 308.5 ათასი ლარი და ეს აქტივები 2011 წლის ბალანსში აისახა დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე.

ანალოგიურად, მინისტრის 2011 წლის 8 დეკემბრის №988 ბრძანებით საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარ სამმართველოს დაევალა გაეფორმებინა ხელშეკრულება უძრავი ქონების შესყიდვის შესახებ ამხანაგობა „აღმაშენებელი 1“-თან, რომელსაც სამინისტროსათვის საკუთრების უფლებით უნდა გადაეცა 15 ბინა, ქ. ქუთაისში აღმაშენებლის გამზირზე №81/2-ში მშენებარე სახლში. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენდა 378.0 ათას აშშ დოლარს, საიდანაც 126.0 ათასი აშშ დოლარი უნდა გადაეხადა სამინისტროს, ხოლო დანარჩენი სამინისტროს 17 თანამშრომელს სს „საქართველოს ბანკის“ მიერ დამტკიცებული იპოთეკური სესხის მეშვეობით. ამ ბრძანებითაც გათვალისწინებული იყო აღნიშნული ბინების თანამშრომლებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემა, ხოლო საკუთრების მოპოვებასთან (ბინების და იპოთეკის რეგისტრაციასთან) დაკავშირებული ხარჯები ამ შემთხვევაშიც უნდა დაეფარა სამინისტროს.

2011 წლის 19 დეკემბერს სამინისტრომ მომწოდებელს გადაურიცხა 208.7 ათასი ლარი.

აღსანიშნავია რომ ზემოხსენებული ბრძანებების (№669 და №988) საფუძველად მოყვანილია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-17 პუნქტი, სადაც მითითებულია რომ: „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით სამინისტროს მოსამსახურეს საცხოვრებლად შესაძლებელია სარგებლობაში გადაეცეს სამინისტროს ბალანსზე რიცხული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბინა, სახლი, დამხმარე ნაგებობები და მათზე მიმაგრებული მიწის ფართობი“.

2011 წლის 16 სექტემბერს და 2012 წლის 2 თებერვალს გამოცემულია საქართველოს პრეზიდენტის №16/09/11 და №02/02/05 განკარგულებები, რომელთა ძალითაც სამინისტროს თანამშრომლებს პირდაპირი მიყიდვის ფორმით სიმბოლურ ფასად - 1 ლარად გადაეცათ აღნიშნული ბინები (ქუთაისშიც და ბათუმშიც). ამ განკარგულებებშიც საპრივატიზებო პირობად დადგენილია ხსენებული 1 ლარის გადახდა 30 დღეში, ხოლო დამატებითი საპრივატიზებო პირობების განსაზღვრის უფლება მიენიჭა შინაგან საქმეთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებს. ამ შემთხვევაშიც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დადგენილი იყო ისეთივე დამატებით საპრივატიზებო პირობები, როგორიც თბილისის, ანაკლიის და ახალციხის ბინების მიმღებთათვის. აღნიშნული პირობები, მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ე.ზღუღაძის 2012 წლის 3 ოქტომბრის N804 ბრძანების საფუძველზე, ამ ხელშეკრულებებიდანაც იქნა ამოღებული, ისე რომ სხვა რაიმე პირობის ჩადება არ მომხდარა.

აუდიტის პერიოდში ინტენსიურად ხორციელდებოდა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების ადმინისტრაციული შენობების მშენებლობა. როგორც უკვე აღინიშნა, სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით ტენდერები ისე ცხადდებოდა, რომ ჯერ არ იყო მომზადებული შესაბამისი საპროექტო დოკუმენტები. ამიტომ, სატენდერო დოკუმენტაციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შედიოდა სატენდერო წინადადებების მიღების დაწყების წინა დღეს. ამასთან ცვლილებები ეხებოდა, როგორც შესყიდვის სავარაუდო ღირებულებებს, ისე არქიტექტურულ-კონსტრუქციულ და სხვა საპროექტო დოკუმენტებს. ამის გამო პოტენციურ პრეტენდენტებს რეალურად მხოლოდ 6-7 დღე ჰქონდათ სატენდერო წინადადებების შეცვლილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, რასაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოეხდინა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების რაოდენობაზე, მით უმეტეს, რომ ხარჯთაღრიცხვა, ან თუნდაც შესასრულებელ სამუშაოთა ჩამონათვალი (მოცულობები) სისტემაში ატვირთული არ იყო და სავარაუდო პრეტენდენტებისათვის რთული იყო ამ მოკლე დროში უშეცდომოდ გაეკეთებინათ ხარჯთაღრიცხვა.

აღნიშნულ ტენდერებში მონაწილე პრეტენდენტების რაოდენობაზე უარყოფით გავლენას ახდენდა აგრეთვე, სატენდერო განცხადებაში დაფიქსირებული საკვალიფიკაციო მოთხოვნა იმის შესახებ, რომ პრეტენდენტის ბრუნვა 2008-2010 წლების განმავლობაში არ უნდა ყოფილიყო გარკვეულ თანხაზე ნაკლები და ეს ზღვარი ხშირად საკმაოდ დიდი იყო, რამაც ბევრ საწარმოს არ მისცა ამ ტენდერებში მონაწილეობის შესაძლებლობა და შეასუსტა კონკურენცია.

მაგალითად: 2011 წლის 26 ოქტომბერს სამინისტრომ, მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი, სადაც სატენდერო წინადადებების მიღება იწყებოდა 12 და მთავრდებოდა 17 ნოემბერს. ობიექტის შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განსაზღვრული იყო 3.2 მლნ. ლარით.

11 ნოემბერს, ანუ სატენდერო წინადადებების მიღების დაწყების წინა დღეს, სატენდერო დოკუმენტაციაში და სატენდერო განცხადებაში შეტანილია მნიშვნელოვანი ცვლილებები, კერძოდ სისტემაში აიტვირთა არქიტექტურის, გათბობის, კონსტრუქციების და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების კორექტირებული ვერსიები, აგრეთვე დამატებითი შენობის საპროექტო დოკუმენტაცია.

გარდა ამისა, სატენდერო განცხადებაში დაფიქსირებული საკვალიფიკაციო მოთხოვნა იმის შესახებ, რომ პრეტენდენტის ბრუნვა 2010-2011 წლების განმავლობაში უნდა ყოფილიყო არანაკლებ 10.0 მილიონი ლარისა, შეიცვალა 8.0 მილიონი ლარით, თუმცა შესაბამისმა სამსახურმა ვერ წარმოგვიდგინა ასეთი მოთხოვნის დაწესების არგუმენტაცია.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო ოთხმა პრეტენდენტმა: შპს „ელექტრო მონტაჟ სერვისმა“, შპს „არტესმა“, შპს „გრუსიამ“, შპს „კონსტრუქციამ“ და შპს „ბლოკ-ჯორჯიამ“. გამარჯვება მოიპოვა შპს „ბლოკ-ჯორჯიამ“ (ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელია 4 პირი, მათ შორის მამუკა და ვახტანგ ჯანაშვილები), რომელმაც ვაჭრობის მესამე რაუნდში 2,748.9 ათას ლარად შესთავაზა ამ სამუშაოების შესრულება, რაზედაც 13 დეკემბერს გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება (N979).

აღნიშნული საკითხის შესწავლითაც გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები და დანაშაულის ნიშნების შემცველი გარემოებები. კერძოდ:

1. სამინისტროს პასუხისმგებელი პირების სიტყვიერი განმარტებით შესაბამისი პროექტი და ხარჯთაღრიცხვა შესყიდულია შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ. იგი შედგენილია შპს „ნიკოლოზი“-ის მიერ (დამფუძნებელი და დირექტორი - ნიკოლოზ ჯანაშვილი). აღნიშნული ხარჯთაღრიცხვა არასრულყოფილია, კერძოდ: მასში არ არის შეტანილი წყალმომარაგების, კანალიზაციის, გათბობის და საქვების სამშენებლო სამუშაოების განფასება. მიუხედავად ამისა ჯამური სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 4,403.5 ათას ლარს. აქედან გამომდინარე არალოგიკურია სატენდერო განცხადებით შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად 3.2 მლნ. ლარის გამოცხადება, მაშინ როდესაც სამინისტროს მიერ მოთხოვნილი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მხოლოდ ნაწილის ღირებულება, ამ ხარჯთაღრიცხვის მიხედვით 4.4 მლნ. ლარს აღემატებოდა.
2. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შორის გაიმართა ვაჭრობა და ზემოხსენებული გამარჯვებული გამოვლინდა მხოლოდ მესამე რაუნდის შედეგად, რომელმაც მხოლოდ 99 ლარით აჯობა მეორე ადგილზე გასულ პრეტენდენტს, კერძოდ შპს „კონსტრუქციას“ და 1100 ლარით მესამე ადგილზე გასულ პრეტენდენტს, კერძოდ შპს „არტესს“. აღნიშნული პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების შედარებით გაირკვა რომ გამარჯვებულ პრეტენდენტს, კერძოდ შპს „ბლოკ-ჯორჯიას“ ხარჯთაღრიცხვაში არ ჰქონდა შეტანილი მნიშვნელოვანი სამუშაოები. კერძოდ: სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი ძალოვანი ტრანსფორმატორისა და დიზელ-გენერატორის შეძენა და მონტაჟი, ვერტიკალური დაგეგმარება და ტერიტორიის კეთილმოწყობა, აგრეთვე გარე განათება, რომელთა ღირებულებაც შპს „ნიკოლოზი“-ის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვით ჯამში 1,490.4 ათასი

ლარს შეადგენს. მათ შორის, ტრანსფორმატორისა და დიზელ-გენერატორის შეძენა და მონტაჟის ჯამური ღირებულებაა 308.2 ათასი ლარი, ვერტიკალური დაგეგმარების და ტერიტორიის კეთილმოწყობისა-1070,5 ათასი ლარი, გარე განათების-111.7 ათასი ლარი. მიუხედავად ამისა აღნიშნული სამუშაოებიდან შპს „ბლოკ-ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილ სატენდერო და დაზუსტებულ ხარჯთაღრიცხვებში ვერტიკალური დაგეგმარების და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოებიდან მხოლოდ მცირე ნაწილია შეტანილი სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 136.8 ათასი ლარი, დანარჩენი კი საერთოდ არ არის ნახსენები.

რაც შეეხება ზემოხსენებულ დამარცხებულ პრეტენდენტებს (შპს „კონსტრუქცია“ და შპს „არტესი“) მათ მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვები უფრო სრულყოფილია და მეტად შეესაბამება სატენდერო განცხადების მოთხოვნებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია შპს „არტესი“ მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა, სადაც შეტანილია გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ გამოტოვებული, მაგრამ სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი ყველა სამუშაო ჯამური ღირებულებით 587.3 ათასი ლარი (ტერიტორიის კეთილმოწყობა (281.3 ათასი ლარი), ვერტიკალური დაგეგმარება (97.2 ათასი ლარი), ძაღვანი ტრანსფორმატორი და დიზელ-გენერატორი (147.9 ათასი ლარი), ტერიტორიის გარე განათება (60.9 ათასი ლარი). მიუხედავად ამისა ამ პრეტენდენტის საბოლოო შემოთავაზება 2,750.0 ათასი ლარი, მხოლოდ 1100 ლარით აღემატებოდა საბოლოო შეთავაზებას. აქედან გამომდინარე, შპს „ბლოკ-ჯორჯია“ ექვემდებარებოდა დისკვალიფიკაციას, რაც სამინისტროს სატენდერო კომისიის მიერ არ განხორციელებულა და ამ საწარმოს უკანონოდ მიენიჭა ტენდერში გამარჯვებულის სტატუსი.

3. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამინისტრომ თხოვნით მიმართა შპს „ნიკოლოზი“-სს შეედარებინა შპს „ბლოკ-ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა მათ მიერ შედგენილი პროექტის ხარჯთაღრიცხვასთან, რაზედაც მიღო პასუხი, რომ მხოლოდ მცირე სხვაობები იქნა აღმოჩენილი მასალათა რაოდენობაში. ზემოხსენებული შეუსაბამოების შესახებ კი არაფერია დაფიქსირებული.
4. 2011 წლის 28 ივნისს სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი, მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ეზოში ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვის მიზნით. ამ შემთხვევაში შესყიდვის ობიექტს, 100.0 ათასი ლარის სავარაუდო ღირებულებით, წარმოადგენდა ის სამუშაოები, რომლებიც ამ შენობის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერთაგ იყო მოთხოვნილი და ერთ-ერთი პრეტენდენტის (შპს „არტესი“) სატენდერო წინადადებაში იყო კიდევ გათვალისწინებული. შპს „ბლოკ-ჯორჯიამ“ კი ისე გაიმარჯვა ტენდერში, რომ ეს სამუშაოები არ ჰქონდა გათვალისწინებული და არც შეუსრულებია ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა, კერძოდ: შპს „მედმშენმა“ (დამფუძნებელი და დირექტორი - გია ჯანაშვილი), რომელმაც 99.5 ათას ლარად შესთავაზა ამ სამუშაოების შესრულება, რაზედაც 9 აგვისტოს გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება (N709). საწარმოს მიერ ფაქტიურად შესრულებულია 96.9 ათასი ლარის სამუშაოები, რომელიც ანაზღაურებულია სრულად.

5. იმავე დღეს, ანუ 2012 წლის 28 ივნისს სამინისტრომ კიდევ ერთი ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა, ამავე შენობის ეზოში სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოთა შესყიდვაზე, რომელშიც გაიმარჯვა შპს „ივერია 7“-მა (2012 წლის 8 აგვისტოს ხელშეკრულება N707). ფაქტიურად შესრულებულია 61.2 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები, რომელიც ანაზღაურებულია სრულად. ამ შემთხვევაშიც სამინისტრომ შეისყიდა ის სამუშაოები რომლებიც ზემოხსენებული ტენდერთაგ იყო მოთხოვნილი და რამდენიმე პრეტენდენტის (მათ შორის შპს „არტესი“) სატენდერო წინადადებაში იყო გათვალისწინებული.

ამრიგად, სამინისტროს სატენდერო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო, მხოლოდ 2012 წლის 1 ოქტომბრამდე საჭირო გახდა დამატებით 157.0 ათას ლარით მეტი ხარჯის გაწევა, რადგან თუ გამარჯვებულად გამოცხადდებოდა შპს „არტესი“, რომელიც წინა ტენდერში, მხოლოდ 1,100.0 ლარით მეტს ითხოვდა შპს „ბლოკ-ჯორჯიასთან“ შედარებით, იგი აღნიშნულ სამუშაოებს შეასრულებდა დამატებითი ხარჯის გარეშე.

მშენებლობის პროცესში შენობის პროექტი და შესაბამისად შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები შეიცვალა და შპს „ბლოკ-ჯორჯიას“ მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 2,880.1 ათასი ლარი, საიდანაც 1,330.1 ათასი ლარი გადაიხადა სამინისტრომ, ხოლო 1,550.0 ათასი ლარი - შპს „ველაჯიომ“ (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან გაფორმებული სახელმწიფო ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებული 2011 წლის 22 სექტემბრის N382 უ.პ ხელშეკრულების¹¹ პირობების შესაბამისად). აღნიშნული ხელშეკრულების კანონიერების და შესრულების მდგომარეობა ცალკე შესწავლის საგანია.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამინისტროს, ზემოხსენებულ შპს „ბლოკ-ჯორჯიასთან“, ტენდერში (SPA110027241) გამარჯვების საფუძველზე, 2011 წლის 25 ნოემბერსაც აქვს გაფორმებული ხელშეკრულება N951, ქ. ფოთში შსს-ს სისტემაში შემავალი დანაყოფების ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განსაზღვრული იყო 4,128.8 ათასი ლარით.

ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 4,048.5 ათასი ლარი, რაც სამინისტროს მიერ ანაზღაურებულია სრულად.

ზემოაღნიშნული სამუშაოების (როგორც ფოთის, ისე მცხეთის) მიღება-ჩაბარების აქტების შემოწმების შედეგად მაღალი რისკის შემცველ გარემოებად ჩაითვალა ფორმა N2-ებში მითითებული ცალკეული შესრულებული სამუშაოების (შპს „ბლოკ-ჯორჯიას“ დირექტორის განმარტებით აღნიშნული სამუშაოები ძირითადად შეასრულეს ქვეკონტრაქტორებმა) და მასალების თვითღირებულების მაჩვენებლები, რომლებიც გავლენას ახდენენ მიღებული მოგების ფაქტობრივ მაჩვენებელზე. აქედან გამომდინარე მიღება-ჩაბარების აქტების საქართველოს კანონმდებლობის

¹¹ გაფორმებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 29 ივლისის N1-1/1445 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული პრივატიზების საფუძველზე.

მოთხოვნებთან¹² შესაბამისობის შემოწმების მიზნით შპს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის 2013 წლის 6 მარტის N418020 წერილით შესყიდვების კანონმდებლობის საფუძველზე¹³, შპს „ბლოკ-ჯორჯიასგან“ მოთხოვნილი იქნა ზემოაღნიშნული ხარჯების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტები. შპს „ბლოკ-ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილი იქნა მოთხოვნილი დოკუმენტების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი. არ იქნა წარმოდგენილი ქვეკონტრაქტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებების და მათ მიერ შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტები, მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოთა დიდი ნაწილი ქვეკონტრაქტორების მიერ არის შესრულებული. შპს „ბლოკ-ჯორჯიას“ ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა დოკუმენტების დამატებით წარმოდგენაზე. ამრიგად, აღნიშნული საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა აუდიტის მასშტაბის შეზღუდვას.

2011 წლის 29 დეკემბერს გამოცხადდა ტენდერები იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მთავარი სამმართველოს ონის, ვანის, ხარაგაულის და ცაგერის პოლიციის შენობების სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, სადაც სატენდერო წინადადებების მიღება იწყებოდა 2012 წლის 18 იანვარს და მთავრდებოდა 23 იანვარს. თითოეული ობიექტის შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 960.0-980.0 ათასი ლარით იყო განსაზღვრული. სათანადო პროექტებზე და თანდართულ ხარჯთაღრიცხვებზე მიღება-ჩაბარების აქტები 15-16 იანვარს არის გაფორმებული, ხოლო 17 იანვარს, ანუ სატენდერო წინადადებების მიღების დაწყების წინა დღეს სატენდერო დოკუმენტაციაში და სატენდერო განცხადებაში შეტანილია შესაბამისი ცვლილებები, კერძოდ შეიცვალა ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი და შესყიდვის სავარაუდო ღირებულებები საწყისი მონაცემებიდან გაიზარდა 1,080.0 - 1,150.0 ათას ლარამდე.

აღსანიშნავია, რომ შპს „ესსას“-ს მიერ წარმოდგენილ პროექტებში და ხარჯთაღრიცხვებში რამდენიმე მნიშვნელოვანი შეუსაბამობაა. მაგალითად ონისა და ვანის რაიონული სამმართველოების შენობების ხარჯთაღრიცხვების თანახმად ამ შენობებზე თაბაშირ-მუყაოს ფილებით მოსაპირკეთებელი ოთხკუთხა კვეთის კოლონების მოცულობა თითოეულზე შეადგენდა 757 კვ.მ-ს, ღირებულებით - 18,547.0 ლარი. წარმოდგენილი თავდაპირველი პროექტების მიხედვით კი აღნიშნული სამუშაოს მოცულობა შეადგენს თითოეულზე 121 კვ.მ-ს, ანუ ხარჯთაღრიცხვებში ეს მოცულობები ხელოვნურადაა გაზრდილი.

აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ შესრულებულ სამუშაოთა მიღება - ჩაბარების აქტის მიხედვით ონის პოლიციის შენობაზე ეს სამუშაოები შესრულებულადაა ნაჩვენები მხოლოდ 47 კვ.მ-ის ოდენობით (ღირებულებით -1,175.0 ლარი), ხოლო ვანის პოლიციის შენობაზე 92 კვ.მ. (ღირებულებით - 2,004.38 ლარი) ლარი. ე. ი. ამ სახის სამუშაოს მოცულობა დარიცხვების გარეშე გაზრდილია სულ ცოტა 15.0 ათასი ლარით, რაც საბოლოო ჯამში შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას ხელოვნურად ზრდის.

¹²საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის N1463 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესი.

¹³„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22¹ მუხლის საფუძველზე.

ამავე ობიექტებზე ხარჯთაღრიცხვებით თითოეულზე გათვალისწინებულია 297.9 კვ.მ. ფართობზე გარე ფასადის კედლის მოპირკეთება ბუნებრივი ქვით, რომლის სახარჯთაღრიცხო ღირებულება დარიცხვების გათვალისწინებით შეადგენს 71,753.4 ლარს, ანუ ერთეულის ფასი განსაზღვრული იყო 240.9 ლარით. ამასთან, პროექტში არ არის მითითებული თუ კონკრეტულად რომელი და რა ზომების ქვა უნდა ყოფილიყო გამოყენებული მოსაპირკეთებლად, რაც ლავირების საშუალებას აძლევდა შემსრულებელს.

შესაბამის ტენდერებში გამარჯვებულმა საწარმოებმა, კერძოდ სს „მონოლითმშენმაც“ (ვანი) და შპს „ერ-თი-ჯიმაც“ (ონი) მოსაპირკეთებლად გამოიყენა ე.წ „ნიჩბისის ქვა“ რომლის ღირებულებაც გაცილებით იაფია, ვიდრე ხარჯთაღრიცხვით იყო გათვალისწინებული. ვანის პოლიციის შენობის მშენებლობაზე შესრულებულ სამუშაოთა მიღება - ჩაბარების აქტის მიხედვით სს „მონოლითმშენმა“ განახორციელა 346.0 კვ.მ. ფართობის მოპირკეთება და ამ საქმეში (დარიცხვების გათვალისწინებით) მოითხოვა 17.5 ათასი ლარი, (ერთეულის ფასმა შეადგინა 50.6 ლარი). ამრიგად, ამ პოზიციაში სახარჯთაღრიცხო ღირებულება გაზრდილი იყო თითქმის 54.3 ათასი ლარით¹⁴.

ამ დროს, ონის პოლიციის შენობის მშენებლობაზე შესრულებულ სამუშაოთა მიღება - ჩაბარების აქტის მიხედვით შპს „ერ-თი-ჯიმ“ განახორციელა 402.0 კვ.მ. ფართობის მოპირკეთება და ამ საქმეში მოითხოვა 60.3 ათასი ლარი, (ერთეულის ფასმა შეადგინა 150.0 ლარი). მაშინ, როდესაც მანაც ე.წ „ნიჩბისის ქვა“ გამოიყენა მოსაპირკეთებლად და მის მიერვე წარმოდგენილი, ნაწილობრივ არადაამაჯერებელი დოკუმენტების მიხედვით, მასალაში გადახდილი აქვს მხოლოდ 9.5 ათასი ლარი. ამ საქმეში შრომითი დანახარჯების სახით დაახლოებით 10.0 ათასი ლარი უნდა გახარჯულიყო. აქედან გამომდინარე, შპს „ერ-თი-ჯიმ“ თითქმის 40.0 ათასი ლარით¹⁵ მეტი თანხა მიიღო ამ სამუშაოების შესასრულებლად, რაც გარკვეულწილად არასწორად შედგენილი ხარჯთაღრიცხვის და შესრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტებზე არასათანადო კონტროლის შედეგია.

ხარაგაულის პოლიციის ადმინისტრაციული შენობისა სამშებლო სამუშაოების საპროექტო ხარჯთაღრიცხვა, რომელიც შედგენილია შპს „მშენექსპერტის“ მიერ შეიცავს გარკვეულ ხარვეზებს. კერძოდ, მშკ-ს მიერ შედგენილი სამშენებლო რესურსების ფასების თანახმად ბალასტის ფასი ამ პერიოდში მერყეობდა 9-11 ლარის ფარგლებში. ზემოხსენებული ხარჯთაღრიცხვით კი 1900 მ³. ბალასტის შეტანისა და მოსწორების საერთო ღირებულება შეადგენდა 48.9 ათას ლარს, მათ შორის ბალასტის ღირებულებად მითითებულია 39.3 ათასი ლარი (2185მ³.) ანუ ერთი მ³ ბალასტი შეფასებულია 18 ლარად. ამრიგად, მხოლოდ ამ პოზიციით ხარჯთაღრიცხვა დარიცხვების გათვალისწინებით გაზრდილია მინიმუმ 21.0 ათასი ლარით¹⁶.

აღსანიშნავია, რომ სამუშაოთა შემსრულებლის, კერძოდ შპს „გილმარი-2“ ის მიერ შესყიდული ერთი მ³ ბალასტის საშუალო ფასმა ტრანსპორტირებით შეადგინა 9.12 ლარი.

¹⁴ 71.8 ათასს-17.5 ათასი=54.3 ათასი ლარი.

¹⁵ 60.3 ათასს - (10.0 ათასს + 9.5 ათასი)=40.8 ათასი ლარი

¹⁶ 2185*(18-11)=15295*1,1+1,08*1,18=21,4

აღნიშნული საწარმოს მიერ შესრულებულია, როგორც ზემოხსენებული შენობის, ისე მისი ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები (ხელშეკრულებები N165 02.02.12წ. და N555 03.07.12წ.).

ამ სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტების (ფ. N2) შემოწმებით დადგინდა, რომ შპს „გილმარის“ მიერ ორივე ობიექტზე ბალასტის საძირკველის მოსაწყობად გახარჯულადაა ნაჩვენები 48.7 ათასი ლარის ღირებულების 2,812.5 მ³ ბალასტი. საწარმოს მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების თანახმად კი მის მიერ მხოლოდ 1906 მ³ ბალასტია შესყიდული. საწარმოს წარმომადგენლის სიტყვიერი განმარტებით, დანარჩენი 906.5 მ³ ბალასტი (ღირებულებით 14.3 ათასი ლარი) მას არ შეუსყიდა და დაბა ხარაგაულის გზაზე ჩამოწოლილი მთის გრუნტის გაწმენდისას, გზიდან აღებული გრუნტით შეავსო ობიექტის საძირკველი, რაზედაც დაიხარჯა გაცილებით ნაკლები თანხა, ვიდრე შესყიდვის შემთხვევაში დასჭირდებოდა. მიუხედავად ამისა, შესრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტებით ეს თანხა სრულად მოითხოვა და მიიღო კიდევ, თუმცა აღნიშნული ბალასტის დატვირთვა-ტრანსპორტირებაში დაახლოებით 6.5 ათასი ლარი გაიხარჯა. შედეგად, შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტები მექანიკურად, მინიმუმ 7.8 ათასი ლარითაა გაზრდილი.

ქ. თბილისში ვაშლიჯვრისა და ნუცუბიდის ქუჩის დამაკავშირებელი გზის მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებარე კრიზისების მართვის ერთიანი ცენტრის ლითონის ანძისა და ლითონის კონსტრუქციების სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვის მიზნით ჩატარებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA110002998) გამარჯვებულ შპს „კონსტრუქციასთან“ 2011 წლის 14 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება N271 (სახელშეკრულებო ღირებულება - 1,034.0 ათასი ლარი).

2011 წლის 14 აგვისტოს მიღება-ჩაბარების აქტის და თანდართული ხარჯთაღრიცხვის (ფორმა N2 - ორ ნაწილად) მიხედვით შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა სულ -1,034.0 ათასი ლარი. მათ შორის: ლითონის კონსტრუქციების სამუშაოები - 993.2 ათასი ლარი და ლითონის ანძის სამუშაოები - 40.8 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ ხარჯთაღრიცხვა შედგენილია საქართველოში მოქმედი ნორმების¹⁷ დარღვევით - პირდაპირ ხარჯებზე განცალკევებულად დარიცხული არ არის ზედნადები ხარჯები და მოგება. შპს „კონსტრუქციას“ პასუხისმგებელი პირების განმარტებით აღნიშნული დანარიცხები გაითვალისწინეს პირდაპირ ხარჯებში, რაც ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნულ ნორმებს.

შპს „კონსტრუქციას“ მიერ სამინისტროში წარდგენილი სხვადასხვა მასალების (ლითონის ფურცლები, კუთხოვანები, მილები და ა.შ.) შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმებით გაირკვა, რომ ხარჯთაღრიცხვაში მათი ღირებულება ჩადებული იყო თვითღირებულებასთან შედარებით გაზრდილი ოდენობით. სხვაობამ ზედნადები ხარჯების (10%), მოგების (8%) და დღგ-ს ჩათვლით შეადგინა 50.1 ათასი ლარი.

¹⁷საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N251 ბრძანების (საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ) დანართი, პ.115, სნიპ IV-8-84.

გარდა ზემოაღნიშნულისა წარმოდგენილ ფორმა N2-ებში „ლითონის კონსტრუქციის მონტაჟის“ გრაფებში შეტანილია მასალების ღირებულება, რომელიც გაშიფრული არ არის. შპს „კონსტრუქციას“ მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტები, თუ რა სახის და მოცულობის მასალებია აქ გათვალისწინებული. სულ გაუშიფრავი მასალების ღირებულება ფორმა N2-ების მიხედვით დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 73.1 ათას ლარს.

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებით ამ ცენტრის მშენებლობის დამთავრების ვადად განსაზღვრული იყო 2011 წლის 15 აგვისტო. სამინისტროს მიმღები კომისიის მიერ სწორედ ამ თარიღით არის გაფორმებული გადაწყვეტილება ზემოხსენებული ობიექტის ექსპლოატაციაში მიღების შესახებ.

აღნიშნული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველის ნ. მესტვირიშვილის მოხსენებით ბარათებით კი ირკვევა, რომ ამ დროს ობიექტი დასრულებული არ იყო და მიმდინარეობდა სხვადასხვა სახის სამუშაოები. მაგალითად: 22 აგვისტოდან 22 სექტემბრამდე დამონტაჟდა ლითონის ანძა, განხორციელდა ობიექტის დასუფთავება, სამშენებლო ნარჩენების გატანა და ა.შ.

ანალოგიური მდგომარეობაა სამინისტროსა და შპს „ელექტრო მონტაჟ სერვის“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა ჩაბარების საკითხშიც (ხელშეკრულება N911).

აღნიშნულიდან გამომდინარე, აღარ მომხდარა შემსრულებლებისათვის სანქციის დაკისრება სამუშაოების დაგვიანებით დასრულების გამო, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს დააკლდა გარკვეული ოდენობის თანხები.

ანალოგიურად, შსს ონის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები (ხელშეკრულება N643) შპს „ერ-თი-ჯი“-ს უნდა დაესრულებინა 2012 წლის 8 სექტემბერს. შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებულია 6 სექტემბერს.

შპს „ერ-თი-ჯი“-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზით გაირკვა, რომ აღნიშნულ ობიექტზე პროექტით გათვალისწინებული ასფალტო-ბეტონის საფარის მოსაწყობად საჭირო სხადასხვა მარკის 162.5 ტონა ა/ბეტონი მიღებულია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, კერძოდ 11-იდან 15 სექტემბრამდე, თუმცა შემსრულებელი არც ამ შემთხვევაში დაჯარიმებულია.

ავტოტრანსპორტი

სამინისტრო ძველი ავტოპარკის განახლებას ძირითადად ახორციელებდა ძველი ავტოსატრანსპორტო საშუალებების ახლით ჩანაცვლების გზით და არც ერთ შემთხვევაში არ გამართულა აუქციონი ძველი ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეალიზაციის მიზნით, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს კონკურენციას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩასანაცვლებელი ა/მ-ების ნარჩენი საბალანსო ღირებულება გაცილებით მეტია აუდიტორის მიერ შეფასებულთან შედარებით, ამიტომ ჩანაცვლების შესახებ

ფინანსური ანგარიშგება

2011 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 30 სექტემბერი

გაფორმებული თითქმის ყველა ხელშეკრულება ამ თვალსაზრისით, სამინისტროსათვის წამგებიანი იყო, რის გამოც უარყოფითი სხვაობა წმინდა ღირებულების ანგარიშზე აისახებოდა და მის მოცულობას ამცირებდა. მაგალითად: 2011 წლის პირველ კვარტალში შპს „კრესავტოჰაუსისაგან“ 2010 წლის 12 დეკემბერს გაფორმებული №913 ხელშეკრულების საფუძველზე მიღებულია „შკოდა ოქტავიას“ მარკის 10 ერთეული ა/მ, საერთო ღირებულებით 352.4 ათასი ლარი, მაშინ როდესაც სამინისტროსაგან მას სანაცვლოდ გადაცემული აქვს სხვადასხვა მარკის 150 ერთეული ა/მ, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით ჯამში - 796.3 ათასი ლარი, რომლებიც აუდიტორის მიერ ასევე 352.4 ათას ლარად, ანუ ზუსტად მოსაწოდებელი 10 ერთეული ა/მ-ის ფასად არის შეფასებული. შედეგად, სამინისტრომ მის ბალანსზე რიცხული 150 ერთეული ა/მ, საბალანსო ღირებულებასთან შედარებით 443.9 ათასი ლარით ნაკლებ ფასად გადასცა კერძო საწარმოს.

სულ 2011-2012 წლებში განხორციელებული მსგავსი ოპერაციების შედეგად სამინისტრომ მის ბალანსზე რიცხული 817 ერთეული ა/მ, რომელთა ნარჩენი საბალანსო ღირებულება ჯამში - 5,520.6 ათასი ლარი იყო, მხოლოდ 2,598.5 ათას ლარად (ანუ საბალანსო ღირებულების 47%-ით, ჯამში 2,922.1 ათასი ლარით ნაკლებ ფასად) გადასცა ჩამნაცვლებელ კერძო საწარმოებს. შედეგად, ამ საწარმოებიდან მიღებულ იქნა მხოლოდ 68 ერთეული ა/მ, საერთო ღირებულებით 3,212.2 ათასი ლარი, რისთვისაც სამინისტროს ასიგნებებიდან დამატებით 776.4 ათასი ლარის გადახდა გახდა საჭირო.

პერიოდი	ჩასანაცვ ლებელი ა/მ-ის რაოდენო ბა	ნარჩენი საბალანსო ღირებულება	ჩასანაცვლებე ლი ღირებულება	სხვაობა	მოსაწოდებე ლი ა/მ-ის რაოდენობა	მოსაწოდებელ ი ა/მ-ის ღირებულება	დასამატებელი თანხა
2011 წელი	613	4,268,132.15	1,971,706.04	2,296,426.11	48	2,378,998.52	407,292.48
2012 წლის 9 თვე	204	1,252,493.33	626,783.20	625,710.13	20	833,152.60	369,109.40
სულ	817	5,520,625.48	2,598,489.24	2,922,136.24	68	3,212,151.12	776,401.88

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ა/მ-ების ცვეთის ნორმა საკმაოდ მაღალია (11,2-დან 13%-მდე) და ახალი ა/მ-ის ნარჩენი საბალანსო ღირებულება მაქსიმუმ 9 წლის შემდეგ პრაქტიკულად ნულის ტოლია, ხოლო მისი რეალური ღირებულება ჯართის ფასს მაინც უტოლდება, შეიძლება დავასკვნათ, რომ სწორი მენეჯმენტის პირობებში ა/მ-ების ჩანაცვლება ეკონომიკურად გამართლებული უნდა იყოს და სწორედ ამ მიზნით იყო შესაბამისი ცვლილებები შეტანილი კანონმდებლობაში. ზემოხსენებულ შემთხვევებში კი მოგების ნაცვლად სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა, რაც აუდიტის ჯგუფის აზრით ძირითადად ორი მიზეზით არის განპირობებული:

1. ჩანაცვლებას ძველ და ამორტიზებულ ა/მ-ებთან ერთად დაექვემდებარა ახალი, კარგ მდგომარეობაში მყოფი და ძვირადღირებული ა/მ-ები, რომელთა ნარჩენი საბალანსო ღირებულება, მათი ექსპლუატაციის მცირე ვადის გამო ჯერ კიდევ მაღალი იყო.

2. ხშირ შემთხვევაში ჩასანაცვლებელი ა/მ-ები აუდიტორის მიერ შეფასებულია ძალიან დაბალ ფასად. შესაბამისი აქტები (ე.წ. „ავტომობილის შეფასების აქტი“) შედგენილია უყურადღებოდ, უხარისხოდ და არადამაჯერებლად. თითქმის არც ერთ შემთხვევაში არ არის დაკონკრეტებული ა/მ-ის დაზიანების ხარისხი და მისი გავლენა საერთო მდგომარეობაზე. მაგალითად: აღნიშნულ აქტებში ზოგჯერ არის მითითებული, რომ სავალი ნაწილი და ძრავი არადამაკმაყოფილებელია, ზოგ შემთხვევაში წერია, რომ ა/მ „არ იქოქება კომპლექტში“, ან ა/მ „არ დაიქოქა, ვერ დგინდება, კომპლექტში“, თუმცა არ არის მითითებული მიზეზი, რაც არსებითია, რადგან სწორედ ამ მიზეზზეა დამოკიდებული ა/მ-ის დაზიანების ხარისხი და შესაბამისად მისი ფასი.

ხშირია შემთხვევები, როდესაც აქტებში არ არის დაფიქსირებული ა/მ-ის მიერ გარბენილი კილომეტრები. ორ აქტში მითითებულია, რომ შესაბამისი ა/მ-ები თეთრი ფერისაა, მაშინ, როდესაც ერთი მათგანი სურათზე შავია და საპასპორტო მონაცემებშიც იგი შავი ფერისაა, მეორე კი რუხი ფერის.

ყოველივე ეს კი მიუთითებს აღნიშნული ა/მ-ების შეფასების საკითხისადმი არასთანადო დამოკიდებულებაზე, რაც საბოლოო ჯამში მათ სარეალიზაციო (ჩასანაცვლებელ) ფასზე უარყოფითად აისახა.

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ადრე შესყიდული ავტოსატრანსპორტო საშუალების ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებით ჩანაცვლების განხორციელების ორგანიზების შესახებ“ მინისტრის 2010 წლის 16 თებერვლის №176 ბრძანებით შექმნილია კომისია, რომელსაც ევალებოდა განეხილა და გადაეწყვიტა საბალანსო ერთეულების მიერ ადრე შესყიდული ა/მ-ების ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ა/მ-ებით ჩანაცვლების მიზანშეწონილობა. აღნიშნული კომისიის მიერ მიზანშეწონილად არის მიჩნეული ამ ჩანაცვლებების განხორციელება, რაც დასტურდება კომისიის სხდომის ოქმებით. თუმცა არც ერთ ოქმში არ არის არგუმენტირებული ეს ოპერაციები, ანუ არ არის დაფიქსირებული, თუ რა მიზეზის გამო გახდა აუცილებელი ამ ჩანაცვლების განხორციელება, მით უმეტეს, რომ ხშირ შემთხვევაში სამინისტროდან შესამჩნევად დაბალ ფასშია გასული მაღალი კლასის, ძვირადღირებული, საკმაოდ ახალი (1-2-3 წლის), კარგ მდგომარეობაში მყოფი ა/მ-ები და მათ ნაცვლად შემოტანილია უახლესი, ძვირადღირებული ა/მ-ები.

მაგალითად: მინისტრის 2011 წლის 23 აგვისტოს №701 ბრძანების პირველი და მეორე პუნქტებით სამმართველოს დაევალა შპს „ქარ რენტ ენდ თრეიდ-ინ ქომფანისთან“ განეხორციელებინა ადრე შესყიდული 4 ა/მ-ის, ასევე 4 ერთეული სხვა ა/მ-ით ჩანაცვლება. რაზედაც იმავე დღეს გაფორმდა ხელშეკრულება №741. ჩასანაცვლებელი 4 ა/მ-იდან, ერთი იყო 2007 წელს გამოშვებული „SKODA OCTAVIA“-ს მარკის ა/მ(სახ №KAN-041), რომელიც აუდიტორის მიერ შეფასებულია მხოლოდ 2.5 ათას აშშ დოლარად (4,117.25 ლარად), მაშინ როდესაც ამავე აქტის

მიხედვით, მისი გარეგნული მდგომარეობა, სავალი ნაწილი და ძრავი იყო დამაკმაყოფილებელ, სალონი კი კარგ მდგომარეობაში.

აღნიშნული ა/მ შპს „ქარ რენტ ენდ თრეიდ-ინ ქომფანის“ მიერ რეალიზებულია 6,587.6 ლარად, ანუ 60%-იანი (2,470.35 ლარი) სარგებლით.

ამავე ხელშეკრულებით ჩანაცვლებულია ერთი 2008 წელს გამოშვებული „ტოიოტა ლექსუსი 570“-ის მარკის ა/მ (სახ №SFS-070), რომელიც აუდიტორის მიერ შეფასებულია 63.0 ათას აშშ დოლარად, მიმწოდებლისათვის კი გადაცემულია 62.2 ათას აშშ დოლარად (102,107.8 ლარი), ანუ 800 აშშ დოლარით ნაკლებად, რისი ახსნაც ვერ წარმოგვიდგინეს. სანაცვლოდ მიღებულია ამავე მარკის ა/მ, მხოლოდ 2011 წლის მოდელი, რომლის ღირებულებაც შეადგენდა 99.0 ათას აშშ დოლარს. ანუ, სამინისტრომ დამატებით 36.8 ათასი აშშ დოლარი (60.6 ათასი ლარი) გადაიხადა იმისათვის, რომ 2 წლის განმავლობაში ექსპლუატაციაში არსებული ა/მ ახლით შეეცვალა, მით უმეტეს, რომ ჩასანაცვლებელი „ტოიოტა ლექსუსი 570“ ექსპერტის დასკვნით ყველანაირად კარგ მდგომარეობაში იყო. აღნიშნული ა/მ-ები (ძველიც და ახალიც) მინისტრის მოადგილეს გ.ლორთქიფანიძეს ემსახურებოდა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ჩასანაცვლებელი „ტოიოტა ლექსუსი 570“-ის მარკის ა/მ სამინისტრომ ჩუქების სახით მიიღო 2010 წლის თებერვალში, მოქალაქე მერი ქურციძისაგან. შესაბამის ხელშეკრულებაში (N8) აღნიშნული ა/მ-ის ღირებულებად მითითებულია 40.0 ათასი ლარი, რაც არსებითად შეუსაბამოა საბაზრო ღირებულებასთან, თუმცა სამინისტროს ბალანსზე იგი ამ ფასად აღირიცხა, ცვეთის დარიცხვის შემდეგ კი მისი ნარჩენი საბალანსო ღირებულება 35,520.0 ლარით განისაზღვრა. როგორც ზემოთ აღინიშნა, აუდიტორის მიერ ეს ა/მ შეფასებულია 63.0 ათას აშშ დოლარად, მიმწოდებლისათვის კი გადაცემულია 62.2 ათას აშშ დოლარად, ანუ 102,443.4 ლარად. შედეგად, სამინისტრომ ეს ა/მ 66,923.4 ლარის (188.4%) ფასნამატიტ გაყიდა, მაგრამ ეს არის ნაჩუქარი ა/მ-ის არასათანადოდ შეფასების შედეგი და არა კარგი მენეჯმენტისა.

მინისტრის 2011 წლის 27 სექტემბრის №788 ბრძანებით სამმართველოს დაევალა იმავე შპს „ქარ რენტ ენდ თრეიდ-ინ ქომფანისთან“ განეხორციელებინა ადრე შესყიდული 3 ა/მ-ის, 1 ერთეული სხვა ა/მ-ით ჩანაცვლება, რაზედაც იმავე დღეს გაფორმდა ხელშეკრულება №806. ჩასანაცვლებელი 3 ა/მ-იდან, ერთი იყო 2010 წელს გამოშვებული „რეინჯ როვერის“ (სახ №NYZ-707), მეორე 2007 წელს გამოშვებული „მერსედეს S500-ის“ (სახ №NSS-010), მესამე კი 2005 წელს გამოშვებული „მერსედეს CLS 501“ (სახ №HLH-536) მარკის ა/მ-ები, რომელიც აუდიტორის მიერ შეფასებული იყო შესაბამისად 50.0 ათას, 36.0 ათას და 20.0 ათას აშშ დოლარად. აღნიშნული ხელშეკრულებით, ასეთი მაღალი კლასის კარგ მდგომარეობაში მყოფი (ექსპერტის შეფასებით) 3 ერთეული ა/მ-ის ნაცვლად მიღებულია ძალიან ძვირადღირებული, კერძოდ 127.8 ათასი აშშ დოლარის ღირებულების „მერსედეს S500-ის“ მარკის 1 ერთეული ა/მ, რისთვისაც სხვაობა - 36.4 ათასი ლარი (21.8 ათასი აშშ დოლარი) გადახდილია მიმწოდებლისათვის. აღსანიშნავია, რომ მერსედესის მარკის სამივე ზემოხსენებული ა/მ (ძველებიც და ახალიც) მინისტრის მოადგილეს (გ.ლორთქიფანიძე) ემსახურებოდა.

მინისტრის 2011 წლის 20 ივნისის №516 ბრძანებით სამმართველოს დაევალა იმავე შპს „ქარენტო ენდ თრეიდ-ინ ქომფანისთან“ განხორციელებინა ადრე შესყიდული ორი ერთეული ა/მ-ის, 1 ერთეული „რენჯ როვერ სპორტ TDV 6“-ის მარკის ა/მ-ით ჩანაცვლება, რომლის ღირებულებაც შეადგენდა 63.0 ათას აშშ დოლარს. ჩასანაცვლებელი ორი ერთეული ა/მ-იდან, ერთი იყო 2006 წელს გამოშვებული კარგ მდგომარეობაში მყოფი „JEEP HUMMER H3“ მარკის ა/მ (სახ. №CCZ-424), რომელიც შეფასებული იყო 16.0 ათას აშშ დოლარად, მეორე კი 2010 წელს გამოშვებული, ასევე კარგ მდგომარეობაში მყოფი, 44.0 ათას აშშ დოლარად შეფასებული „TOYOTA PRADO“-ს მარკის ა/მ (სახ. №KJK-034).

შესაბამისი ხელშეკრულება №550 გაფორმდა 20 ივნისს, ჩანაცვლება განხორციელდა 22 ივნისს და მომწოდებელს ფასთა შორის სხვაობის სახით გადაერიცხა 5.0 ათასი ლარი, ხოლო ახალი ა/მ (სახ. №BVB-404) პერსონალური მომსახურებისათვის მინისტრის მოადგილეს (გ.ლორთქიფანიძე) გადაეცა.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით ჩანაცვლებული „TOYOTA PRADO“-ს მარკის ა/მ (სახ. №KJK-034) შესყიდულია 2010 წლის ნოემბერში 100.2 ათას ლარად და ემსახურებოდა მინისტრის იმავე მოადგილეს (გ.ლორთქიფანიძე).

სამინისტროში ვერ წარმოგვიდგინეს აღნიშნული ა/მ-ის ჩანაცვლების აუცილებლობის არგუმენტაცია. გაუგებარია, რატომ გახდა აუცილებელი 100.2 ათას ლარად შესყიდული ა/მ-ის ჩანაცვლება ექსპლუატაციაში გადაცემიდან 7 თვეში, თანაც 72,239.2 ლარად, ანუ 27,960.8 ლარის (28%) ფასდაკლებით, მით უმეტეს, რომ იმავე ბრძანების მეორე პუნქტის შესაბამისად (ხელშეკრულება №638) 2 ერთეული ა/მ (2002 წელს გამოშვებული „მერსედეს G400 CDI“ და 2004 წელს გამოშვებული „ბმვ X5“), ჩანაცვლებულია 1 ერთეული ახალი „TOYOTA PRADO“-ს მარკის ა/მ-ით, რომლის ღირებულებაც 58,400.0 აშშ დოლარი, ანუ 97,977.68 ლარი იყო.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მინისტრის 2012 წლის 29 ივნისის №467 ბრძანებით ზემოხსენებული „რენჯ როვერ სპორტ TDV 6“-ის მარკის ა/მ-აც ასევე ჩანაცვლების გზით გადაცემულია იმავე შპს „ქარენტო ენდ თრეიდ-ინ ქომფანისათვის“ გაცილებით ნაკლებ, კერძოდ კი 47.0 ათას აშშ დოლარად (76.5 ათასი ლარად. ნარჩენი საბალანსო ღირებულება იყო 91.9 ათასი ლარი). ანუ, ერთ წელიწადში აღნიშნულ კომპანიას 25.4%-იანი ფასდაკლებით დაუბრუნეს თავისივე მოწოდებული ა/მ-ა. ამ ფასს სამინისტრომ 86.3 ათასი ლარი დაუმატა და ახლა უკვე 100.0 ათას აშშ დოლარად ღირებული მაღალი კლასის ა/მ შეიძინა („ბმვ - M5“).

მინისტრის 2011 წლის 20 აპრილის №344 ბრძანებით სამმართველოს დაევალა იმავე შპს „ქარენტო ენდ თრეიდ-ინ ქომფანისთან“ განხორციელებინა ადრე შესყიდული, 2008 წელს გამოშვებული ერთი ერთეული „ტოიოტა ქამრის“ მარკის (სახ №AMD-777) ა/მ-ის ჩანაცვლება (აუდიტორის მიერ შეფასებულია - 16.0 ათას აშშ დოლარად), ასევე 1 ერთეული „მერსედეს E350“-ით, რომლის ღირებულებაც შეადგენდა 77.5 ათას აშშ დოლარს. შესაბამისი ხელშეკრულება №387 გაფორმდა 28 აპრილს, ჩანაცვლება განხორციელდა 29 აპრილს და მომწოდებელს ფასთა შორის სხვაობის სახით გადაერიცხა 61.5 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტი - 100.8 ათასი ლარი. ხელშეკრულებაში არ იყო

მითითებული მოსაწოდებელი ა/მ-ის გამოშვების წელი, რაც არასწორია. რეალურად, მოწოდებული ა/მ გამოშვებული იყო 2010 წელს (საიდენტიფიკაციო კოდი - WDD2120561A317512), რომელიც იგივე სახელწიფო ნომრით (სახ №AMD-777) პერსონალური მომსახურებისათვის გადაეცა მინისტრის მოადგილეს (შ.ჯანაშვილს).

2011 წლის 26 ოქტომბერს მინისტრის მიერ გამოცემულ იქნა ბრძანება №858, რომლის ძალითაც სამმართველოს დაევალა კვლავ შპს „ქარ რენტ ენდ თრეიდ-ინ ქომფანისთან“ განეხორციელებინა, ახლა უკვე ექვსი თვის წინ 77.5 ათას აშშ დოლარად შეძენილი „მერსედეს E350“-ის (სახ №AMD-777) მარკის ა/მ-ის, ახლით, კერძოდ „LEXUS GS350 E350“-ის მარკის, 62.5 ათას აშშ დოლარად ღირებული ა/მ-ით ჩანაცვლება.

ჩასანაცვლებელი „მერსედეს E350“-ის შეფასების აქტში აუდიტორის მიერ დაფიქსირებულია, რომ მისი საერთო მდგომარეობაა კარგი, გამოშვებულია 2010 წელს და მისი ექსპლუატაციის ვადაა ერთი წელი, მაშინ როდესაც რეალურად იგი მხოლოდ 6 თვის მანძილზე იმყოფებოდა ექსპლუატაციაში. ეს ავტომანქანა შეფასებულ იქნა მხოლოდ 50.0 ათას აშშ დოლარად, მაშინ როდესაც სამინისტროში ექსპლუატაციის 6 თვის მანძილზე მასზე გაწერილია 600 ლიტრი ბენზინი, რაც იმას ნიშნავს, რომ მის მიერ გარბენილია დაახლოებით 5.0 ათასი კმ, რაც ძალიან ცოტაა. ამავე ა/მ-ას 9 ივნისს გამოეცვალა ოთხივე საბურავი და საბურავის დისკი (გაუგებარია რატომ?), ჯამური ღირებულებით - 4,052.0 ლარი, რისი საჭიროების დასაბუთებაც ვერ იქნა წარმოდგენილი. აგრეთვე მასში ჩაგებულია 183.2 ლარად ღირებული რეზინის ნოხი (სალონის სამუშაოების ღირებულების ჩათვლით), რაც მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული ა/მ იყო კარგად მოვლილი და თითქმის სრულიად ახალი. აქედან გამომდინარე გაურკვეველია ასეთი მაღალი კლასის, ახალი ა/მ-ის ჩანაცვლების მიზეზები.

შესაბამისი ხელშეკრულება №882 გაფორმდა 27 ოქტომბერს, ჩანაცვლება განხორციელდა იმავე დღეს და მომწოდებელს ფასთა შორის სხვაობის სახით გადაერიცხა 12.5 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტი - 20.7 ათასი ლარი, ხოლო ახალი ა/მ (GQHCE96S600030209) იგივე სახელწიფო ნომრით (სახ. №AMD-777) პერსონალური მომსახურებისათვის ისევ მინისტრის მოადგილეს (შ.ჯანაშვილს) გადაეცა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ინფორმაცია გამოცვლილი საბურავების დისკების შემდგომი გამოყენების შესახებ, აუდიტის მიმდინარეობისას ვერ იქნა წარმოდგენილი.

შპს „ქარ რენტ ენდ თრეიდ-ინ ქომფანისგან“ მოწოდებული ინფორმაციით სამინისტროსგან მიღებული, 2010 წელს გამოშვებული „მერსედეს E350“-ის მარკის და 2007 წელს გამოშვებული „მერსედეს S500“-ის მარკის ა/მ-ები თითქმის იდენტურ ფასად, კერძოდ 83.3 ათას და 83.0 ათას ლარად იქნა რეალიზებული, მაშინ, როდესაც, პირველი მათგანი 82.8 ათას ლარად იყო შეფასებული, მეორე კი მხოლოდ 60.1 ათას ლარად.

აქვე დასაფიქსირებელია ის გარემოებაც, რომ შპს „ქარ რენტ ენდ თრეიდ-ინ ქომფანიმ“ მხოლოდ ზემოხსენებული №806 ხელშეკრულებით მიღებული „მერსედეს S500“-ის და „მერსედეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

ფინანსური ანგარიშგება

2011 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 30 სექტემბერი

CLS 501“ მარკის ა/მ-ების რეალიზაციით შესაბამისად 22.9 ათასი ლარის (38.1% ფასნამატი) და 11.5 ათასი ლარის მოგება მიიღო (34.4% ფასნამატი).

აღნიშნული საწარმოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მან სამინისტროსგან შესყიდული 21 ა/მ-იდან, 16 ერთეული ა/მ-ის რეალიზაციით მიიღო 102.2 ათასი ლარის მოგება (შესასყიდი ღირებულება - 382.5 ათასი ლარი, სარეალიზაციო ღირებულება - 484.7 ათასი ლარი, 26.7%), რაც ეჭვის ქვეშ აყენებს აღნიშნული ავტომანქანების შეფასების სისწორეს.

შესაბამისი ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ბრძანების ნომერი	ხელშეკრულების ნომერი	მანქანის მოდელი	გამოშვების წელი	მანქანის ნომერი	ფასი დოლარ ებში	დაახლოებითი კურსი	ფასი ლარებში	გასაყიდი ფასი	სხვაობალა რებში	%
788	806	მერსედესი S500	2007	NSS-010	36000	1.6696	60105.6	82985	22,879	38.07
788	806	მერსედესი CLS500	2005	HLH-536	20000	1.6696	33392	44874	11,482	34.39
122		ტოიოტა პრადო	2008	CGC-676			34000	43027.4	9,027	26.55
122		ლენდროვერ რეინჯერ; 4,4	2003	NCN-762			19700	23055.5	3,356	17.03
122		აუდი A4 (კაბრიოლეტი)	2002	NCN-763			10700	13301.25	2,601	24.31
122	806	აუდი A4 2.6	1999	BGB-738			3000	3551.2	551	18.37
122		რენო სკენიკი	2001	CSC-116			1800	2128.2	328	18.23
701	741	ვოლცვაგენ ტუარეგი	2003	BVB-730	9500	1.6469	15645.55	17533.95	1,888	12.07
701	741	ტოიოტა ლენდკრუიზერი	2009	SSP-899	45000	1.6469	74110.5	87359.5	13,249	17.88
701	741	შკოდა ოქტავია	2007	KAN-041	2500	1.6469	4117.25	6587.6	2,470	60.00
516	550	ტოიოტა ლენდკრუიზერი პრადო	2010	KJK-034	44000	1.6646	73242.4	87015.4	13,773	18.80
236	336	მერსედესი	2002	FTF-545	4000	1.6447	6578.8	7340.4	762	11.58
236	336	მერსედესი	2000	SSA-293	4000	1.6447	6578.8	10693.8	4,115	62.55
236	336	ბმვ X5 (დიზელი)	2001	JSJ-352	6000	1.6447	9868.2	15833	5,965	60.44
236	336	ბმვ X5	2004	CLC-105	11000	1.6447	18091.7	23032.8	4,941	27.31
236	336	ბმვ X5	2001	CIC-633	7000	1.6447	11512.9	16369	4,856	42.18
							382443.7	484688	102,244	26.73

2011 წლის 19 დეკემბერს შპს „იბერია ავტო მარკეტთან“ გაფორმებულია ხელშეკრულება №993 (2011 წლის 16 დეკემბრის №1023 ბრძანება), რომლის საფუძველზეც სამინისტროს კუთვნილი 48 ერთეული ა/მ საერთო ღირებულებით 100,620.0 ლარი, ჩანაცვლებულია ზუსტად ამავე ღირებულების 3 ერთეული ა/მ-ით, კერძოდ „SKODA OCTAVIA“-თი. ჩასანაცვლებელი ა/მ-ების ფასები ამ შემთხვევაშიც დადგენილია კერძო აუდიტორის მიერ. შესაბამის დასკვნაში დაფიქსირებული ზოგიერთი ა/მ-ის ფასი აშკარად ნაკლებია საბაზრო ფასებთან შედარებით. მაგალითად, 2006 წელს გამოშვებული ავტომობილი „უაზ 31519“ (ვილისი) სახ.№DUD-261, შეფასებულია 3000 ლარად, მაშინ როდესაც მისი გარეგნული მდგომარეობა იყო დამაკმაყოფილებელი, საბურავების ცვეთა - მხოლოდ 40%. სავალი ნაწილი და სალონი საჭიროებდა მცირე სარემონტო სამუშაოებს. იგი ავტოსაგზაო შემთხვევაში მოყოლილი არ ყოფილა. ასეთი ავტომობილის საბაზრო ფასი გაცილებით მეტია 3 ათას ლარზე.

ანალოგიურად, 2004 წელს გამოშვებული ავტომობილი „ვაზ 2121“ სახ.№GOK-373, შეფასებულია 2500 ლარად, მაშინ როდესაც მისი გარეგნული მდგომარეობა იყო დამაკმაყოფილებელი, ხოლო სავალი ნაწილი და სალონი საჭიროებდა სარემონტო სამუშაოებს. იგი ავტოსაგზაო შემთხვევაში მოყოლილი არ ყოფილა. ასეთი ავტომობილის საბაზრო ფასი კი გაცილებით მეტია 2500 ლარზე.

მინისტრის 2012 წლის 1 მაისის №313 ბრძანებით სამმართველოს დაევალა ფ.პ გიორგი ქოქოსაძესთან განეხორციელებინა ადრე შესყიდული 25 ერთეული ა/მ-ის, 5 ერთეული სხვა ა/მ-ით ჩანაცვლება, რაზედაც იმავე დღეს გაფორმდა ხელშეკრულება №370. ჩასანაცვლებელი 25 ა/მ-იდან, ერთი იყო 2007 წელს გამოშვებული „ოპელ ვექტრას“ (სახ №ZUK-873) მარკის ა/მ, რომელიც აუდიტორის მიერ შეფასებული იყო მხოლოდ 4.0 ათას ლარად.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ა/მ-ების ჩანაცვლებების შესახებ მინისტრის ბრძანებებიც, შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმებიც და შესაბამისი ხელშეკრულებებიც ძირითადად ერთ დღეს არის გაფორმებული.

მინისტრის 2011 წლის 16 დეკემბრის №1022 ბრძანებით სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტს დაევალა მათ სარგებლობაში არსებული 4 ერთეული სხვადასხვა მარკის ა/მ-ის (ღირებულება - 110.2 ათასი ლარი), შპს „იბერია ავტოსთან“ 2 ერთეული „VOLKSVAGEN TOUAREG“-ის მარკის ა/მ-ით (ღირებულება - 214.5 ათასი ლარი) ჩანაცვლება, ხოლო სხვაობის (104.3 ათასი ლარი) სამინისტროს (კერძოდ, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის) კუთვნილი ასიგნებებიდან გადახდა.

ჩასანაცვლებელ ა/მ-ებს შორის იყო 2008 წელს გამოშვებული „MITSUBUSHI PAJERO“ -ს მარკის ა/მ (JBJ-626) და 2010 წელს გამოშვებული „TOYOTA PRADO“-ს მარკის ა/მ (JBJ-623),

აღნიშნული ა/მ-ები შეფასებულია აუდიტორული ფირმა შპს „აუდიტი, კონსალტინგი და კომპანია“ მიერ შესაბამისად 33.0 ათას და 58.0 ათას ლარად. შეფასების აუდიტორულ დასკვნაში მითითებულია, რომ ორივე ა/მ არის კარგ მდგომარეობაში, ამიტომ გაუგებარია რამ გამოიწვია მათი

ჩანაცვლების აუცილებლობა, მით უმეტეს, რომ 2012 წლის ივლისში სამინისტრომ 45.1 ათას ლარად შეიძინა „TOYOTA PRADO“-ს მარკის 2007 წელს გამოშვებული ა/მ.

მინისტრის ზემოხსენებული, 2011 წლის 23 აგვისტოს №701 ბრძანების მესამე პუნქტით სასაზღვრო პოლიციას დაევალა შპს „ქარ რენტ ენდ თრეიდ-ინ ქომფანისთან“ განეხორციელებინა 45.0 ათას აშშ დოლარად შეფასებული, კარგ მდგომარეობაში მყოფი, 2009 წელს გამოშვებული „ტოიოტა ლენდკრუიზერ 200“-ის (სახ №SSP-899), ანალოგიური, მაგრამ ახალი ა/მ-ით ჩანაცვლება. ახალი ა/მ-ის ღირებულება შეადგენდა 77.7 ათას აშშ დოლარს, რის გამოც სასაზღვრო პოლიციას ფასთა სხვაობის სახით საბიუჯეტო ასიგნებებიდან 32.7 ათასი აშშ დოლარი უნდა გადაეხადა მიმწოდებლისათვის. ამრიგად, სამინისტრომ დასაშვებად ჩათვალა, რომ მისდამი დაქვემდებარებულ უწყებას 2 წლის კარგ მდგომარეობაში მყოფი ა/მ-ის ახლით ჩასანაცვლებლად დამატებით 32.7 ათასი აშშ დოლარი (53.9 ათასი ლარი) გადაეხადა.

მინისტრის 2011 წლის 27 სექტემბრის №788 ბრძანებითვე სამმართველოს დაევალა შპს „კრესავტოჰაუსთან“ განეხორციელებინა ადრე შესყიდული 49 ა/მ-ის (შეფასებული 101.2 ათას ლარად), 3 ერთეული ახალი „შკოდა ოქტავიას“ მარკის ა/მ-ით (ზუსტად იმავე ღირებულებით) ჩანაცვლება, რაზედაც იმავე დღეს გაფორმდა ხელშეკრულება №807. ჩასანაცვლებელი 49 ა/მ-იდან, ერთი იყო 2005 წელს გამოშვებული „ლენდ როვერ სანტანას“ მარკის ა/მ (სახ №AVA-483), რომელიც აუდიტორის მიერ შეფასებული იყო მხოლოდ 5.8 ათას ლარად. ექსპერტის დასკვნაში მითითებულია, რომ სავალი ნაწილი და ძრავი არადაზიანებულია, თუმცა არ არის განმარტებული თუ რა იგულისხმება ამ შეფასებაში. აქედან გამომდინარე ექსპერტის დასკვნაში ასეთი კლასის ა/მ-ის ასე იაფად შეფასებისათვის დამაჯერებელი არგუმენტები არ არის წარმოდგენილი.

უფრო მეტიც, მინისტრის 2012 წლის 30 ივნისის №481 ბრძანებით სამმართველოს დაევალა შპს „იბერია ავტო მარკეტთან“ განეხორციელებინა ადრე შესყიდული 49 ა/მ-ის (შეფასებული 97.4 ათას ლარად), 3 ერთეული ახალი „შკოდა ოქტავიას“ მარკის ა/მ-ით (ზუსტად იმავე ღირებულებით) ჩანაცვლება, რაზედაც იმავე დღეს გაფორმდა ხელშეკრულება №551. ჩასანაცვლებელი ა/მ-ებიდან, ერთი იყო ასევე 2005 წელს გამოშვებული „ლენდ როვერ სანტანას“ მარკის ა/მ (სახ №AVA-487), რომელიც აუდიტორის მიერ შეფასებული იყო მხოლოდ 3.7 ათას ლარად. ექსპერტის დასკვნაში მითითებულია, რომ ა/მ-ის გარეგნული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, იგი ავტოსაგზაო შემთხვევაში მოყოლილი არ ყოფილა. თუმცა არ არის განმარტებული, თუ რატომ არის ასეთი კლასის ა/მ ასე იაფად შეფასებული.

ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები

აუდიტის პერიოდში სამინისტროს მიერ ამ ქვემუხლით გაწეულმა საკასო ხარჯმა ჯამში 73,132.4 ათასი ლარი შეადგინა.

მათ შორის 92%, ანუ 67,181.7 ათასი ლარი საწვავ-საპოხი მასალების შესყიდვაზე მოდის, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ სამინისტრო ცენტრალიზებულად ახორციელებდა საწვავის შესყიდვას სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოებისათვის.

მინისტრის 2010 წლის 9 აგვისტოს N717 ბრძანების შესაბამისად, აუდიტის პერიოდში სატრანსპორტო საშუალებების საწვავით უზრუნველყოფა ხორციელდებოდა მინისტრის მიერ დამტკიცებული ყოველთვიური ლიმიტის ფარგლებში.

ამავე ბრძანებით დადგენილი იყო, რომ მომსახურებებზე გაცემული საწვავის (მათ შორის ყოველთვიურ ლიმიტს ზევით) ჩამოწრა და ფაქტობრივ ხარჯებში ასახვა უნდა განხორციელებულიყო გაცემის უწყისების საფუძველზე.

აქედან გამომდინარე, საბუღალტრო სამსახურში წარმოდგენილია ზემოხსენებული უწყისები, სადაც საწვავის მიმღები თანამშრომლები ხელის მოწერით ადასტურებენ საწვავის მიღების ფაქტს, თუმცა ამ საკითხში არსებობს მნიშვნელოვანი აუდიტორული რისკები. კერძოდ, საბუღალტრო სამსახურის თანამშრომელს არ შეუძლია დაადგინოს თუ რეალურად ვისი ხელმოწერაა უწყისში. გარდა ამისა, წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დგინდება სად და რამდენი კილომეტრი გაიარა, ანუ კონკრეტულად რაში გამოიყენა თანამშრომელმა მიღებული საწვავი. აღნიშნული დოკუმენტების შემოწმებით, ვერც აუდიტის ჯგუფმა მოიპოვა საკმარისი მტკიცებულებები იმის დასადგენად, რომ საბუღალტრო სამსახურის მიერ ხარჯებში ჩამოწერილი საწვავი მიზნობრივად არის გამოყენებული, თუმცა აშკარად არალოგიკურია, რომ ყოველთვიურად თითქმის ერთი და იმავე ოდენობის საწვავს ისე ხარჯავდეს ესა თუ ის თანამშრომელი, რომ ერთხელაც არ დარჩეს გამოუყენებელი ნაშთი. საერთოდ, ნაშთის დასაფიქსირებლად ზემოხსენებულ უწყისში გრაფაც კი არ არის გამოყოფილი, რაც არასწორია, მაგრამ ვინაიდან, მოქმედი კანონმდებლობით ეს საკითხი არ არის დარეგულირებული, კონკრეტული სამართლებრივი აქტის დარღვევის შესახებ მითითება ვერ ხერხდება.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით 2011 წლის მანძილზე სხვადასხვა საწარმოსთან გაფორმებულია 76 ხელშეკრულება, საერთო სახელშეკრულებო ღირებულებით 3,735.2 ათასი ლარი. აქედან, 58 ხელშეკრულება, საერთო სახელშეკრულებო ღირებულებით 2,231.3 ათასი ლარი, გაფორმებულია გამარტივებული შესყიდვის გზით. წლის მანძილზე აღნიშნული საწარმოების მიერ გაწეულმა მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 1,844.2 ათასი ლარი.

2012 წლის 9 თვეში ამავე მიზნით გაფორმებულია 46 ხელშეკრულება (საერთო სახელშეკრულებო ღირებულებით 2,649.0 ათასი ლარი), საიდანაც 32 ხელშეკრულება (საერთო სახელშეკრულებო ღირებულებით 1,695.0 ათასი ლარი), გაფორმებულია გამარტივებული შესყიდვის გზით. ამ პერიოდში აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე გაწეულია 1,536.0 ათასი ლარის ღირებულების მომსახურება.

2011 წელს გაფორმებული ხელშეკრულებებიდან 60-ს არ ახლავს ფასების ცხრილები, 2012 წელს გაფორმებული ხელშეკრულებებიდან კი მხოლოდ 15-ს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულებას არ ახლდა ფასების ცხრილი, გამოსაცვლელი ნაწილების, ან გასაწევი მომსახურების ფასები დგინდებოდა ურთიერთშეთანხმებით საბაზრო ფასებიდან გამომდინარე.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების სარემონტო სამუშაოების ასანაზღაურებლად გადახდილმა თანხამ აუდიტის პერიოდში 3,113.1 ათას ლარს გადააჭარბა.

ამის ერთერთი ძირითადი მიზეზი ისაა, რომ უკანასკნელ წლებში სამინისტროში მიმდინარეობდა ძვირადღირებული ა/მ-ების შეძენის პროცესი, რასაც ესაჭიროებოდა დიდი ოდენობის საბიუჯეტო სახსრები, როგორც უშუალოდ შესყიდვისას, ისე ექსპლუატაციის დროს, რადგან მაღალი კლასის ა/მ-ების ტექნომსახურება ასევე ძვირია.

შედეგად, აუდიტის პერიოდში, 2004-2011 წლებში გამოშვებულ მხოლოდ 17 ერთეული ა/მ-ის სარემონტოდ და სათადარიგო ნაწილებით უზრუნველსაყოფად დახარჯულია 414.8 ათას ლარზე მეტი, რაც ძალიან დიდი ხარჯია.

მაგალითად: ამ პერიოდში 2006 წელს გამოშვებული აუდი Q7-ის (VUV-070) და მერსედეს C500-ის (COC-989) სარემონტოდ გახარჯულია შესაბამისად 43.8 ათასი და 50.7 ათასი ლარი.

2010 წელს გამოშვებული ტოიოტა ლექსუსი LS600H-ის (DCD-707) და ტოიოტა პრადოს (KJK-018) სარემონტოდ კი შესაბამისად 29.5 ათასი და 24.7 ათასი ლარი. 2009 წელს გამოშვებულ შკოდა ოქტავიაზე გახარჯულმა თანხამ (ZDZ-345) კი 33.4 ათას ლარს მიაღწია.

ზემოხსენებული მერსედეს C500-ის მარკის (COC-989) ავტომანქანის სარემონტოდ 2012 წლის 16 მაისს გახარჯულია 1945 ლარი, საიდანაც მნიშვნელოვანო წილი სამღებრო და თუნუქის სამუშაოებზე მოდის, თუმცა არ არის წარმოდგენილი ამ სამუშაოების შესრულების აუცილებლობის წარმოშობის მიზეზები.

შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით აღნიშნული ა/მ 2012 წლის 28 აგვისტოს ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ძალზე სერიოზულად დაზიანდა და აღარ ექვემდებარება აღდგენას. აღნიშნულზე წარმოდგენილია სამინისტროს გენერალური ინსპექციის დასკვნა, სადაც დაფიქსირებულია, რომ 2012 წლის 28 აგვისტოს გენერალური ინსპექციის თანამშრომლები, ასრულებდნენ რა სამსახურებრივ მოვალეობას, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების მიზნით, აღნიშნული ა/მ-ით მოძრაობდნენ ზუგდიდის მიმდებარე ტერიტორიაზე სადაც მოუხდათ ავტოსაგზაო შემთხვევა, რის შედეგადაც ა/მ დაზიანდა. აღნიშნული დასკვნით, ა/მ უნდა იქნეს აღდგენილი ან ჩამოწერილი სახელმწიფოს ხარჯზე. ზემოხსენებული დასკვნა შედგენილია ძალზე ზერელედ, არ არის მითითებული თანამშრომელთა გვარები, ავარიის მიზეზები და სხვა აუცილებელი გარემოებები, რაც სხვა შემთხვევებში ყველა დასკვნაშია მითითებული. გარდა ამისა, წარმოდგენილი ინფორმაციით 2012 წლის 28 აგვისტოს გენერალური ინსპექციის თანამშრომლები ოფიციალურად სამსახურებრივ მივლინებაში არ ყოფილან, რაც საეჭვოს ხდის ზემოხსენებული დასკვნის კანონიერებას. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ ავტოსაგზაო შემთხვევის გამო 22.0 ათასი ლარის ნარჩენი ღირებულების ა/მ სრულიად გამოუსადეგარი გახდა, რითაც სახელმწიფოს მიაღდა მატერიალური ზარალი.

დასაფიქსირებელია ის გარემოებაც, რომ აუდი Q7-ს (VUV-070) შეეცვალა რამდენიმე ფარი, ეკრანი, ბამპერი, რამოდენიმეჯერ აღდგენილია დისკები, ჩატარებულია სამღებრო-სათუნუქე სამუშაოები და ა. შ, ისე, რომ არ არის დაფიქსირებული თუ რატომ გახდა ამ სახის სამუშაოების

ჩატარება საჭირო. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ა/მ-ის სარემონტოდ გამოყენებული ნაწილების ფასი ძალიან დიდია. მაგალითად, ერთ წყვილ ფარში გადახდილია 4.2 ათასი ლარი. თვითწებადი ფირის ნაწილობრივ გადაკვრაში გადახდილია 2,890.0 ლარი, ხოლო სათხილამურე კომპლექტში 1,025.0 ლარი.

ხშირ შემთხვევაში გამოცვლილად არის დაფიქსირებული ისეთი ნაწილები, ან ჩატარებულად არის ნაჩვენები ისეთი სამუშაოები, რომელთა აუცილებლობა მხოლოდ რაიმე ინციდენტის (ავტოსაგზო შემთხვევა, ქურდობა და ა.შ.) შემდეგ შეიძლება დადგეს, თუმცა ხარჯვის დამადასტურებელ დოკუმენტებში არ არის მითითებული ამ მიზეზების შესახებ და ვერც შესაბამისი სამსახური თანამშრომლებმა წარმოგვიდგინეს ეს მასალები. მაგალითად: კიდევ რამდენიმე ა/მ-ზეა (ა/მ-ები: სახ.ნომერი MER-263; KAN-082; VVU-525; CJC-567; ZDZ-328; CCZ-750; PAD-563 და ა.შ.) ჩატარებული სამღებრო-სათუნუქე სამუშაოები, ისე რომ არსად არ არის დაფიქსირებული ავტოსაგზო შემთხვევის შესახებ.

2011 წლის 16 მარტს „ტოიოტა პრადოს“ მარკის ა/მ-ას (სახ.ნომერი KJK-263) გამოცვლილი აქვს მარჯვენა სარკე 1,600.0 ლარად. 2012 წლის 22 მარტს „ტოიოტა ლენდკრუიზერი 200“-ის მარკის ა/მ-ას (სახ.ნომერი IUI-171) გამოცვლილი აქვს მარჯვენა და მარცხენა სარკეები, რაშიც გადახდილია 2,870.0 ლარი. არც ერთ შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი განმარტება, თუ რატომ გახადა აუცილებელი სარკეების გამოცვლა.

გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში გამოცვლილად ნაჩვენები ნაწილების ფასი არ შეესაბამება საბაზრო ფასებს, თუმცა შესაბამისი განფასების ცხრილების არარსებობის გამო გადახდილი ფასის შესაბამისობის დადგენა, ვერ ხერხდება. ამასთან, ა/მ-ების სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გაფორმებულ ხელშეკრულებებს თანდართული განფასების ცხრილები საკმაოდ მწირია და არ ითვალისწინებენ საკმაოდ ხშირად გამოსაცვლელი ნაწილების, ან გასაწევი მომსახურების ფასებს. ამიტომ, შემსრულებლის მიერ შესაბამის ანგარიშ-ფაქტურებში ფასები ამ შემთხვევაშიც საკუთარი შეხედულებისამებრ არის დაფიქსირებული და ვერც მათი შედარება ხერხდება რაიმე კონკრეტულ დოკუმენტთან. მაგალითად: 2011 წლის 6 ივლისს „მერსედეს მლ“-ის მარკის ა/მ-ას (სახ.ნომერი TWT-454) გამოცვლილი აქვს „უკანა ხიდის რედუქტორი“ და „რაზდატკა“, რაშიც გადახდილია ჯამში 8 ათას ლარზე მეტი, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ეს ნაწილი მეორადი იყო.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ა/მ-ების ტექნიკურ მომსახურებაზე გაფორმებულ ხელშეკრულებებზე თანდართული ფასების ცხრილებში, სათანადო ნაწილების დასახელება მითითებულია ქართული ტერმინოლოგიით, ხოლო ინვოისებში, დეფექტურ და შესრულებული სამუშაოების აქტებში კი რუსული ტერმინოლოგიით, რაც ართულებს ინვოისებში მითითებული ნაწილების და მომსახურების ფასების შედარებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფასებთან.

სამინისტროს მიერ ა/მ-ების ტექმომსახურების შესყიდვის მიზნით, გამოცხადებულ ტენდერებში ხშირ შემთხვევაში თითო პრეტენდენტი იღებდა მონაწილეობას და კონკურენციის გარეშე იმარჯვებდა ისე, რომ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას თითქმის არაფერი აკლდებოდა.

შედეგად, მასთან ფორმდებოდა ხელშეკრულება სატენდერო განაცხადში მითითებული შესყიდვის სავარაუდო ღირებულებასთან მიახლოებული ფასით.

მაგალითად, 2011 წლის 25 მარტს, 2 დასახელების 4 ერთეული „ვოლვოს“ მარკის ა/მ-ების ტექმომსახურების შესყიდვის მიზნით, სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი. ამ შემთხვევაში განფასების ცხრილების ჯამური სავარაუდო ღირებულება 43.4 ათას ლარს შეადგენდა, რაც წარმოადგენდა კიდევ კონკურენციის საგანს. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად კი განსაზღვრული იყო 22.0 ათასი ლარი.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა, კერძოდ შპს „ცენტრპაუსმა“, რომელმაც განფასების ცხრილების ჯამურ ღირებულებად მიუთითა 42.9 ათასი ლარი და გამარჯვება მოიპოვა. ამრიგად, კონკურენციის არარსებობის გამო, განფასების ცხრილების ჯამური სავარაუდო ღირებულება თითქმის არ შეცვლილა.

ანალოგიურად, 2011 წლის 23 მარტს, სხვადასხვა დასახელების 6 ერთეული ა/მ-ის ტექმომსახურების შესყიდვის მიზნით, სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი. ამ შემთხვევაში განფასების ცხრილების ჯამური სავარაუდო ღირებულება 135.4 ათას ლარს შეადგენდა, რაც წარმოადგენდა კიდევ კონკურენციის საგანს. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად კი განსაზღვრული იყო 45.0 ათასი ლარი.

ამ ტენდერშიც მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა მიიღო მონაწილეობა. კერძოდ, შპს „ავტოსერვისცენტრი“-მა განფასების ცხრილების ჯამურ ღირებულებად მიუთითა 120.5 ათასი ლარი და გამარჯვება მოიპოვა. ამრიგად, აქაც განფასების ცხრილების ჯამური სავარაუდო ღირებულება მხოლოდ უმნიშვნელოდ შეიცვალა, რაც ასევე კონკურენციის არარსებობამ გამოიწვია.

განსხვავებული მდგომარეობაა იმ ტენდერების შედეგებში, სადაც ერთზე მეტმა პრეტენდენტმა მიიღო მონაწილეობა. კერძოდ: 2011 წლის 11 მარტს, 6 დასახელების 27 ერთეული „ბე-ემ-ვე“-ს მარკის ა/მ-ების ტექმომსახურების შესყიდვის მიზნით, სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი. სატენდერო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყო თითოეული მარკისა/მ-ისათვის საჭირო ნაწილების, ან გასაწევი მომსახურების სავარაუდო ჩამონათვალი და აღნიშნული განფასების ცხრილების ჯამური სავარაუდო ღირებულება 238.1 ათასი ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენდა კიდევ კონკურენციის საგანს.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა. მათგან პირველმა, შპს „იბერია ავტოპაუსმა“ განფასების ცხრილების ჯამურ ღირებულებად მიუთითა 235 .0 ათასი ლარი, მეორემ შპს „ცენტრ პაუსმა“, კი 147.0 ათასი ლარი, ანუ 37.5%-ით ნაკლები.

ტენდერში გამარჯვება მაინც შპს „იბერია ავტოპაუსმა“ მოიპოვა, რომელმაც ვაჭრობისას განფასების ცხრილების ჯამური ღირებულება 139.9 ათას ლარამდე შეამცირა, ანუ საკუთარი თავდაპირველი წინადადება თითქმის გაანახევრა (41.4%-ით შეამცირა). მასთან 2011 წლის 29 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება N400.

ამრიგად, საწარმომ რომელსაც სურდა ამ ტენდერში გამარჯვება თავდაპირველად გაცილებით დიდი ფასი მოითხოვა იმ საქმეში, რომელსაც იგი თითქმის ნახევარ ფასშიც კი გააკეთებდა. ამის საშუალება კი მას არარეალურად გაზრდილმა შესყიდვის სავარაუდო ღირებულებამ მისცა.

ანალოგიურად, 2011 წლის 23 მარტს, 5 დასახელების 49 ერთეული „ფოლკცვაგენ“-ის მარკის ა/მ-ების ტექნომსახურების შესყიდვის მიზნით, სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი. ამ შემთხვევაში განფასების ცხრილების ჯამური სავარაუდო ღირებულება 149.8 ათას ლარს შეადგენდა, რაც წარმოადგენდა კიდევ კონკურენციის საგანს. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად კი განსაზღვრული იყო 330.0 ათასი ლარი.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა. მათგან პირველმა, შპს „იბერიასერვისმა“ განფასების ცხრილების ჯამურ ღირებულებად მიუთითა 149.8 ათასი ლარი, მეორემ, შპს „ავტოსერვისი 16“-მა - 138.8 ათასი ლარი, მესამემ, „ავტოსერვისცენტრი“-მა კი - 118.3 ათასი ლარი, ანუ განფასების ცხრილების ჯამურ სავარაუდო ღირებულებაზე 21%-ით ნაკლები.

ტენდერში გამარჯვება მოიპოვა შპს „ავტოსერვისი 16“-მა, რომელმაც ვაჭრობისას განფასების ცხრილების ჯამური ღირებულება 80.0 ათას ლარამდე შეამცირა, ანუ განფასების ცხრილების ჯამური სავარაუდო ღირებულება თითქმის გაანახევრა (47%-ით შეამცირა). მასთან 2011 წლის 6 მაისს გაფორმდა ხელშეკრულება N446, სახელშეკრულებო ღირებულებით 330.0 ათასი ლარი.

ამ პერიოდში, თითქმის ანალოგიურად წარიმართა კიდევ სამი ტენდერი, რომლებშიც ვაჭრობის შედეგად ასევე დიდი ფასდაკლებები დაფიქსირდა და სამივე შემთხვევაში შპს „ავტოსერვისი 16“-მა გაიმარჯვა (ხელშეკრულებები N399 და N447; N448).

2012 წლის 10 იანვარს, 3 დასახელების 10 ერთეული „ტოიოტას“ მარკის ა/მ-ების ტექნომსახურების შესყიდვის მიზნით, სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი. ამ შემთხვევაში განფასების ცხრილების ჯამური სავარაუდო ღირებულება 196.8 ათას ლარს შეადგენდა, რაც წარმოადგენდა კიდევ კონკურენციის საგანს. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად კი განსაზღვრული იყო 72.0 ათასი ლარი.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო ოთხმა პრეტენდენტმა. მათგან პირველმა, შპს „თეგეტა მოტორსმა“ განფასების ცხრილების ჯამურ ღირებულებად მიუთითა 196.8 ათასი ლარი, მეორემ, შპს „ავტოსერვისცენტრი“-მა - 153.5 ათასი ლარი, მესამემ, შპს „ემჯი მოტორსმა“ - 136.8 ათასი ლარი, მეოთხემ, შპს „იბერია ტექ ავტომოტივმა“ - 109.8 ათასი ლარი, ანუ განფასების ცხრილების ჯამურ სავარაუდო ღირებულებაზე 44%-ით ნაკლები.

ტენდერში გამარჯვება მოიპოვა შპს „იბერია ტექ ავტომოტივმა“, რომელმაც ვაჭრობისას სატენდერო წინადადების ღირებულება 104.4 ათას ლარამდე შეამცირა, ანუ განფასების ცხრილების ჯამური სავარაუდო ღირებულება თითქმის გაანახევრა (47%-ით შეამცირა). მასთან 2012 წლის 12 თებერვალს გაფორმდა ხელშეკრულება N213, სახელშეკრულებო ღირებულებით 72.0 ათასი ლარი.

ანალოგიურად წარიმართა 2012 წელს ჩატარებული ტენდერების დიდი უმრავლესობა. ამრიგად, ამ შემთხვევებშიც ადგილი აქვს შესყიდვის სავარაუდო ღირებულების დაუსაბუთებლად განსაზღვრის ფაქტებს.

ყოველივე ზემოაღნიშნული კი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ათეულობით ხელშეკრულების გაფორმება ტენდერის გარეშე, რასაც ადგილი ჰქონდა, როგორც 2011 ისე 2012 წლებში, მაღალი რისკის მატარებელია, მაგრამ შესადარისი ინფორმაციის არარსებობის გამო უტყუარი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება ვერ ხერხდება.

სამინისტროში, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის N26 დადგენილებით განსაზღვრული წლოვანების (არა უმეტეს 5 წლის) ა/მ-ების სარემონტო სამუშაოების შესყიდვა ხორციელდებოდა გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, რაც დაშვებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლით, თუმცა ამ საკითხის გაანალიზებით ჩანს, რომ ასეთი ტიპის მომსახურების შესყიდვისას უმჯობესია კონკურენტული გარემოს შექმნა და ხელშეკრულებების ტენდერის საფუძველზე გაფორმება, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებს მნიშვნელოვნად დაზოგავს.

2012 წლის 31 იანვარს, 6 დასახელების 11 ერთეული ა/მ-ის ტექნომსახურების შესყიდვის მიზნით, სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი. სატენდერო დოკუმენტაცია გაუგებრად იყო შედგენილი. კერძოდ, სამინისტრო ითხოვდა აღნიშნული ა/მ-ების ტექნომსახურებას ხელშეკრულების გაფორმებიდან წლის ბოლომდე და შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად მითითებული იყო 50.0 ათასი ლარი. ამ დროს არ იყო დაკონკრეტებული ა/მ-ების გამოშვების წლები, ტექნიკური მდგომარეობა და სხვა აუცილებელი პარამეტრები. ამრიგად, გასაწევი მომსახურების შესახებ ტექნიკური დავალება ისე იყო შედგენილი, რომ შეუძლებელი იყო სატენდერო წინადადების ღირებულების ლოგიკური გაანგარიშება, რადგან პრეტენდენტების მიერ, ვერ მოხერხდებოდა იმის გათვლა თუ რომელ ა/მ-ას სავარაუდოდ, რამდენჯერ და რა სირთულის რემონტი დასჭირდებოდა წლის მანძილზე. ასეთი გაანგარიშება ვერც სამინისტროს შესაბამისმა სამსახურებმა ვერ წარმოგვიდგინეს.

აღნიშნულ ტენდერში პრეტენდენტებს შეეძლოთ მხოლოდ გამოსაცვლელი ნაწილების, ან გასაწევი მომსახურების ერთეულის ფასები დაეფიქსირებინათ და სამინისტროსაც სწორედ ეს მოთხოვნა უნდა წაეყენებინა, ანუ ეს უნდა ყოფილიყო კონკურენციის საფუძველი და მასზე უნდა მიბმულიყო სატენდერო წინადადების ღირებულება, რაც არ გაკეთებულა.

შედეგად, ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთადერთმა პრეტენდენტმა. რომელმაც სატენდერო წინადადების ღირებულებად ზუსტად 50.0 ათასი ლარი წარმოადგინა, გაიმარჯვა და მასთან 2012 წლის 7 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება N270.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზემოხსენებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად სხვა დოკუმენტებთან ერთად მითითებულია განფასების ცხრილები, მაშინ როდესაც ეს ცხრილები არც სატენდერო წინადადებას ერთვოდა თან და არც თვითონ ხელშეკრულებას. შესაბამისად, ყოველი გაწეული მომსახურების შესაბამის ანგარიშ-ფაქტურებში შემსრულებლის მიერ ფასები

დაფიქსირებულია საკუთარი შეხედულებისამებრ და მათი შედარება რაიმე კონკრეტულ დოკუმენტთან ვერ ხერხდება. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული მიწოდების ღირებულებამ შეადგინა 16.0 ათასი ლარი.

სახელმწიფო შესყიდვების აუდიტით გამოვლენილი კანონდარღვევები და საეჭვო გარემოებები

წარმოდგენილი ინფორმაციით, აუდიტის პერიოდში (2011 წელი და 2012 წლის 9 თვე) სამინისტროს გაფორმებული აქვს 1934 არასაიდუმლო ხელშეკრულება, საერთო სახელშეკრულებო ღირებულებით 164,630.2 ათასი ლარი. მათ შორის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებულ იქნა 1425 ხელშეკრულება (საერთო სახელშეკრულებო ღირებულებით - 49,158.4 ათასი ლარი), საიდანაც 507 ხელშეკრულება (საერთო სახელშეკრულებო ღირებულებით - 31,603.0 ათასი ლარი) გაფორმებულია მონეტარული ზღვრების დარღვევით, რასაც ხშირად საფუძვლად უდევს გადაუდებელი აუცილებლობის მოტივი. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის საფუძველზე სულ გაფორმებულია 498 ხელშეკრულება, საერთო სახელშეკრულებო ღირებულებით - 115,354.0 ათასი ლარი.

გარდა აღნიშნულისა ჩატარებულია 11 კონკურსი, რომელთა შედეგადაც გაფორმებულია ამდენივე ხელშეკრულება, საერთო სახელშეკრულებო ღირებულებით - 117.8 ათასი ლარი.

სულ ამ პერიოდში გამოცხადდა 794 გამარტივებული და ელექტრონული ტენდერი, საიდანაც შედეგიანად დასრულდა მხოლოდ 498, ანუ 62.7%, არ შედგა 265 (33.4%), შეწყვეტილია 12, ხოლო უარყოფითი შედეგით დასრულდა 19 ტენდერი.

ინფორმაცია სამინისტროს მიერ გაფორმებული არასაიდუმლო ხელშეკრულებების შესახებ წარმოდგენილია ცხრილის სახით: (ათას ლარებში)

ტენდერის ტიპი	2011		2012 (I - IX თვე)		სულ რაოდენობა	სულ ღირებულება
	ხელ. რაოდენობა	ხელ. ღირებულება	ხელშ. რაოდენობა	ხელ. ღირებულება		
გამარტივებული შესყიდვა	756	27,888.79	669	21,269.58	1,425	49,158.37
სხვა გამარტივებული შესყიდვა	540	11,836.09	378	5,719.30	918	17,555.40
გადაუდებელი აუცილებლობის თვამოწვეული შესყიდვა	216	16,052.70	291	15,550.28	507	31,602.98
გამარტივებული ელ. ტენდერი	142	2,020.49	117	1,763.50	259	3,783.99
ელ. ტენდერი	129	60,017.33	110	51,552.70	239	111,570.03
კონკურსი	3	71.30	8	46.50	11	117.80
სულ	1030	89,997.91	904	74,632.28	1,934	164,630.19

აუდიტის პერიოდში ხელშეკრულების პირობების არაჯეროვნად შესრულებისათვის 65 კონტრაქტორს საჯარიმო სანქციების სახით დაეკისრა ჯამში 87.7 ათასი ლარის გადახდა.

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმებით გამოვლინდა მნიშვნელოვანი სახის დარღვევა-ნაკლოვანებები, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა საბიუჯეტო სახსრების გამოყენების მიზნობრიობასა და ეფექტიანობაზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამინისტროში სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად გათვალისწინებული ასიგნებებიდან მხოლოდ ნაწილი არის გაწერილი კონკრეტული საქონლის ან მომსახურების შესაძენად, ანუ წლის მანძილზე განსახორციელებელი შესყიდვები სრულად არ იყო დაგეგმილი. ამიტომ, აუდიტის პერიოდში, შესყიდვების დამტკიცებულ გეგმებაში რეალურად დამატებები ხორციელდებოდა და არა ცვლილებები.

შედეგად, 2011 წლის სახელმწიფო შესყიდვების დამტკიცებული გეგმა, რომელიც ჯამში 66.3 მლნ. ლარის ღირებულების შესყიდვების განხორციელებას ითვალისწინებდა, წლის მანძილზე 14-ჯერ შეიცვალა, ჯამში 34.5 მლნ. ლარით, ანუ 52%-ით გაიზარდა და 100.8 მლნ. ლარი შეადგინა.

ანალოგიურად, 2012 წლის სახელმწიფო შესყიდვების დამტკიცებული გეგმა, ჯამში 93.5 მლნ. ლარის ღირებულების შესყიდვების განხორციელებას ითვალისწინებდა, წლის მანძილზე 15-ჯერ შეტანილი ცვლილების შედეგად, ჯამში 26.4 მლნ. ლარით, ანუ 28.2%-ით გაიზარდა და 119.9 მლნ. ლარი შეადგინა.

როგორც აუდიტით დადგინდა, წინასწარ დაუგეგმავი შესყიდვები გაცილებით მეტი დარღვევა-ნაკლოვანებით ხორციელდებოდა, ვიდრე დაგეგმილი.

ამასთან, დაუგეგმავი ხარჯების გაწევა ძირითადად ხდებოდა გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, რის შედეგადაც შესყიდვა ხორციელდებოდა ტენდერის გარეშე, რაც გამორიცხავს კონკურენციას და შესაბამისად მაღალი რისკის მატარებელია.

აღსანიშნავია, რომ სამინისტროს მიერ გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამარტივებული შესყიდვის გამოყენებისას ხშირ შემთხვევაში უგულებელყოფილია კანონმდებლობის მოთხოვნები¹⁸, რომლის მიხედვითაც, ასეთ დროს უნდა არსებობდეს ვითარება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას და რომელიც არ შეიძლება ყოფილიყო წინასწარ განსაზღვრული, ან/და რომლის დადგომა არ არის გამოწვეული შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედებით, ან რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას. გარდა ამისა შესყიდვის ობიექტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო ოდენობას. აგრეთვე შემსყიდველმა ორგანიზაციამ მაქსიმალურად უნდა აარიდოს თავი შესყიდვის

¹⁸სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ლ“ პუნქტის მოთხოვნა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.

განხორციელების გაჭიანურებას, რათა ხელოვნურად არ შეიქმნას შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობა.

მაგალითად: მინისტრის 2011 წლის 4 ნოემბრის N889 ბრძანების შესაბამისად, 2011 წლის 8 ნოემბერს სამინისტრომ გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით 5000 ცალი პლანშეტური კომპიუტერის შესაძენად გამარტივებული შესყიდვის გზით შპს „ალგორითმთან“ გააფორმა ხელშეკრულება N911, სახელშეკრულებო ღირებულებით - 2775.0 ათასი ლარი (ერთეულის ფასი - 555 ლარი დღგ-ს ჩათვლით). წარმოდგენილი დოკუმენტებით არ არის დასაბუთებული, თუ რატომ ჩაითვალა რომ არსებობდა ვითარება, რომელიც საფრთხეს უქმნიდა სამინისტროს ფუნქციონირებას, ან სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ინტერესებს. ასევე, თუ ამ საქონლის შეძენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რატომ თავიდანვე არ იყო გათვალისწინებული შესყიდვების გეგმაში და რატომ იქნა შეტანილი შესაბამისი ცვლილება მხოლოდ 2011 წლის 25 ოქტომბერს. ლოგიკურად, აღნიშნული შესყიდვა უნდა განხორციელებულიყო ელექტრონული ტენდერის საშუალებით¹⁹.

შპს „ალგორითმის“ მიერ წარმოდგენილი შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტების მიხედვით ზემოხსენებული პლანშეტური კომპიუტერები იმპორტირებულია ჩინეთიდან და ერთეულის თვითღირებულებამ (ავტომანქანის ადაპტერის ჩათვლით) შეადგინა დაახლოებით 363.3 ლარი, მაშინ როდესაც სამინისტროს მიჰყიდა 470.3 ლარად, დღგ-ს გარეშე. აღნიშნულ კომპიუტერებთან დაკავშირებით სხვა რაიმე ხარჯის გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტები ვერ იქნა წარმოდგენილი. ამრიგად, ფასნამატმა თითოეულ კომპიუტერზე შეადგინა დაახლოებით 107 ლარი, სულ 5000 ცალზე კი დაახლოებით 535.0 ათასი ლარი (29.5%), რაც სამინისტროს შესაბამისი სამსახურების მხრიდან ბაზრის კვლევის საკითხისადმი არასათანადო დამოკიდებულების მანიშნებელია.

ანალოგიური პლანშეტური კომპიუტერების (2000 ცალი) შესაძენად სამინისტრომ 2012 წლის 26 იანვარს გამოაცხადა ტენდერი, რომელშიც გამარჯვებულად გამოცხადდა იგივე შპს „ალგორითმი“ რომელიც იყო ერთადერთი პრეტენდენტი. მასთან, 2012 წლის 6 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება N266, სახელშეკრულებო ღირებულებით - 1110.0 ათასი ლარი. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული მიწოდებისას ფასნამატმა თვითღირებულებაზე შეადგინა დაახლოებით 214.0 ათასი ლარი. ორივე ხელშეკრულების ფარგლებში ჯამურად ფასნამატი შეადგენს დაახლოებით 749.0 ათას ლარს (29.5%).

წარმოდგენილი ინფორმაციით, ზემოხსენებული 2000 ცალი პლანშეტური კომპიუტერი სამინისტროში შემოტანილია 2012 წლის 5-12 აპრილს, საიდანაც 2013 წლის 11 მარტის მდგომარეობით 1822 ცალი, ანუ 91% ისევ საწყობში ინახებოდა, რაც ამ შესყიდვის განხორციელების აუცილებლობას ეჭვის ქვეშ აყენებს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ 1822 ცალიდან 791 ცალი კომპიუტერი, თბილისში 2012 წლის მაისში მომხდარი სტიქიური მოვლენების გამო დატბორილ საწყობში აღმოჩნდა და დაზიანდა.

¹⁹სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მოთხოვნები.

დასაფიქსირებელია ის გარემოება, რომ ზემოხსენებულ ტენდერში საქონლის მოწოდების ბოლო ვადად მითითებული იყო 10 მარტი, ხოლო სატენდერო წინადადებების მიღება იწყებოდა 11 თებერვალს და მთავრდებოდა 16 თებერვალს, ამიტომ გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმება საორიენტაციოდ მარტის პირველ რიცხვებში უნდა მომხდარიყო, რაც სამინისტროს შესაბამის პასუხისმგებელ თანამშრომლებს ადვილად შეეძლოთ გაეთვალათ. აქედან გამომდინარე, ისეთი სპეციფიკური საქონლის მოსაწოდებლად, როგორიცაა კონკრეტული ზომის და მახასიათებლების მქონე პლანშეტური კომპიუტერები, ასეთი მცირე დროის მიცემა ძალზე საეჭვოა. შედეგად, აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა, რამაც პრაქტიკულად გამორიცხა კონკურენცია, რაც ეწინააღმდეგება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ არსებული კანონმდებლობის ძირითად მიზანს.

საქონლის მოწოდების ვადის არაგონივრულობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ შპს „ალგორითმა“, რომელთანაც შესაბამისი ხელშეკრულება 2012 წლის 6 მარტს გაფორმდა, 10 მარტამდე ვერ მოახერხა საქონლის მოწოდება და ვადის გაგრძელება ითხოვა, რაზედაც შედგა შეთანხმება და საწარმოს მოწოდების ვადად 25 მარტი დაუდგინდა, მიუხედავად ამისა მან 5-12 აპრილამდე მაინც ვერ შესძლო ვალდებულების შესრულება და დაჯარიმდა კიდევ.

ამრიგად, სატენდერო განცხადებით ისეთი მჭიდრო ვადა იყო დასახელებული, რომ ამ საკითხში უკვე გამოცდილ საწარმოსაც კი მიცემულზე 5-ჯერ მეტი ვადა დასჭირდა ამ ვალდებულების შესასრულებლად. შესაბამისად, სხვა, ნაკლებად გამოცდილ საწარმოებს აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობა არ მიუღიათ, რითაც არსებითად შეიზღუდა კონკურენცია.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სამინისტრომ იმავე შპს „ალგორითმთან“, 2012 წლის 19 ივნისსაც გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, გამარტივებული შესყიდვის გზით, გააფორმა ხელშეკრულება N518, 1200 კომპლექტი პლანშეტური კომპიუტერის შესაძენად, სახელშეკრულებო ღირებულებით - 598.8 ათასი ლარი (ერთეულის ფასი - 499 ლარი დღგ-ს ჩათვლით). არც ამ შემთხვევაშია დასაბუთებული, თუ რატომ ჩაითვალა რომ არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობა ასეთი ოდენობის კომპიუტერების შესაძენად. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებით გაირკვა, საწარმომ 1200-ივე კომპიუტერი იმავე დღეს მიაწოდა სამინისტროს და მეორე დღესვე მიიღო შესაბამისი თანხა, რაც ეჭვს ბადებს იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მიმდინარე წლის 1 აპრილის მდგომარეობითაც კი ყველა ეს კომპიუტერი გამოუყენებლად ინახებოდა სამინისტროს საწყობში. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ კომპიუტერული ტექნიკა სწრაფ მორალურ ცვეთას განიცდის, შეიძლება დავასკვნათ, რომ დღეის მდგომარეობით 598.8 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების გამოუყენებელი პლანშეტური კომპიუტერის რეალური ღირებულება გაცილებით ნაკლებია, ანუ სახეზეა არასწორი მენეჯმენტის გამო სახელმწიფოსადმი მიყენებული ზარალი.

2012 წლის 20 ივნისს სამინისტრომ ასევე გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით 12 ერთეული ა/მ-ის შესაძენად გამარტივებული შესყიდვის გზით შპს „საქართველოს ფოსტასთან“ გააფორმა ხელშეკრულება N530, სახელშეკრულებო ღირებულებით - 210.27 ათასი ლარი. აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების ვადა იყო 5 ივლისის ჩათვლით (15 დღე), თანაც გათვალისწინებული იყო საკმაოდ მოძველებული, კერძოდ 1997-2001 წლებში გამოშვებული

„ტოიოტა პრადოს“ და „მიცუბიში პაჯერო იო“-ს მარკის ა/მ-ების მიწოდება, მაშინ როდესაც სამინისტრო თვითონ ახდენდა აღნიშნულზე უკეთესი ტექნიკური მახასიათებლების მქონე ა/მ-ების ახლით ჩანაცვლებას. შპს „საქართველოს ფოსტას“ მიერ ეს ა/მ-ები უკვე 23 ივნისს არის მიწოდებული.

შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა შესყიდული ა/მ-ების ღირებულების დადგენის შესახებ.

ასევე გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით 2012 წლის 2 ივლისს სამინისტრომ, 981.5 ათასი ლარის ღირებულების ავტოსატრანსპორტო საშუალების სათადარიგო ნაწილების შეძენის მიზნით, გამარტივებული შესყიდვის გზით გააფორმა შპს „საქართველოს ფოსტასთან“ ხელშეკრულება N552. საწარმომ სამინისტროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი 9 ივლისს მიაწოდა, რაც ანაზღაურებული იქნა იმავე დღეს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ხელშეკრულებით შესყიდულია ისეთი სათადარიგო ნაწილები, რომელთა უმეტესი ნაწილი შეიძლება საერთოდ არც გახდეს საჭირო. მაგალითად, სხვადასხვა მარკის და წლოვანების ა/მ-ების ფრთები, კარები, ფარები, საბარგულები და ა.შ. სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ამ შესყიდვის განხორციელების აუცილებლობის დასაბუთება.

სასაწყობო მეურნეობის ანალიზით დადგინდა, რომ 2013 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, ანუ 10 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით შესყიდული აღნიშნული სათადარიგო ნაწილების 18%-იც კი არ არის გამოყენებული და 911.5 ათასი ლარის ღირებულების მარაგები გამოუყენებლად ინახებოდა საწყობებში. კერძოდ: 803.3 ათასი ლარის ღირებულების მარაგები ისევ ცენტრალურ საწყობში, 108.2 ათასი ლარის ღირებულებისა კი სასაზღვრო პოლიციის საწყობში ინახებოდა. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში უშუალოდ ცენტრალურ აპარატს გამოყენებული აქვს მთელი მიღებული სათადარიგო ნაწილების მხოლოდ 7.4% (7.3 ათასი ლარის ღირებულები). სასაზღვრო პოლიციაზე გადაცემულია 159.0 ათასი ლარის ღირებულების მარაგები, საიდანაც მხოლოდ 50.9 ათასი ლარის ღირებულების ნაწილები იქნა გამოყენებული.

შპს „საქართველოს ფოსტასთან“ გაფორმებული ზემოხსენებული ხელშეკრულებების საფუძველზე განხორციელებული შესყიდვის კანონიერების შემოწმების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22¹-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, 2013 წლის 7 მაისს საწარმოში გაიგზავნა წერილი N845381 ამ შესყიდვასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამოწმებული ასლების წარმოდგენის თხოვნით, რაც საწარმოს მიერ შესრულდა ნაწილობრივ. კერძოდ, წარმოდგენილია მხოლოდ სათადარიგო ნაწილების შესყიდვის ხელშეკრულებების და შესყიდული საქონლის ჩამონათვალი, ფასების მითითებით. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, აღნიშნული სათადარიგო ნაწილების შესყიდვის მიზნით შპს „საქართველოს ფოსტას“ 2012 წლის 30 აპრილს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები N30.04.14 და N30.04.15 „WESTLINE ASIA“ GENERAL TRADING LLC-სთან 1073 დასახელების, ჯამში 491.7 ათასი

აშშ დოლარის ღირებულების სათადარიგო ნაწილების შესყიდვის შესახებ, რაც მიწოდებულია სრულად. ხელშეკრულების თანმხლებ სპეციფიკაციაში ჩანს ბეჭდვისას დაშვებული აშკარა მექანიკური შეცდომა, რომლის გათვალისწინებითაც დადგინდა, რომ შპს „საქართველოს ფოსტამ“ შეისყიდა 8.9 ათას ერთეულზე მეტი სათადარიგო ნაწილი, საიდანაც მხოლოდ 5843 ერთეული მიაწოდა სამინისტროს, რაშიც მიიღო 981.5 ათასი ლარი. ფასნამატმა დაახლოებით 50%, ანუ 360.0 ათასი ლარი შეადგინა, რაც დაუსაბუთებლად მაღალია, მით უმეტეს, რომ ამ საქონლის გადაუდებელი შესყიდვის საჭიროება არ არსებობდა.

სამინისტრომ, ქ. ბათუმში 2011 წლის 6 მაისის აღლუმთან დაკავშირებით საჭირო ორკესტრისა და ჟურნალისტებისათვის გადახურული სცენით, გახმოვანების აპარატურითა და პირდაპირი სატელევიზიო ტრანსლაციისთვის პარტიკაბელებით და პოდიუმით მომსახურების შესყიდვის მიზნით, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით შპს „ანი&CO“-სთან, 2011 წლის 29 აპრილს გააფორმა ხელშეკრულება N392.

შესაბამისი ცვლილება სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში შეტანილია 2011 წლის 19 აპრილს. ამ შემთხვევაში არალოგიკურია გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით შესყიდვის განხორციელება, რადგან 6 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებული აღლუმი და შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვები სამინისტროს შეეძლო წინასწარ დაეგემა.

ზემოხსენებულ ხელშეკრულებას თან ერთვის საექვო სახის არასრულყოფილი და დაუსაბუთებელი ხარჯთაღრიცხვა, რომლის მიხედვითაც სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 199.3 ათასი ლარი. 2011 წლის 6 მაისის მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით გაწეული მომსახურების ღირებულებამაც ზუსტად იგივე თანხა - 199.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც სამინისტროს მიერ სრულად იქნა გადახდილი.

აღნიშნული მომსახურების რეალური ღირებულების დადგენის მიზნით სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის 2013 წლის 18 მარტის N501788 წერილით შპს „ანი&CO“-სგან მოთხოვნილ იქნა გაწეული მომსახურების დეტალური ხარჯთაღრიცხვა და ხარჯების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტები²⁰. შპს „ანი&CO“-ს მიერ აღნიშნული დოკუმენტები არ იქნა წარმოდგენილი, რის გამოც საკითხის სრულყოფილად შესწავლა ვერ მოხერხდა.

აღსანიშნავია, რომ 2012 წლის აღლუმთან დაკავშირებით, ქ. გორში ანალოგიური მომსახურების შესყიდვის მიზნით, სამინისტრომ 2012 წლის 27 აპრილს ისევ გამარტივებული შესყიდვის გზით (გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით) შპს „ლუმა“-სთან გააფორმა ხელშეკრულება N367 სახელშეკრულებო ღირებულებით 72.5 ათასი ლარი. აღნიშნული თანხიდან 40.0 ათასი ლარი „ორკესტრისათვის გადახურული სცენის და პოდიუმის 12X10მ და გახმოვანების აპარატურით მომსახურების (იჯარა)“ ღირებულებადაა მითითებული.

გარდა ამისა, იმავე საწარმოსთან, 6 მაისის აღლუმთან დაკავშირებით ძირითადი ტრიბუნის გადახურვის, მოწყობა-დემონტაჟის სამუშაოს შესყიდვის მიზნით 2 მაისს, ისევ გამარტივებული

²⁰ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22¹ მუხლის საფუძველზე.

შესყიდვის გზითაა გაფორმებული ხელშეკრულება N385 და გაწეულია 24.4 ათასი ლარის საკასო ხარჯი.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქ.ბათუმში 6 მაისის აღლუმთან დაკავშირებით 2011 წლის 3 მაისს შპს „ჯი ეფ კომპანისთან“ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დაიდო ხელშეკრულება N417, რომლის საფუძველზეც, საწარმომ 12 წუთიანი პიროტექნიკური მომსახურება გაუწია სამინისტროს და ანაზღაურების სახით მიიღო 26.8 ათასი ლარი. შესყიდვების სამსახურში ვერ წარმოგვიდგინეს შესაბამისი მოთხოვნა ან, რაიმე არგუმენტაცია, ასეთი მომსახურების შესყიდვის შესახებ.

2012 წლის 19 ივლისს სამინისტრომ ასევე გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით 2 ერთეული ა/მ-ის შესაძენად გამარტივებული შესყიდვის გზით ი.მ „კოტე ჩხეიძესთან“ გააფორმა ხელშეკრულება N615, სახელშეკრულებო ღირებულებით - 54.3 ათასი აშშ დოლარი. აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების ვადა იყო 26 ივლისის ჩათვლით (7 დღე). ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო 2007 და 2008 წლებში გამოშვებული „ტოიოტა პრადოს“ მარკის ა/მ-ების მიწოდება, რომლებსაც გარბენილი ჰქონდათ შესაბამისად 136.0 ათასი და 125.0 ათასი კმ. თითოეულის ფასი შეადგენდა 27.15 ათას აშშ დოლარს, რაც საბაზრო ფასთან შედარებით დაუსაბუთებლად მაღალია.

აღნიშნული ა/მ-ები მიწოდებულია 25 ივლისს და შესაბამისი თანხა (90.3 ათასი ლარი) ანაზღაურებულია სრულად.

გარდა ამის, სამინისტროს მიერ, მარტო 2012 წლის 1-იდან 6 აგვისტოს ჩათვლით, ძირითადად ფიზიკური პირებისაგან შესყიდულია 19 ერთეული ავტომანქანა. ცხრამეტივე ხელშეკრულება გაფორმებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით წინასწარ დაუგეგმვად, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, თუმცა შესაბამისი არგუმენტაცია წარმოდგენილი ვერ იქნა.

ამრიგად, ამ ხელშეკრულებებით დამატებით 573.9 ათასი ლარის ჯამური ღირებულების სახელმწიფო შესყიდვაა განხორციელებული მონეტარული ზღვრების დარღვევით.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მარტო 2012 წლის 6 ივლისიდან 18 აგვისტოს ჩათვლით სამინისტროს საქართველოს მთავრობის კანცელარიისათვის გადაცემული აქვს მის საკუთრებაში არსებული 1,608.6 ათასი ლარის ღირებულების 29 ერთეული მაღალი კლასის ა/მ, რაც არანაირად არ შეიძლება ჩაითვალოს ლოგიკურად, რადგან ამავე პერიოდში იგი გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით სასწრაფოდ აწარმოებდა სხვა ა/მ-ების შეძენას.

გარდა ამისა, სამინისტროს მიერ, დაუგეგმვად და შესაბამისი არგუმენტაციის გარეშე შესყიდულია ძვირადღირებული ავტომანქანა, რომელიც სხვა ორგანიზაციაზეა გადაცემული, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ამ შესყიდვების განხორციელების აუცილებლობასაც, რადგან ასეთ ოპერაციებს სამინისტროს ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულებასთან არანაირი კავშირი არ აქვს. კერძოდ: 2012 წლის 9 ივლისს კვლავ გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, შპს „აკასთან“ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დაიდო ხელშეკრულება N561, ერთი ერთეული „მერსედეს S500-ის“ მარკის ა/მ-ის შესყიდვის შესახებ. აღნიშნული ა/მ-ის ღირებულება შეადგენდა 110.0 ათას ევროს.

შპს „აკას“ მიერ იმავე დღეს იქნა მიწოდებული ეს ა/მ, რისთვისაც 11 ივლისს გადაერიცხა 224.3 ათასი ლარი.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებით აღნიშნული ა/მ შესყიდულია საქართველოს საპატრიარქოსათვის და მას გადაეცა კიდეც. აქედან გამომდინარე, სამინისტროსათვის ამ შესყიდვის განხორციელების არანაირი გადაუდებელი აუცილებლობა არ არსებობდა.

2012 წლის 29 აგვისტოს სამინისტრომ ასევე გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამარტივებული შესყიდვის გზით შპს „მასტერ თრეიდ“-თან და შპს „კანტი“-სთან გააფორმა ხელშეკრულებები N783 და N784, სახელშეკრულებო ღირებულებებით - თითოეული 17.55 ათასი ლარი. ხელშეკრულებებით გათვალისწინებული იყო 15.0 ათასი ცალი 95 გრამიანი „სნიკერსი სუპერის“ (ერთეულის ფასი 1,17 ლარი) და 13.0 ათასი ცალი 240 მლ-იანი ცივი ყავის (ერთეულის ფასი 1,35 ლარი) მიწოდება. ხელშეკრულებების შესრულების ვადები იყო 7-10 სექტემბერი.

ანალოგიური მეთოდით 2012 წლის 3 სექტემბრის N801 ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „გაგრაპლუსისგან“ (სახელშეკრულებო ღირებულებით - 30.2 ათასი ლარი) შეძენილია 10,608.0 ცალი უალკოჰოლო სასმელი „რედბული 0,25 ლ ენერგეტიკული“ (ერთეულის ფასი 2,85 ლარი), რომელიც მიწოდებულია იმავე დღეს.

სამინისტროს პასუხისმგებელი პირების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ასეთი სასწრაფო წესით ზემოხსენებული შესყიდვების განხორციელების აუცილებლობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, მით უმეტეს, რომ ამ პროდუქტების ხარჯვა რეგულარულად მიმდინარეობდა და 2013 წლის დასაწყისისათვის ჯერ კიდევ იყო ნაშთი დარჩენილი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზემოხსენებული ხელშეკრულებებით (N783, N784 და N801) მიწოდებული კვების პროდუქტების შესყიდვა (საკასო ხარჯი) განხორციელებულია ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციით გათვალისწინებული კვების მუხლით, თუმცა მათი დიდი ნაწილი გახარჯულია წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლით, რაც ბუღალტრულ ანგარიშგებაში იძლევა განსხვავებას საკასო და ფაქტიურ ხარჯს შორის.

2012 წლის 17 სექტემბერს სამინისტრომ ისევ გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამარტივებული შესყიდვის გზით შპს „ელსელემასთან“ გააფორმა ხელშეკრულება N863, სახელშეკრულებო ღირებულებით - 11.46 ათასი ლარი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო 1000 ცალი მაისურის (ერთეულის ფასი 7 ლარი), 100 ვიმპელის (ერთეულის ფასი 19 ლარი) და 80 ცალი ქვიშის ფიტულის (ერთეულის ფასი 32 ლარი) მიწოდება. ხელშეკრულების შესრულების ვადად განისაზღვრა 21 სექტემბერი (5 დღე). 21 სექტემბერს პროდუქცია შეტანილია საწყობში და 5 ოქტომბერს გადაეცა გდდ-ს.

აღნიშნული შესყიდვის საფუძველად წარმოდგენილია შსს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის 2012 წლის 21 აგვისტოს წერილი, სადაც მითითებულია, რომ სექტემბერში დაგეგმილი იყო NATO-ს კატასტროფებზე რეაგირების ევროატლანტიკური ცენტრის (EADRC) მიერ ორგანიზებული ფართომასშტაბიანი წვრთნების (GEORGIA-2012) ჩატარება და საჭირო იყო 1000

ცალი მაისურის შეძენა. ამრიგად, წვრთნების ჩატარებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე შესაბამისი სამსახური ინფორმირებული იყო ამ ღონისძიების შესახებ და ვალდებული იყო დროულად განეხორციელებინა საჭირო საქონლის შესყიდვის პროცედურები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, ამ შემთხვევაში უნდა ჩატარებულიყო გამარტივებულ ელექტრონული ტენდერი, რისთვისაც ერთი თვე გონივრული ვადა იქნებოდა.

2012 წლის 20 აგვისტოს სამინისტრომ ასევე გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამარტივებული შესყიდვის გზით, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთან „გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრთან“ გააფორმა ხელშეკრულება N744 და N745 სახელშეკრულებო ღირებულებებით - 48.3 ათასი და 49.3 ათასი ლარი. აღნიშნული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული იყო სამინისტროსათვის საგარეო საფრთხეების და გამოწვევების შესახებ კვლევების ჩატარება და სამინისტროს თანამშრომლებისათვის ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში სწავლების უზრუნველყოფა.

აღნიშნული შესყიდვების განხორციელების აუცილებლობის საფუძველი ვერ იქნა წარმოდგენილი.

N744 ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვაში მითითებულია, რომ კვლევის ჩატარებაში მონაწილე 5 ექსპერტის შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული იყო 35.0 ათასი ლარი, ხოლო დირექტორის (5.0 ათასი ლარი), მისი ასისტენტის (3.5 ათასი ლარი) და ფინანსური მენეჯერის (4.0 ათასი ლარი) შრომის ანაზღაურებისათვის ჯამში 12.5 ათასი ლარი.

2012 წლის 29 აგვისტოს მიმწოდებელს წინასწარ გადაერიცხა 48.8 ათასი ლარი, რაც 1 ოქტომბრის მდგომარეობით ასახული იყო დებიტორულ დავალიანებად.

2012 წლის 16 ოქტომბერს გაფორმებულია 2 მიღება-ჩაბარების აქტი, რომლებსაც სამინისტროს მხრიდან ხელს აწერს შსს პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის დირექტორი (ბექა ალადაშვილი). ორივე აქტში მითითებულია, რომ მიმწოდებელმა ჩაიბარა ზემოხსენებული ხელშეკრულებებით „გათვალისწინებული მომსახურების ნაწილი 50%-ის ოდენობით“. თუმცა გაუგებარია, როგორ მოასწრო მიმწოდებელმა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მომსახურებების 50%-ის დასრულება, მაშინ როდესაც ამ ხელშეკრულებების მიხედვით კვლევა 5 თვე, ხოლო სწავლება 2012 წლის 17 სექტემბრიდან 2013 წლის 22 თებერვლამდე უნდა გაგრძელებულიყო.

სხვა ვერანაირი დოკუმენტი აღნიშნული მომსახურებების რეალურად მიღებისა სამინისტროს საბუღალტრო სამსახურში წარდგენილი არ არის და ზემოხსენებული დებიტორული დავალიანება ჩამოწერილია, რის შემდეგაც ეს ხელშეკრულებები სამინისტროს ინიციატივით გაუქმდა. აღნიშნული საკითხიც თაღლითობის რისკის შემცველია.

2011 წლის 28 აპრილს სამინისტრომ ასევე გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამარტივებული შესყიდვის გზით, შპს „ზარაფხანასთან“ გააფორმა ხელშეკრულება N383 სახელშეკრულებო ღირებულებით - 252.0 ათასი ლარი. აღნიშნული ხელშეკრულებით

გათვალისწინებული იყო უნიფორმის აქსესუარების შესყიდვა. 24 მაისის მდგომარეობით საქონლის მთელი პარტია უკვე შეტანილი იყო საწყობში, მაგრამ მათი ნაწილი თითქმის 2 წლის შემდეგაც კი ნაშთად ირიცხება. მაგალითად: ე.წ. „ვაზის ფოთოლი“ და „ვარსკვლავი“ შესყიდულია შესაბამისად 4,030 (15.3 ათასი ლარის ღირებულების) და 16,250 ერთეული (46.3 ათასი ლარის ღირებულების), საიდანაც 2013 წლის 1 აპრილის მდგომარეობით 57%, ანუ 2304 (8.7 ათასი ლარის ღირებულების) და 40%, ანუ 6544 ერთეული (18.7 ათასი ლარის ღირებულების) ისევ საწყობში ირიცხება ნაშთად.

2011 წლის 29 მარტს ი.მ. „რადიკ დონღუზაშვილთან“ გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმდა ხელშეკრულება №309, ავტობუსით სამინისტროს თანამშრომელთა გადაყვანის უზრუნველსაყოფად ორ მარშრუტზე: თბილისი-ანაკლია, ანაკლია-ზუგდიდი, ზუგდიდი-ანაკლია, ანაკლია-თბილისის და თბილისი-ანაკლია, ანაკლია-სენაკი, სენაკი-ანაკლია, ანაკლია-თბილისის მიმართულებით.

სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 5.0 ათას ლარს, ანუ ერთი მარშრუტის ღირებულება იყო 2.5 ათასი ლარი, რაც დაუსაბუთებლად მაღალია არსებულ საბაზრო ღირებულებასთან მიმართებით.

ამავე ი.მ-სთან 2011 წლის 30 აპრილს კვლავ გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გაფორმდა ხელშეკრულება №404, ავტობუსით მგზავრთა გადაყვანის უზრუნველსაყოფად ორ მარშრუტზე: თბილისი-ბათუმი-თბილისის მიმართულებით.

ამ შემთხვევაშიც ძალიან დიდია სახელშეკრულებო ღირებულება და შეადგენს 4.8 ათას ლარს, ანუ ერთი მარშრუტის ღირებულება იყო 2.4 ათასი ლარი.

ხელშეკრულებებში არ არის მითითებული რაიმე დამატებითი პირობები, მაგალითად: ავტობუსის მარკა, მგზავრთა რაოდენობა და სხვა. ეს მონაცემები არც 6 აპრილს და 10 მაისს გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებშია დაფიქსირებული, რომელთა საფუძველზეც ჯამში 9.8 ათასი ლარი ანაზღაურდა, რაც თითქმის ორჯერ აღემატება ამ სახის მომსახურების საბაზრო ფასებს.

სამინისტროში, პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მიზნით ბაზრის წინასწარი კვალიფიციური კვლევა არ ხორციელდებოდა.

უმეტეს შემთხვევაში არ არსებობს ოფიციალური დოკუმენტი იმის შესახებ, თუ ვინ დაადგინა ამა თუ იმ კონკრეტული შესყიდვის სავარაუდო ღირებულება და რის საფუძველზე.

შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან იხარჯებოდა გაცილებით მეტი სახსრები, ვიდრე საკითხისადმი სწორი მიდგომის შემთხვევაში დაიხარჯებოდა.

მაგალითად: სამინისტროსა და შპს „ალგორითმს“ შორის, შესაბამის ტენდერში (SPA110013993) გამარჯვების საფუძველზე (სადაც, ერთადერთი მონაწილე კვლავ შპს „ალგორითმი“ იყო) 2011 წლის 4 ივლისის გაფორმებულია ხელშეკრულება N594 (არქივის კარადების შეძენა-მონტაჟის შესყიდვაზე) სახელშეკრულებო ღირებულებით - 178.0 ათასი ლარი.

2011 წლის 12 აგვისტოს მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად შპს „ალგორითმმა“ შემსყიდველს მიაწოდა 173.0 ათასი ლარის ღირებულების 64 ცალი სხვადასხვა სახის კარადა, ხოლო 2011 წლის 3

ნოემბრის მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით დაამონტაჟა ისინი ვაჟა-ფშაველას N72-ში მდებარე ადმინისტრაციულ შენობაში (მონტაჟის ღირებულება 5.0 ათასი ლარი). როგორც წარმოდგენილი შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტებით გაირკვა, შპს „ალგორითმის“ მიერ იტალიიდან იმპორტირებული საარქივე კარადების თვითღირებულებამ (ტრანსპორტირების ღირებულების ჩათვლით) შეადგინა დაახლოებით 79.4 ათასი ლარი. სამინისტროს მიერ გადახდილი ფასი დღგ-ს გარეშე შეადგენს 146.6 ათას ლარს (173.0/1.18). ფასნამატი თვითღირებულებაზე არაგონივრულია და შეადგენს დაახლოებით 85%-ს (67.2 ათას ლარს).

მინისტრის 2011 წლის 16 სექტემბრის N766 ბრძანებით სატენდერო კომისიას დაევალა უზრუნველყო სიჩქარის მზომი რადარების შესყიდვის მიზნით ელექტრონული ტენდერის ჩატარება და იმავე დღეს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, სადაც სატენდერო წინადადებების მიღება იწყებოდა 2 ოქტომბერს და მთავრდებოდა 7 ოქტომბერს. თავდაპირველად გამოცხადებული იყო 100 კომპლექტი რადარის შესყიდვა 2,000.0 ათას ლარად. ამ პერიოდში სატენდერო განცხადებაში შეტანილი ცვლილებების შედეგად შესასყიდი რადარების რაოდენობა გაიზარდა 104 კომპლექტამდე, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება კი 2,080.0 ათას ლარამდე. გაიმარჯვა ტენდერში მონაწილე ერთად-ერთმა პრეტენდენტმა შპს „მეჯიქ კომპანიმ“ სატენდერო წინადადებით 2,049.9 ათასი ლარი (ერთი კომპლექტის ფასი 19711 ლარი).

აღსანიშნავია, რომ მსგავსი შესყიდვის განხორციელება არ ყოფილა გათვალისწინებული შესყიდვების დამტკიცებული გეგმით და მხოლოდ 29 ივლისს იქნა შეტანილი შესაბამისი ცვლილება ამ გეგმაში. ამასთან, ვერ იქნა წარმოდგენილი ამ შესყიდვის აუცილებლობის არგუმენტები და შესყიდვის სავარაუდო ღირებულების გაანგარიშების საფუძვლები.

აღნიშნული 104 ერთეულიდან 30 კომპლექტი უშუალოდ ცენტრალური აპარატისათვის იყო გათვალისწინებული, დანარჩენი 74 კი რეგიონებისათვის. ამიტომ, ზემოხსენებული ბრძანებით შსს სამხარეო მთავარ სამმართველოებსაც დაევალათ ხელშეკრულებების გაფორმება თავისი წილი რადარების შესყიდვაზე. ამავე ბრძანებით გათვალისწინებული იყო აღნიშნული სამმართველოებისათვის შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნებების გამოყოფა. შედეგად, შპს „მეჯიქ კომპანიისთან“ გაფორმდა 9 ხელშეკრულება, თუმცა მხოლოდ ცენტრალური აპარატის მიერ შესყიდული 30 კომპლექტის ღირებულება იქნა ანაზღაურებული სამინისტროს ასიგნებებიდან. დანარჩენი თანხა კი შესაბამისი რეგიონების ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებიდან იქნა ანაზღაურებული, ისე, რომ შესაბამისი არგუმენტაცია სამინისტროში ვერ იქნა წარმოდგენილი.

წარმოდგენილი ინფორმაციით, შპს „მეჯიქ კომპანიის“ მიერ 2011 წლის ნოემბერ-დეკემბერში სრულად არის მოწოდებული რადარების 104-ვე კომპლექტი, 2,049.9 ათასი ლარის ღირებულებით, საიდანაც 2013 წლის თებერვლის მდგომარეობით მხოლოდ 15 კომპლექტი ანუ 14,4% იყო დამონტაჟებული, დანარჩენი 89 კომპლექტი კი უსარგებლოდ ინახებოდა საწყობებში. მათ შორისაა უშუალოდ ცენტრალური აპარატის მიერ შეძენილი 30 კომპლექტი (591.3 ათასი ლარის ღირებულებით).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

ფინანსური ანგარიშგება

2011 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 30 სექტემბერი

ამრიგად, სამინისტროს სისტემაში გამოუყენებლად ინახება 1,754.3 ათასი ლარის ღირებულების მატერიალური ფასეულობანი. აქედან გამომდინარე, გაურკვეველია რატომ არ დამონტაჟდა აღნიშნული რადარები და რისთვის იქნა ისინი შესყიდული, თუ აუცილებელი არ იყო.

ინფორმაცია რადარების მოწოდებისა და გამოყენების შესახებ წარმოდგენილია ცხრილის სახით:

N	რეგიონი	N	ხელშეკრ. თარიღი	მოწოდების თარიღი	რაოდენობა	ღირებულება	საწყობში	სხვაობა	დაფინანსება
1	ცენტრ. აპარატი	860	21.10.011	21.12.011	30	591,330.00	30	0	ცენტრალური ბიუჯეტი
2	კახეთი	178	21.10.011	01.12.011	11	216,821.00	11	0	გურჯაანის-4; თელავის-3; საგარეჯოს-3; ლაგოდეხის-1
3	სამცხე-ჯავახეთი	10//6	21.10.011	30.12.011	5	98,555.00	0	5	ბორჯომი-2; ახალციხე-2; ნინოწმინდა-1;
4	ქვემოქართლი	137	21.10.011	07.11.011	10	197,110.00	10	0	რუსთავის მერია
5	სამეგრელო ზემო სვანეთი	99	21.10.011	15.11.011	10	197,110.00	10	0	ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტი
6	მცხეთა-მთიანეთი	101	21.10.011	20.12.011	3	59,133.00	0	3	მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
7	შიდაქართლი	148	21.10.011	20.12.011	9	177,399.00	6	3	გორის-2; კასპის-2; ხაშურის-3; ქარლის-2;
8	იმერეთის, რ-ლ, ქ.სვანეთი	101	21.10.011	20.12.011	14	275,954.00	10	4	ქ.ქუთაისის ბიუჯეტი
9	აჭარა	89	21.10.011	21.12.011	12	236,532.00	12	0	ქ.ბათუმის ბიუჯეტი
	სულ				104	2,049,944.00	89	15	

როგორც შპს „მეჯიქ კომპანის“ მიერ წარმოდგენილი საქონლის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტების გაანალიზებამ გვიჩვენა, აღნიშნული სიჩქარის მზომი რადარები იმპორტირებულია უნგრეთიდან. 104 კომპლექტის შესყიდვის და ტრანსპორტირების ხარჯმა შეადგინა დაახლოებით 543.5 ათასი ევრო, რაც გადახდის დროისთვის არსებული საშუალო კურსის (2.1811 ლარი/ევრო) მიხედვით შეადგენს 1,185.5 ათას ლარს. გასაყიდი ფასი დღ-ს გარეშე შეადგენს 1 737.3 ათას ლარს.

აღნიშნული ხელშეკრულებიდან შპს „მეჯიქ კომპანის“ მიერ ფასნამატის სახით მიღებულია დაახლოებით 551.8 ათას ლარი. აქედან გამომდინარე, ფასნამატი თვითღირებულებაზე არაგონივრულია და შეადგენს დაახლოებით 46.5%-ს. ერთ კომპლექტზე გადაანგარიშებით თვითღირებულება შეადგენს 11.4 ათას ლარს, ხოლო ფასნამატი ერთ კომპლექტზე - 5.3 ათას ლარს.

ზემოაღნიშნული გარემოებების გამო აღნიშნული შესყიდვის განხორციელებისას ადგილი აქვს საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურ ხარჯვას, რასაც განაპირობებს შესყიდვის განხორციელების მიზანშეწონილობის განხილვის და ბაზრის კვლევის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა უგულებელყოფა, აგრეთვე შესყიდვის სავარაუდო ფასის არასწორად (გაზრდილად) განსაზღვრა.

ყოველივე ეს კი ეჭვს ბადებს ამ შესყიდვის განხორციელების კანონიერების მიმართაც.

ანალოგიურად, შესყიდვის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების გარეშე 2011 წლის 27 აპრილს გამოცხადდა ტენდერი (SPA110011779) სადროშეების შესყიდვაზე (40 ცალი - 9 მეტრიანი და 20 ცალი - 6 მეტრიანი), სადაც ბაზრის გამოკვლევის გარეშე შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა 106.0 ათასი ლარი. ტენდერში გაიმარჯვა მისმა ერთადერთმა მონაწილემ, კერძოდ შპს „ევროპლანტ ჯორჯიამ“ და მასთან 2011 წლის 23 მაისს გაფორმდა ხელშეკრულება N482 (სახელშეკრულებო ღირებულებით -103.9 ათას ლარი). 2011 წლის 27 მაისის და 6 ივლისის მიღება-ჩაბარების აქტებით სადროშეები მიწოდებულ იქნა ორ ეტაპად. როგორც შპს „ევროპლანტ ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილი შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმებით გაირკვა, აღნიშნული სადროშეები იმპორტირებულია პოლონეთიდან. ერთი 9 მეტრიანი სადროშის შესყიდვის ფასმა შეადგინა დაახლოებით 265 ევრო, ხოლო 6 მეტრიანისამ დაახლოებით 191 ევრო. ტრანსპორტირების ხარჯი გაწეულია - დაახლოებით 2.9 ათასი ევროს ოდენობით. ანუ, სულ თვითღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 17.3 ათასი ევრო ($265 \times 40 + 191 \times 20 + 2900$), რაც იმ დროს მოქმედი კურსით (2.4111ლარი/ევრო) შეადგენს დაახლოებით 41.7 ათას ლარს. აღნიშნული სადროშეები შპს „ევროპლანტ ჯორჯიამ“ სამინისტროს მიჰყიდა დღგ-ს გარეშე 88.1 ათას ლარად ($103.9/1.18$). ფასნამატი თვითღირებულებაზე არაგონივრულია და შეადგენს დაახლოებით 111%-ს (46.4 ათას ლარს).

დასაფიქსირებელია ის გარემოება, რომ აღნიშნული სადროშეებიდან ორი წლის მანძილზე მხოლოდ 2 ცალია გადაცემული სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოზე. დანარჩენი სადროშეები აუდიტის მიმდინარეობისასაც გამოუყენებლად ინახებოდა სამინისტროს საწყობში, რაც ამ შესყიდვის განხორციელების აუცილებლობას და შესაბამისად მიზანსაც ეჭვქვეშ აყენებს.

ამრიგად, უმეტეს შემთხვევაში სამინისტროს მიერ ვერ მოხერხდა ტენდერების ორგანიზება ისე, რომ მიღწეულიყო კონკურენციის მაღალი დონე, რაც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია (მე-2 მუხლის ბ) პუნქტით: კანონის მიზანია „სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება“).

2011 წლის 17 მარტს ფიზიკურ პირ ანნა ხაბულიანთან გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმდა ხელშეკრულება N277, ერთი ერთეული ა/მ „რენჯ როვერ სპორტის“ მოწოდების შესახებ 85.6 ათას ლარად. აღნიშნული შესყიდვის განხორციელებისათვის ნებართვის თხოვნით, დეპარტამენტის დირექტორმა პატაკით მიმართა მინისტრს, სადაც იგი მიუთითებს, რომ შემოსული იყო შუამდგომლობა შს სამინისტროსათვის მაღალი გამავლობის ა/საშუალების შესყიდვის თაობაზე, თანაც ვადები იყო შეზღუდული. აღნიშნულის საფუძველად წარმოდგენილია სამმართველოს უფროსის 2011 წლის 16 მარტის პატაკი, სადაც იგი მიუთითებს, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ეს შესყიდვა უნდა განხორციელდეს სასწრაფოდ, თუმცა შესაბამისი ოფიციალური დოკუმენტი ვერ იქნა წარმოდგენილი. ვერ დგინდება, თუ რომელი სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის და რა გადაუდებელი აუცილებლობით იყო გამოწვეული საჩქაროდ ამ შესყიდვის განხორციელება, მით უმეტეს, რომ 10 თვის მანძილზე 5 სტრუქტურულ ქვედანაყოფს ემსახურებოდა აღნიშნული ა/მ.

კერძოდ, წარმოდგენილი ინფორმაციით ანნა ხაბულიანის მიერ მოწოდებული ა/მ-ას დაახლოებით 100 დღის მანძილზე მინისტრის დაცვის სამსახური იყენებდა, შემდეგ იგი გადაეცა ქ.თბილისის მთავარ სამმართველოს, სადაც მხოლოდ 2 თვის მანძილზე იყო ექსპლუატაციაში. 2012 წლის 10 სექტემბრიდან 28 სექტემბრამდე (18 დღე) აღნიშნული ა/მ კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში, 28 სექტემბრიდან 26 დეკემბრამდე კი მცხეთა-მთიანეთის მთავარ სამმართველოზე იყო გადაცემული. წლის ბოლოს იგი საფინანსო სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარ სამმართველოს გადაეცა, ხოლო 2013 წლის 8 თებერვლიდან ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს გადაეცა სარეალიზაციოდ.

ფიზიკურ პირ ანნა ხაბულიანისაგან მიღებული ინფორმაციით ზემოხსენებული ა/მ მის მიერ შესყიდულია შპს „კავკასიის ავტოიმპორტისაგან“ 71.6 ათას ლარად.

ყველა ზემოაღნიშნული ფაქტი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობა არასათანადო ყურადღებას აქცევდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის ძალიან მნიშვნელოვან საკითხს. არ არის დაწერგილი კონტროლის ისეთი სისიტემა, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს შეცდომის ან თაღლითობის ალბათობას.

ხშირ შემთხვევაში ხუთი ათას ლარზე მეტი ღირებულების საქონლის, ან მომსახურების შესყიდვა გახორციელებულია ტენდერის გარეშე. შესყიდვების სამსახურის თანამშრომელთა მიერ აღნიშნულის საფუძველად წარმოდგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტი, რომელიც უფლებას აძლევდა შინაგან საქმეთა სამინისტროს 2011 წლის 1 დეკემბრამდე 50.0 ათას ლარამდე ღირებულების, შემდგომ კი 20.0 ათას ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვა განხორციელებინა გამარტივებული შესყიდვის გზით, იმ შემთხვევაში თუ ეს შესყიდვა დაკავშირებული იყო უშიშროებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან.

სამინისტროს მიერ, ამ საფუძველით განხორციელებული შესყიდვები კი ხშირად არ იყო დაკავშირებული უშიშროებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან, რაც ზემოხსენებული

კანონის დარღვევაა.

მაგალითად: 2011 წლის 5 იანვარს შპს „გამწვანება კრწანისთან“ გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმდა ხელშეკრულება №62 სახელშეკრულებო ღირებულებით - 39.0 ათასი ლარი, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის (ვაჟა-ფშაველას გამზირი N72) ტერიტორიაზე არსებული გაზონების მოვლა-პატრონობის უზრუნველსაყოფად, თუმცა ვერ განგვიმარტეს თუ რა კავშირი აქვს ამ საქმეს უშიშროებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან.

მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №218 ბრძანებით საფინანსო სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარ სამმართველოს დაევალა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებინა ს.ს. „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციის“ მიერ წარმოებული სიმინდის (Pioner Hi Bred) სათესლე მასალის შესყიდვა და სამინისტროს დანაყოფებზე გაცემა. აღნიშნული, დანაყოფების ხელმძღვანელებს კი დაევალა სათესლე მასალის მომსახურეთათვის დარიგება მათი წახალისების მიზნით. მეორე დღესვე (12 მარტს) გაფორმდა ხელშეკრულება №268 ჯამური ღირებულებით 250.8 ათასი ლარის ოდენობით რომლის საფუძველზეც ს.ს. „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციამ“ სამინისტროს მიაწოდა ამ ღირებულების 4180 ტომარა (5 კგ-იანი), ჯამში 20 900 კგ სიმინდის სათესლე მასალა, რაზედაც 2011 წლის 13, 14, 17 მარტს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტები.

წარმოდგენილი ინფორმაციით აღნიშნული სათესლე მასალა, პრემიის სახით, უფასოდ დაურიგდა როგორც სამინისტროს ადმინისტრაციის, ასევე სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლების ნაწილს (როგორც ქალაქების, ისე სოფლების მაცხოვრებლებს), რაზედაც წარმოდგენილია მიღება-ჩაბარების აქტები.

აღნიშნული შესყიდვის განხორციელება შესყიდვის წლიური გეგმით გათვალისწინებული არ ყოფილა და მასში შესაბამისი ცვლილება განხორციელდა 12 მარტს, რის შესახებაც შესყიდვების სააგენტოს ინფორმაცია გაეგზავნა 14 მარტს. სამინისტროს შესაბამისი პასუხისმგებელი თანამშრომლების განმარტებით, ამ შესყიდვის განხორციელება გამარტივებული მეთოდით, გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ გადიოდა თესვის აგროტექნიკური ვადები, თუმცა ვერ მივიღეთ განმარტება იმის შესახებ, თუ რა კავშირშია სათესლე სიმინდის შესყიდვა სამინისტროს საქმიანობასთან.

ამასთან, საგაზაფხულო ხვნა-თესვა რომ გაზაფხულისთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული, ეს ძალიან მარტივია და ამ შესყიდვის განხორციელება, თუ ეს ასეთ გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენდა, წლის დასაწყისშივე უნდა დაგეგმილიყო და ტენდერი ჩატარებულიყო.

წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროს მიერ მომწოდებლისათვის 30 მარტს გადახდილია 250.8 ათასი ლარი 2112 საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლით, როგორც სასაქონლო ფორმით გაცემული ხელფასი. იმავე დღეს საშემოსავლო გადასახადის სახით ბიუჯეტში გადარიცხულია 62.7 ათასი ლარი, ისე რომ ეს თანხა შესაბამისი თანამშრომლების ხელფასებიდან არ დაუქვითიათ და სამინისტროს ასიგნებებიდან იქნა გადახდილი.

აღნიშნულის საფუძველად წარმოდგენილია მინისტრის 2011 წლის 21 მარტის №240 ბრძანება, რომლის ძალითაც შეტანილია ცვლილება №218 ბრძანებაში და მას დაემატა 1¹პუნქტი, შემდეგი ფორმულირებით: „სამინისტროს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარმა სამმართველომ მოახდინოს სამინისტროს სისტემაში შემავალი დანაყოფების მოსამსახურეებზე წახალისების მიზნით სასაქონლო ფორმით გასაცემი სარგებლის საერთო ღირებულებიდან (1 ტომარა 75,0 ლარი) სიმინდის სათესლე მასალის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად ღირებულების (1 ტომარა 60,0 ლარი) სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციისათვის“ გადარიცხვა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი განაკვეთით ბიუჯეტთან ანგარიშსწორების უზრუნველსაყოფად საერთო ღირებულებიდან სავალდებულო წესით დაქვითული სამემოსავლო გადასახადის სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდა“.

ზოგ შემთხვევაში შესყიდულია ისეთი ძვირადღირებული საყოფაცხოვრებო და სხვა აღნიშნულების ნივთები, რომელთა შეძენაც სამინისტროს ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულებისათვის (რაც ბიუჯეტის მიზანს წარმოადგენს) აუცილებლობას არ წარმოადგენდა. ხშირ შემთხვევაში ასეთი შესყიდვები განხორციელებულია დაუგეგმავად და ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, მაშინ როდესაც შესაბამისი საბიუჯეტო კანონებით, სამინისტროს დაფინანსება კონკრეტული პრიორიტეტული ღონისძიებების (პროგრამების) განსახორციელებლად ეძლეოდა.

მაგალითად, 2011 წლის 16 თებერვალს შპს „ნიუ იტალმობილთან“ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დაიდო ხელშეკრულება N207, ერთი ცალი, იტალიური წარმოების ტანსაცმლის საკიდის (H-180 სმ ბროლი, ალუმინის საკიდი) შესყიდვის მიზნით. აღნიშნული საკიდი, რომლის ღირებულებაც შეადგენდა 4,750.0 ლარს, შესყიდული იქნა მინისტრის მოადგილის (ა. მესხელი) მისაღებისათვის.

2011 წლის 4 თებერვალს, მინისტრის მოადგილის (ა. მესხელი) თანაშემწის პატაკის საფუძველზე ი/მ „ფოტინე ნემსაძესთან“ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დაიდო ხელშეკრულება N158 ორი ცალი იტალიური კედლის საათის (Diamantini&Domeniconi) შესყიდვის მიზნით. აღნიშნული ნივთები, რომელთა ღირებულებაც ჯამში შეადგენდა 2,466.0 ლარს (ერთი მათგანის ფასია -1978 ლარი, მეორესი - 488 ლარი), ი/მ-ის მიერ მიწოდებულია 11 თებერვალს და 22 თებერვლიდან გაიცა მინისტრის მოადგილის (ა. მესხელი) მისაღებისათვის.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2005 წლიდან სამინისტროს ცენტრალურ საწყობში ინახებოდა ერთი ერთეული ანტიკვარული საათი, ღირებულებით 1,810.79 ლარი. თბილისში 2012 წლის მაისში მომხდარი სტიქიური მოვლენების გამო აღნიშნული საწყობი დაიტბორა, რის გამოც მინისტრის 2012 წლის 29 ივნისის N469 ბრძანებით იგი ჩამოწერილ იქნა.

2011 წლის 8 იანვარს შპს „ომეგა მოტორსთან“ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დაიდო ხელშეკრულება N70, ავტომატის ოთხი ცალი გერმანული ალუმინის დისკების შესყიდვის მიზნით, საერთო ღირებულებით 7,220.0 ლარი. შესყიდვის განხორციელების საჭიროების შესახებ (მოთხოვნა, პატაკი ან სხვა) შესყიდვების სამსახურმა ვერანაირი დოკუმენტი ვერ წარმოგვიდგინა. აღნიშნული დისკები მიწოდებულია 20 ივნისს და 27 ივნისს გაცემულია კონტრტერორისტული

ცენტრის თანამშრომელზე, ამავე ცენტრის დირექტორის მოადგილის პერსონალური ავტომანქანისათვის („ბმვ X5“-ის მარკის). შესაბამის პატაკში არ არის დაფიქსირებული ავტომანქანისათვის დისკების გამოცვლის მიზეზები და არც დეფექტური აქტი იქნა წარმოდგენილი. ასევე, ვერ იქნა მოძიებული რაიმე ინფორმაცია ძველი დისკების შესახებ.

2011 წლის 24 აგვისტოს შპს „ელიტელთან“, როგორც შესაბამის გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ საწარმოსთან, დაიდო ხელშეკრულება N747, საკმაოდ ძვირადღირებული (1,120.0 ლარი) ავტომანქანის მაგნიტოფონისა და დინამიკის შესყიდვის მიზნით.

შესყიდვების სამსახურმა ვერც აღნიშნული შესყიდვის განხორციელების საჭიროების შესახებ (მოთხოვნა, პატაკი ან სხვა) წარმოგვიდგინა რაიმე დოკუმენტი.

აღნიშნული მაგნიტოფონი და დინამიკი გადაეცა საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის კადრების სამმართველოს უფროსს (გ. გოჩიტაშვილი).

აუდიტის პერიოდში შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-თან (შემდგომში „რუსთავი 2“) გაფორმებული ხელშეკრულებების (2011 წლის 3 იანვრის N27 და 2012 წლის 3 იანვრის N12) საფუძველზე „რუსთავი 2“ ახორციელებდა სამინისტროს მიერ მიწოდებული გადაცემა „პატრულის“ ანონსირებას და სატელევიზიო ეთერში გაშვებას. ხელშეკრულებებით, თითოეული გადაცემის ღირებულება შეადგენდა 1500 ლარს. სახელშეკრულებო ღირებულება ცალკეული წლების მანძილზე შესაბამისად იყო 324.0 ათასი და 384.0 ათასი ლარი (250 და 256 გადაცემა). ხელშეკრულებები გაფორმებულია სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის წერილის საფუძველზე, საეთერო დროის შესყიდვის თხოვნით. წერილში არ არის მითითებული თუ რომელი არხიდან უნდა განხორციელდეს შესყიდვა, თუმცა მითითებულია გადაცემის განთავსების დრო - „ღამის ეთერი 23:30 სთ-დან - 01:00 სთ-მდე“.

აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე „რუსთავი 2“-ს 2011 წელს გადაერიცხა 316.5 ათასი, 2012 წლის 9 თვეში კი 189 ათასი ლარი (გარდა ამისა 2012 წლის 26 ოქტომბერს განხორციელებულია ბოლო გადარიცხვა 3 ათასი ლარის ოდენობით).

შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით გადაცემა „პატრულის“ მომზადებას სამინისტრო აწარმოებდა, თუმცა ოფიციალური განმარტება იმის შესახებ თუ რატომ გაფორმდა ხელშეკრულებები „რუსთავი 2“-თან, ვერ წარმოგვიდგინეს. იმის გათვალისწინებით, რომ სამინისტროს სისიტემაში საპატრულო პოლიციის შექმნა ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იყო და გადაცემა „პატრული“ საკმაოდ რეიტინგულად ითვლებოდა, უფრო ლოგიკური იქნებოდა სამინისტროს სამაუწყებლო კომპანიებს შორის ჩაეტარებინა კონკურსი ამ გადაცემის ტრანსლირების უფლების მოსაპოვებლად.

დეპარტამენტში 2011 წლის 23 მარტს შესულია სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის (შოთა ხიზანიშვილი) წერილი, თხოვნით შპს „ბრენდ ჰაუსთან“ გაეფორმებინათ ხელშეკრულება პოლიციის შესახებ ფილმის გადასაღებად. აღნიშნულიდან გამომდინარე 24 მარტს შესყიდვების დამტკიცებულ გეგმაში შეტანილი იქნა ცვლილება ე.წ. „კინო და ვიდეო მომსახურებების“ შესასყიდად დამატებულ იქნა 174.9 ათასი ლარი.

მეორე დღეს, 25 მარტს გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით შპს „ბრენდ ჰაუსთან“ გაფორმდა ხელშეკრულება №301, რომლის ძალითაც შპს „ბრენდ ჰაუსი“ იღებდა ვალდებულებას ხელშეკრულებაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად უზრუნველყო „პოლიციის საქმიანობის ამსახველი რეალურ ფაქტებზე დაფუძნებული დეტექტიური სერიალის „დეტექტივები 2“ გადაღება“. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენდა 174.9 ათას ლარს, რომელიც ავანსის სახით 31 მარტს სრულად გადაერიცხა საწარმოს.

ხელშეკრულებაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით გადასაღები იყო 16 სერია, რომელიც უნდა დასრულებულიყო 31 აგვისტომდე.

ხელშეკრულების 3.2 პუნქტის მიხედვით „მომსახურების გაწევა დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით“, თუმცა არ არის დაკონკრეტებული თუ ვისი საკუთრება იქნებოდა აღნიშნული სერიალი, ანუ გაუგებარია სამინისტროს საკუთრებაში რჩებოდა თუ არა შესაბამისი ფასეულობა, რომელიც აისახებოდა მის ბალანსზე.

4 ივლისს გაფორმდა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი №1, სადაც მითითებულია, რომ სამინისტროს ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსმა ზურაბ გვანეტაძემ №301 ხელშეკრულების საფუძველზე ჩაიბარა 174,909.63 ლარის „ღირებულების მომსახურება“. საბუღალტრო სამსახურის მიერ ზემოხსენებული თანხა პირდაპირ არის ჩამოწერილი „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლით, როგორც რეკლამის ხარჯი.

გარდა აღნიშნულისა, მინისტრის 2011 წლის 12 აპრილის №316 ბრძანებით სერიალის გადაღებების გაგრძელებისათვის სამმართველოს დაევალა, „კანონმდებლობის შესაბამისად“ შპს „ბრენდ ჰაუსი“ უზრუნველყო „საჭირო 4400 ლიტრი ბენზინის საწვავით, 5600 ლიტრი დიზელის საწვავით, 5000 ლარის მობილურ ტელეფონზე სასაუბრო ბარათებით და ფორმის ტანსაცმლით თანდართული დანართის შესაბამისად“.

აღნიშნული ბრძანების შესასრულებლად 18 აპრილს, სამინისტროს სამმართველო საქმიანობაში ხელშემწყობ პირებთან მუშაობის სამმართველოს უფროს ლ. ქებურიაზე გაიცა 20.2 ათასი ლარის ღირებულების საწვავი და 4.8 ათასი ლარის ღირებულების სასაუბრო ბარათები, რომლებიც იმავე დღეს გადაეცა შპს „ბრენდ ჰაუსს“, ხოლო სამინისტროს საბუღალტრო სამსახურის მიერ პირდაპირ ჩამოიწერა ხარჯში.

ასევე ხარჯშია ჩამოწერილი 336.9 ლარის ღირებულების ფორმის ტანსაცმელი, რომელიც ჯერ კიდევ ბრძანების გამოცემამდე, კერძოდ 25 თებერვალს გაიცა საწყობიდან და 12 აპრილის ჩამოიწერა ხარჯებში.

ამრიგად, სამინისტრომ გასწია 25,288.86 ლარის დამატებითი ხარჯი, მაშინ, როდესაც სერიალის გადაღების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებით მას არანაირი დამატებითი ვალდებულება აღარ ეკისრებოდა.

შპს „ბრენდ ჰაუსის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სამინისტრო მას ხელს უწყობდა სერიალის გადაღებისას ქუჩების დროებითი გადაკეტვით, საპატრულო ეკიპაჟების დევნის სცენებში მონაწილეობით და ა. შ.

გარდა ამისა, აღნიშნული სერიალის გადაღების დაფინანსებაში მონაწილეობდნენ სხვა კერძო სამართლის იურიდიული პირებიც და სსიპ. „დაცვის პოლიციის დეპარტამენტი“, რომელიც სამინისტროს დაქვემდებარებაშია და სპონსორობის მოტივით შპს „ბრენდ ჰაუსისათვის“ 2010 წლის დეკემბერში გადარიცხული აქვს 100.0 ათასი ლარი. აღნიშნულ სერიალზე საავტორო უფლება შპს „ბრენდ ჰაუსის“ საკუთრებაა.

აქედან გამომდინარე, სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში არსებული სსიპ-ის მიერ გაწეულია 300.0 ათას ლარზე მეტი საკასო ხარჯი არაფინანსური აქტივის შესაქმნელად, ისე რომ ეს აქტივი კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრება გახდა.

შპს „ბრენდ ჰაუსის“ მიერ არ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ოდენობის შემოსავლები აქვს მას მიღებული ამ სერიალის გაქირავებით.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სერიალის პირველი ნაწილი შპს „ბრენდ ჰაუსის“ მიერ გადაღებულია „რუსთავი 2“-ის დაკვეთით და მის ეთერში გადიოდა, როგორც პირველი ისე მეორე ნაწილები.

სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-თან სამინისტროს 2010 წელს გაფორმებული აქვს მემორანდუმი №1 (მემორანდუმს ხელს აწერს შს მინისტრის მოადგილე ე. ზღულაძე და სამაუწყებლო კომპანიის გენერალური დირექტორი - გიორგი გეგეშიძე), რომლის ძალითაც, სამინისტროს საქმიანობის პოპულარიზაციისათვის „რუსთავი 2“ ვალდებულებას იღებდა გადაეღო სერიალ(ებ)ი და მოკლემეტრაჟიანი სიუჟეტ(ებ)ი. ამ მიზნისათვის კი სამინისტროს უნდა შეეძინა აუდიო-ვიდეო აპარატურა და თხოვების ფორმით გადაეცა „რუსთავი 2“-სათვის. მემორანდუმში მითითებული იყო, რომ „რუსთავი 2“-ს ამ გადაღებებისათვის ფინანსური შეღავათები უნდა გაეწია სამინისტროსათვის.

ამასთან, „რუსთავი 2“ უფლებამოსილი იყო ამ გადაღებებისათვის, მარტო ან მესამე პირთან ერთად ესარგებლა ხსენებული აპარატურით, ან მთლიანად გადაეცა ეს აპარატურა მესამე პირისათვის, რისთვისაც საჭირო იყო სამინისტროს თანხმობა.

აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე, სამინისტროსა და შპს „ჯი ენ პის“ შორის ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით გაფორმებული 2010 წლის 12 ნოემბერის №795

ხელშეკრულების ფარგლებში წინასწარი გადახდით შესყიდულია 497.8 ათასი ლარის ღირებულების სატელევიზიო - ვიდეოაპარატურა და აქსესუარები²¹.

2011 წლის 10 მაისს №302 გასავლის ზედდებულით ზემოაღნიშნული მატერიალური ფასეულობები გადაეცა სამინისტროს ცენტრალური აპარატის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტექნიკური განყოფილების უფროსს - სერგო ძიძიგურს. ხოლო „რუსთავი 2-ისთვის“ ამ ფასეულობების გადაცემის შესახებ შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი ან სხვა) ვერ იქნა წარმოდგენილი, თუმცა 2012 წლის ბოლოს სამინისტრომ ეს ფასეულობები უკან დაიბრუნა. ამრიგად, „რუსთავი 2-ისთვის“ სახელმწიფო ქონება საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე გადაცემულია აუქციონის გარეშე, მიუხედავად იმისა რომ ამისათვის აუცილებელი იყო საქართველოს მთავრობის თანხმობა²².

დასაფიქსირებელია ის გარემოებაც, რომ სამინისტროს სარეკლამო მასალის ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის და „იმედი“-ს სატელევიზიო ეთერში განთავსებისათვის შპს „ჯენერალ მედიასათვის“ გადახდილია 150.0 ათასი ლარი (2011წელს-99.9 ათასი და 2012 წლის 9 თვეში - 50.1 ათასი ლარი).

ამრიგად, „რუსთავი 2“-ისათვის გაწეული დახმარების მიუხედავად სამინისტროს მაინც მნიშვნელოვანი სახსრების გადახდა დასჭირდა თავისი საქმიანობის რეკლამირებისათვის ამ სამაუწყებლო კომპანიის ეთერში.

ქ.თბილისში 2012 წლის მაისში მომხდარი წყალდიდობის შედეგად დაიტბორა სამინისტროს რამდენიმე შენობა-ნაგებობის (მათ შორის საწყობების) ნაწილი და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული მატერიალური ფასეულობანი (მათ შორის ა/მ-ები, გენერატორები და.ა.შ.), რამაც მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია.

მინისტრის მიერ 2012 წლის 14 მაისს გამოცემულია ბრძანება N338 „2012 წლის მაისში ქ.თბილისში სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მიყენებული ზარალის ოდენობის დადგენისა და განსახორციელებელი სალიკვიდაციო ღონისძიებების შესახებ“. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე შეიქმნა შესაბამისი კომისია, რომელმაც ჩაატარა მიყენებული ზარალის დადგენისა და შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები.

კომისიის 2012 წლის 1 ივნისის N4 ოქმის მიხედვით, სამინისტროსათვის მიყენებულმა ზარალმა სამშენებლო სამუშაოების გარდა 4,099.2 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც 3,164.1 ათასი ლარი დაზიანებული და გამოუსადეგარი მატერიალური ფასეულობების ღირებულებაა, 935.1 ათასი ლარი კი აღდგენით სამუშაოებზე გაწეული და გასაწევი სავარაუდო ხარჯის ოდენობა.

²¹შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის სატელევიზიო ვიდეოაპარატურისა და აქსესუარების შესყიდვის საჭიროების აუცილობლობის (მითუმეტეს გადაუდებელი) არგუმენტი არ არსებობს.

²²„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის ქონების სასყიდლით ან უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობით, თუმცა აღნიშნული ქონება სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-ისთვის“ თხოვნის ფორმით გადაცემულია მთავრობის თანხმობის გარეშე.

აღნიშნულის საფუძველზე გამოცემულია მინისტრის 2012 წლის 29 ივნისის N469 ბრძანება „დატბორილი მატერიალური ფასეულობების ჩამოწერისა და განადგურების შესახებ“, თუმცა აუდიტის პერიოდის დასრულებამდე აღნიშნული ფასეულობები ჩამოწერილი და განადგურებული ჯერ არ იყო.

დატბორილი მატერიალური ფასეულობების შესახებ შესაბამისი კომისიის მიერ შედგენილი აქტების ანალიზით დადგინდა, რომ წლების მანძილზე სამინისტროს მიერ ხორციელდებოდა საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვა. კერძოდ, ხშირ შემთხვევაში შესყიდულია ისეთი დასახელების და რაოდენობის მატერიალური ფასეულობები, რომლებიც ან საერთოდ არ იყო საჭირო, ან საჭირო იყო გაცილებით ნაკლები ოდენობით. შედეგად, დატბორილ საწყობებში აღმოჩნდა საკმაოდ დიდი ხნის წინ შემოტანილი და გამოუყენებელი მატერიალური ფასეულობები, რომელთა ნაწილი დაზიანდა და ჩამოსაწერი გახდა. ყოველივე ეს, კი არასწორი მენეჯმენტის შედეგია.

მაგალითად: შპს „აზრი“-საგან 2010 წლის 23 დეკემბრის N965 ხელშეკრულების საფუძველზე სხვა ფასეულობებთან ერთად შესყიდულია 950 ცალი „წამკითხავ/ჩამწერი მოწყობილობა უკონტაქტო პლასტიკური ბარათისათვის“, საერთო ღირებულებით 135.85 ათასი ლარი (ერთეულის ფასი 143 ლარი). აღნიშნული მოწყობილობა საწყობში შეტანილია 2011 წლის 28 თებერვალს და 4 მარტს და 14 თვის შემდეგ, ანუ წყალდიდობის დროს 99%, ანუ 940 ცალი (91.5 ათასი ლარის ღირებულების) ჯერ კიდევ საწყობში ინახებოდა, საიდანაც 640 ცალი (91.5 ათასი ლარის ღირებულების) დაზიანდა და ჩამოიწერა. აუდიტის მიმდინარეობისას ვერ მივიღეთ საჭირო განმარტება იმის შესახებ, თუ რა მიზნით იყო ეს ფასეულობები შეძენილი და რატომ არ იქნა გამოყენებული, რაც მნიშვნელოვანი ზარალის წინაპირობად იქცა.

შპს „CHINA GARMENTS CO“-საგან 2009 წლის 3 იანვრის N9 ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდულია 3500 ცალი მამაკაცის მაჯის საათი, საერთო ღირებულებით 44.5 ათასი ლარი. აღნიშნულიდან, 35.7 ათასი ლარის ღირებულების 2368 ცალი (67.7%) საათი, შესყიდვიდან სამწელიწადნახევრის შემდეგაც კი, ჯერ კიდევ საწყობში ინახებოდა წყალდიდობის დროს, საიდანაც 22.6 ათასი ლარის ღირებულების 1500 ცალი (43%; 22.6 ათასი ლარის ღირებულების), დაზიანდა და ჩამოიწერა.

შპს „ფოტო სამყარო“-საგან 2011 წლის 7 აპრილის N334 ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდულია შსს-ს ადლუმის 500 ცალი ფოტოსურათი საერთო ღირებულებით 13.3 ათასი ლარი (ერთეულის ფასი 26.6 ლარი). აღნიშნული ფოტოსურათიდან მხოლოდ 58 ცალი გაიცა სხვადასხვა ქვედანაყოფებზე და წყალდიდობის დროს 442 ცალი (11.8 ათასი ლარის ღირებულების) ჯერ კიდევ საწყობში ინახებოდა.

შპს „ტექნოსერვისი“-საგან 2011 წლის 21 სექტემბერს ტენდერში გამარჯვების საფუძველზე (ხელშეკრულება N795) შესყიდულია 457.5 ლარიანი კარტრიჯის 90 კომპლექტი, საერთო ღირებულებით 41.2 ათასი ლარი, რომელიც მიწოდებულია 3 ოქტომბერს. აქედან, 2011 წლის ბოლომდე არც ერთი არ გაცემულა. 2012 წლის 5 თვეში კი გაცემულია მხოლოდ 10 კომპლექტი და

წყალდიდობის დროს 36.6 ათასი ლარის ღირებულების 80 კომპლექტი ჯერ კიდევ საწყობში ინახებოდა.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით ზემოხსენებული ფოტოსურათებიც და კარტოგრაფიკიც, სხვა მრავალ ფასეულობებთან ერთად, წყალდიდობის გამო დაზიანდა და ჩამოიწერა.

2010 წლის 30 სექტემბერს სამინისტროს საწყობში შესულია 10.0 ათასი ლარის ღირებულების (ერთეულის ფასი 20 ლარი) 500 ცალი რუსულენოვანი წიგნი სახელწოდებით „პატარა ომი რომელმაც შეძრა მსოფლიო“. წიგნები მოწოდებულია შპს „პარნასის“ მიერ 2010 წლის 6 ივლისის N479 ხელშეკრულების საფუძველზე და დატბორვამდე, ანუ თითქმის ორი წელიწადი ინახებოდა გამოუყენებლად. წარმოდგენილი აქტების მიხედვით დატბორვის შედეგად ყველა მათგანი დაზიანდა, ამიტომ ჩამოიწერა და განადგურდა.

2010 წლის 14 ივნისიდან სამინისტროს ცენტრალურ საწყობში ინახებოდა სამი ცალი ე.წ. „შეუფერხებელი ფრენის აბონიმენტი“, ჯამური ღირებულებით 2.7 ათასი ლარი. 2012 წლის მაისში აღნიშნული საწყობის დატბორვამ გამოიწვია ამ აბონემენტების დაზიანება, რის გამოც იგი ჩამოიწერა, განადგურდა და ეს თანხაც სხვა დაზიანებული ფასეულობების ღირებულებებთან ერთად მიეწერა სტიქიური მოვლენების მიერ მიყენებულ ზარალს. ამ საკითხისადმი ასეთი მიდგომა არასწორია, რადგან აღნიშნული აბონემენტები სამინისტრომ შპს „ეარ ბათუმისაგან“ შეიძინა 2010 წლის 17 მაისს, როგორც „თბილისი-ბათუმი“ და „ბათუმი-თბილისის“ მიმართულებით 3 თვიანი (2010 წლის 1 ივნისიდან 1 სექტემბრამდე) შეუფერხებელი ფრენის დოკუმენტი. აქედან გამომდინარე, 2010 წლის 1 სექტემბრის შემდეგ ეს აბონემენტები უკვე არანაირ ფასეულობას აღარ წარმოადგენდნენ, იმავე წელს უნდა მომხდარიყო მათი ჩამოწერა. მიუხედავად ამისა ისინი თითქმის წელიწადნახევრის მანძილზე ირიცხებოდნენ მატერიალურ მარაგებად, რის გამოც 2.7 ათასი ლარით არასწორად იყო გაზრდილი აქტივების ღირებულება და ამავე თანხით მექანიკურად გაიზარდა სტიქიური მოვლენების მიერ მიყენებული ზარალის ოდენობა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზემოხსენებული სამივე აბონემენტი სამინისტროს საწყობში შემოსულია 14 ივნისს და იქვე ინახებოდა გამოუყენებლად დატბორვამდე, რაც საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური ხარჯვის კიდევ ერთი მაგალითია.

ანალოგიურად, 2008 წლის 6 ივნისს საწყობში შეტანილია შპს „ვეზირისგან“ შესყიდული 2.55 ათასი ლარის ღირებულების (ერთეულის ფასი 85 ლარი) 30 ცალი ე.წ. სასაუბრო დროის ბარათი (რომელიც ხელშეკრულების პირობის მიხედვით აქტიურია მხოლოდ 2 თვის განმავლობაში აქტივაციის შემდეგ) და 1.9 ათასი ლარის ღირებულების (ერთეულის ფასი 102 ლარი) 18 ცალი სიმბარათი (ქსელში ჩართული 10 აშშ დოლარის ექვივალენტი სასაუბრო დროით). მიღებიდან 4 წლის შემდეგ ეს „ფასეულობანიც“, რომლებსაც აღარანაირი ღირებულება აღარ გააჩნდათ, იმავე დატბორილ საწყობში აღმოჩნდა და სტიქიური მოვლენების მიერ მიყენებულ ზარალს მიეწერა.

მსგავსი ფაქტი მრავლადაა.

საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვის მაჩვენებელია ის გარემოებაც, რომ სამინისტროს საწყობებში დაგროვილია გაუმართლებლად დიდი რაოდენობის და ღირებულების მატერიალური ფასეულობები, რომელთა დიდი ნაწილიც გამოუყენებლად ინახება თევების და ზოგ შემთხვევაში წლების მანძილზე.

მაგალითად, 2012 წლის 3 აპრილს შპს „ოლბერთან“ გაფორმებული N276 ხელშეკრულებით შეძენილია 215.0 ათას ლარად ღირებული 4300 ცალი მამაკაცის საგაზაფხულო - საშემოდგომო ქურთუკი, რომელიც საწყობში შეტანილია 29 მარტს და 2012 წლის ბოლომდე არც ერთი ცალი არ გაცემულა, 2013 წლის 1 აპრილამდე (29 მარტს) კი მხოლოდ 32 ცალი, ანუ 0.74%-ია გაცემული და 213.4 ათასი ლარის ღირებულების ქურთუკები უკვე წელიწადზე მეტია ინახება საწყობში.

წარმომადგენლობითი ხარჯები

აუდიტის პერიოდში სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ მნიშვნელოვანი ოდენობის წარმომადგენლობითი ხარჯია გაწეული. კერძოდ, 2011 წელს ამ მუხლით გაწეულ იქნა 1,424.3 ათასი, 2012 წლის ცხრა თვეში კი - 902.7 ათასი ლარის საკასო ხარჯი. ფაქტობრივმა ხარჯმა შესაბამისად 1,282.8 ათასი და 924.6 ათასი ლარი შეადგინა. ეს ხარჯები ძირითადად გაწეულია სამინისტროს სტუმრების სასტუმროთი უზრუნველყოფის, მათი რესტორანში, ან საზოგადოებრივი კვების სხვა ობიექტში გამასპინძლების და სხვადასხვა სახის საჩუქრების შესაძენად.

საკითხის შემოწმებით გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები და მნიშვნელოვანი რისკები. კერძოდ, ზემოხსენებული მომსახურების მიღების მიზნით გაფორმებულ ხელშეკრულებებს აქვს ზოგადი სახე. მათში არ არის დაკონკრეტებული მომსახურების პირობები, ერთეულის ფასები და ა.შ. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, საბუღალტრო სამსახურში წარმოდგენილ ხარჯვის დამადასტურებელ პირველად დოკუმენტებში (ჩეკი, მენიუ, ინვოისი, მიღება-ჩაბარების აქტი და სხვა) ძირითადად, მითითებულია მხოლოდ გაწეული ხარჯის ზოგადი არსი, ისე, რომ არ არის დაკონკრეტებული სტუმრების ვინაობა, რაოდენობა, ვიზიტის მიზანი და ა.შ.

მაგალითად, 2011 წლის 1 აპრილს ხარაგაულის რაიონის სოფ.უბისაში მცხოვრებ ი.მ „ბიჭიკო წიქარიშვილთან“ გაფორმდა ხელშეკრულება N318. სახელშეკრულებით - 5.0 ათასი ლარი. ხელშეკრულებით ი.მ. ვალდებული იყო ვახშამი გაემართა „სამინისტროს სტუმრების ვიზიტთან დაკავშირებით“. ხელშეკრულებაში არ არის დაკონკრეტებული ერთეულის ფასები და მომსახურების სხვა პირობები.

საბუღალტრო სამსახურში წარმოდგენილია 2011 წლის 4 აპრილის და 4 მაისის ჩეკები, მიღება-ჩაბარების აქტები და შესაბამისი მოხსენებითი ბარათები, სადაც მხოლოდ ისაა დაფიქსირებული, რომ ი.მ-მ რესტორან „ზღაპარში“ გამართა ვახშამი „სამინისტროს სტუმრების ვიზიტთან დაკავშირებით“, შესაბამისად 3128 და 1872 ლარის ღირებულებით. ამრიგად, ეს ორი ვახშამი ჯამში ზუსტად 5.0 ათასი ლარი დაჯდა. წარმოდგენილი დოკუმენტები არასრულყოფილია, არც ერთ

ფინანსური ანგარიშგება

2011 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 30 სექტემბერი

მათგანში არ არის მითითებული სტუმრების ვინაობა, რაოდენობა, ვიზიტის მიზანი და სხვა აუცილებელი ინფორმაცია, რაც აღნიშნული ხარჯის კანონიერებას დაადასტურებდა.

იმავე ი.მ-სთან 2011 წლის 5 მაისს კვლავ გაფორმდა ხელშეკრულება N440, სახელშეკრულებო ღირებულებით - 15.0 ათასი ლარი და ასევე არასრულყოფილი დოკუმენტების საფუძველზე ი.მ-ეს გადაერიცხა 3558 ლარი და 170 ლარი.

სამინისტროში უნაღდო ანგარიშსწორებით გაწეული მსგავსი ხარჯების დასადასტურებლად ძირითადად ასეთი დოკუმენტებია წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ მიღება-ჩაბარების აქტების ნაწილს მომარაგების სამსახურის სპეციალისტის გარდა სამინისტროს საპროტოკოლო ღონისძიებების ორგანიზების განყოფილების თანამშრომელიც აწერს ხელს, ნაწილს კი არა.

მაგალითად, 2011 წლის 25 მარტს ს/ს „სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი ემ გრუპს“ 4 იანვრის N41 ხელშეკრულების, 25 მარტის მოხსენებითი ბარათის, 11 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე გადაერიცხა (საგადახდო მოთხოვნა N10963) 13.4 ათასი ლარი, საიდანაც 3 მიღება-ჩაბარების აქტს სამინისტროს მხრიდან ხელს მხოლოდ მომარაგების განყოფილების სპეციალისტი აწერს, დანარჩენს კი საპროტოკოლო ღონისძიებების ორგანიზების განყოფილების უფროსიც. მათ შორის, 2011 წლის 3 თებერვლის მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულია, რომ ს/ს „სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი ემ გრუპმა“ 2011 წლის 4 იანვრის N41 ხელშეკრულების საფუძველზე „სამინისტროს სტუმრებისათვის“ 57 კაცზე გამართა ვახშამი რესტორან „მეტეხის ჩრდილში“ საერთო ღირებულებით 3157 ლარი. შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს ხელს სამინისტროს მომარაგების განყოფილების სპეციალისტთან ერთად საპროტოკოლო ღონისძიებების ორგანიზების განყოფილების უფროსიც აწერს. ხოლო, 2011 წლის 18 თებერვლის მიღება-ჩაბარების აქტს, რომელიც ადასტურებს ამავე ს/ს-ის მხრიდან რესტორან „პურის სახლში“ „სამინისტროს სტუმრებისათვის“ 12 კაცზე, 1,307.9 ლარის ღირებულების ვახშმის გამართვას, სამინისტროს მხრიდან ხელს მხოლოდ მომარაგების განყოფილების სპეციალისტი აწერს.

შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევა ხორციელდებოდა პროტოკოლის სამმართველოდან მიღებული პატაკის, ან სიტყვიერ დავალების საფუძველზე. საბუღალტრო სამსახურში არ ინახება ხსენებული პატაკები. სამინისტროს პროტოკოლის სამმართველოს უფროსის მოადგილის მიერ წარმოდგენილი იქნა, მხოლოდ 2012 წლის 2 აგვისტოს შემდგომ არსებული შესაბამისი დოკუმენტები. მისივე განმარტებით, იგი 2 აგვისტოს დაინიშნა აღნიშნულ თანამდებობაზე. ამავე პერიოდში მანამდე არსებული საპროტოკოლო სამმართველოს ყველა თანამშრომელი განთავისუფლდა სამსახურიდან, ისე რომ მათ არანაირი დოკუმენტი არ დაუტოვიათ, სამსახურის ოფიციალურ გადაბარება კი არ განხორციელებულა. შესაბამისად, 2012 წლის 2 აგვისტომდე გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილის საფუძველების მოძიება ვერ მოხერხდა, ამიტომ შეუძლებელია გონივრული რწმუნების მიღება აღნიშნული ხარჯების კანონიერების შესახებ, რადგან სახეზეა აუდიტის მასშტაბის შეზღუდვა.

ამრიგად, სამინისტროში არ იყო შემუშავებული და დანერგილი შიდა კონტროლის ყველა საჭირო მექანიზმი. მინისტრის 2010 წლის 16 ივნისის N515 და 2011 წლის 4 თებერვლის N92 ბრძანებებით, სამინისტროში დამტკიცებული იყო მხოლოდ სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების თანამდებობის პირთა მიერ წარმომადგენლობითი ხარჯების (სტუმრების გამასპინძლებისათვის) დაფინანსების მიზნით ლიმიტის ფარგლებში მიღებული ნაღდი ფულის ჩამოწერის წესები. ამ თანხების ჩამოსაწერად საკმარისი იყო თანხის გადახდის დამადასტურებელი ანგარიშისა და სალაროს აპარატის ქვითარის წარმოდგენა, თუ სტუმარს რესტორანში ან საზოგადოებრივი კვების სხვა ობიექტში უმასპინძლებდნენ. პიკნიკზე ან ოჯახში მასპინძლობისას წარმოსადგენი იყო N092 ბრძანებით დამტკიცებული ფაქტიურად გაწეული ხარჯის აქტი, რომელიც შეიცავს ისეთ ანფორმაციას, როგორიცაა: გახარჯული პროდუქტის დასახელება, რაოდენობა, ფასი, სტუმრების რაოდენობა, მათი მიღების დრო და ადგილი, სამინისტროს თანამშრომლის თანამდებობა და ხელმოწერა, თუმცა არ არის დაფიქსირებული სტუმრების ვინაობა და სტუმრობის მიზანი. შედეგად, მაინც ვერ დგინდება ამ ხარჯების გაწევის კანონიერება. აღსანიშნავია, რომ წარმომადგენლობითი ხარჯების უნაღდო ანგარიშსწორებით ანაზღაურების პირობებში მსგავსი დოკუმენტების შედგენის ვალდებულება შესაბამის თანამშრომლებს არ ეკისრებოდათ, მაშინ როდესაც აღნიშნული ხარჯების უდიდესი ნაწილი სწორედ უნაღდო ანგარიშსწორებით ხორციელდებოდა და ამიტომ, უფრო მნიშვნელოვანი იყო ამ საკითხის სამართლებრივი დარეგულირება, რაც სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ არ გაკეთებულა²³.

წარმომადგენლობითი ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილია გახარჯული ხალხმრავალი ბანკეტების ორგანიზებაზე, რაც მოქმედი კანონმდებლობით რეგლამენტირებული არ არის. მაგალითად, სამინისტროს ბუღალტერიაში წარმოდგენილია 2011 წლის 3 დეკემბრის ფაქტიურად გაწეული ხარჯის აქტი, სადაც მითითებულია, რომ შსს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თიანეთის რაიონულმა სამმართველომ, პოლიციის ახალი ადმინისტრაციული შენობის გახსნასთან დაკავშირებით, დაბა თიანეთის საბანკეტო დარბაზში უმასპინძლა 150 სტუმარს, რაზედაც გაიხარჯა 2500 ლარი.

2012 წლის 18 სექტემბერს შპს „ბერმუხა ბი ემ ჯი“-სთან დაიდო ხელშეკრულება N870, სახელშეკრულებო ღირებულებით - 25.0 ათასი ლარი. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა სამინისტროს სტუმრების ვიზიტთან დაკავშირებით ვახშამის გამართვა. შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით აღნიშნული ვახშამი გაიმართა „სწავლება „საქართველო-2012“-ის დახურვის ცერემონია“-სთან დაკავშირებით. საბუღალტრო სამსახურში წარმოდგენილია იმავე დღეს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი და შესაბამისი მოხსენებითი ბარათი, სადაც მხოლოდ ისაა დაფიქსირებული, რომ შპს „ბერმუხა ბი ემ ჯი“-მ ჩააბარა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, კერძოდ „სამინისტროს სტუმრების ვიზიტთან დაკავშირებით ვახშამის გამართვა“, ღირებულებით 24.3 ათასი ლარი.

23. „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით: „ორგანიზაციებს, ერთიანი მეთოდოლოგიისა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დაცვით, უფლება აქვთ შეიმუშაონ ბუღალტრული აღრიცხვის სპეციფიკური მეთოდური მითითებები, შიდა აღრიცხვის წესები და ფორმები, რომლებსაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ამტკიცებენ დარგობრივი სამინისტროები, უწყებები,.....“.

თუმცა არც ამ დოკუმენტებში და არც საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში არ არის მითითებული სტუმრების რაოდენობა, არ არის წარმოდგენილი მენიუ და სხვა აუცილებელი ინფორმაცია.

ამავე მიზეზით, 2012 წლის 21 სექტემბერს შპს „ENERGI“-სთან დაიდო ხელშეკრულება N882 სახელშეკრულებო ღირებულებით - 29.6 ათასი ლარი. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა სამინისტროს სტუმრების ვიზიტთან დაკავშირებით კულტურული ღონისძიების ორგანიზება. იმავე დღეს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტში და შესაბამისი მოხსენებითი ბარათში მხოლოდ ისაა დაფიქსირებული, რომ შპს „ENERGI“-მ ჩააბარა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, კერძოდ „უზრუნველყო სამინისტროს სტუმრების ვიზიტთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიების ორგანიზება“. ეს კი არასაკმარისი ინფორმაციაა აღნიშნული 29.6 ათასი ლარის ხარჯვის კანონიერების დასადგენად.

2012 წლის 24 იანვარს შპს „ნარიყალასთან“ გაფორმებულია ხელშეკრულება N125 სახელშეკრულებო ღირებულებით - 10.0 ათასი ლარი. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა სამინისტროს სტუმრების ვიზიტთან დაკავშირებით აბანოთი მომსახურება და ერთი საათის ღირებულებად მითითებული იყო 150 ლარი. ამ ხელშეკრულების საფუძველზე 2012 წლის 9 თვეში გაწეული მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 7.3 ათასი ლარი. შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტებში და მოხსენებითი ბარათებში მხოლოდ ისაა დაფიქსირებული, რომ შპს „ნარიყალამ“ ჩააბარა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, კერძოდ „უზრუნველყო სამინისტროს სტუმრების ვიზიტთან დაკავშირებით აბანოთი მომსახურება“. მაგალითად, 2012 წლის 16 მაისის მიღება-ჩაბარების აქტისა და მოხსენებითი ბარათის საფუძველზე შპს „ნარიყალას“ გადაერიცხა 1,445.0 ლარი. სხვა აუცილებელი ინფორმაცია საბუღალტრო სამსახურში წარმოდგენილი არ არის.

დარღვევები დაფიქსირდა სასტუმროების მომსახურების ანაზღაურების საკითხშიც. მაგალითად: 2011 წლის 19 აგვისტოს შპს „აჭარა+“-სთან გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დაიდო ხელშეკრულება N733. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა „სამინისტროს სტუმრების სასტუმროთი მომსახურება“. შესყიდვის ღირებულება თავდაპირველად შეადგენდა 20.0 ათას ლარს, 9 დეკემბრის შეთანხმებით კი ეს თანხა 30.0 ათას ლარამდე გაიზარდა.

აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე შპს „აჭარა+“-ს გადაერიცხა ჯამში 28.2 ათასი ლარი, თუმცა ეს გადარიცხვები განხორციელებულია არასრულყოფილი დოკუმენტების საფუძველზე. მაგალითად, 2011 წლის 23 დეკემბერს „სამინისტროს სტუმრების სასტუმროთი მომსახურების“ მოტივით შპს „აჭარა+“-ს გადაერიცხა 7,387.31 ლარი, რაზედაც წარმოდგენილია მხოლოდ შესაბამისი ხელშეკრულება, მოხსენებითი ბარათი, მიღება-ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. ამ დროს, არ არის მითითებული სტუმრების რაოდენობა, ვინაობა, მათი ვიზიტის მიზანი, პერიოდი, სასტუმროს ნომერის ფასი და ამ ხარჯის კანონიერების დასადგენად საჭირო აუცილებელი სხვა მონაცემები.

2011 წლის 21 ოქტომბერს სსიპ „საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ „რუსთავთან“ (შემდგომში: „შემსრულებელი“) გამარტივებული შესყიდვის

საშუალებით დაიდო ხელშეკრულება N870. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად „კულტურული ღონისძიების ორგანიზება“. შესყიდვის ღირებულება შეადგენდა 5.9 ათას ლარს.

ხელშეკრულებით ვერ დგინდება, თუ სად და კონკრეტულად რა მომსახურება უნდა გაეწია „შემსრულებელს“. ეს მონაცემები არც იმავე დღეს გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტშია დაფიქსირებული, სადაც მხოლოდ ისაა მითითებული, რომ შემსრულებელმა „უზრუნველყო კულტურული ღონისძიების ორგანიზება“. ვერანაირი დოკუმენტი, რომელიც დაასაბუთებს აღნიშნული ხარჯის მიზნობრიობას და აუცილებლობას, ვერ იქნა წარმოდგენილი.

ანალოგიურად, 2011 წლის 4 მარტს და 5 მაისს სსიპ „საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცანტრთან“ (შემდგომში: „შემსრულებელი“) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დაიდო ხელშეკრულებები №248 და №443. ამ ხელშეკრულებების საგანსაც წარმოადგენდა დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად „კულტურული ღონისძიების ორგანიზება“. შესყიდვების ღირებულება შეადგენდა შესაბამისად 10.9 ათას და 17.3 ათას ლარს.

ვერც ამ ხელშეკრულებებით დგინდება, თუ სად, როდის და კონკრეტულად რა მომსახურება უნდა გაეწია „შემსრულებელს“. ეს მონაცემები არც შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტებშია დაფიქსირებული. ამ შემთხვევაშიც, მიღება-ჩაბარების აქტებში მხოლოდ ისაა მითითებული, რომ შემსრულებელმა „უზრუნველყო კულტურული ღონისძიების ორგანიზება“. მსგავსი ფაქტიც რამდენიმეა.

დიდი ოდენობის თანხებია გახარჯული სასაჩუქრე ფასეულობების შესაძენადაც.

მაგალითად, 2012 წლის 26 დეკემბერს შპს „თბილავიამშენის“ მიერ მოწოდებულია 146 ცალი 740 ლარიანი მოოქროვილი და 145 ცალი 680 ლარიანი მოვერცხილი სასაჩუქრე მაჯის საათები საერთო ღირებულებით 206.6 ათასი ლარი. მოწოდება განხორციელდა ჯერ კიდევ 14 აგვისტოს გაფორმებული N731 ხელშეკრულების საფუძველზე, თუმცა არ არის წარმოდგენილი აღნიშნული შესყიდვის აუცილებლობის გამამართლებელი არანაირი არგუმენტი. კერძოდ, ეს შესყიდვა დაგეგმილი არ ყოფილა და მხოლოდ 13 აგვისტოს იქნა შეტანილი აღნიშნული ცვლილება შესყიდვების გეგმაში. აგრეთვე, არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ბრძანება, ან მოთხოვნა, ამიტომ ვერ დგინდება, თუ რა მიზნით იქნა შესყიდული ასეთი დიდი ოდენობის საკმაოდ ძვირადღირებული საათები, მით უმეტეს, რომ 2013 წლის 1 აპრილის მდგომარეობით 291-დან 279 ცალი (96%) ისევ საწყობში ირიცხება ნაშთად, რაც საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიურ ხარჯვაზე მიგვითითებს.

2012 წლის 10 მაისს სამინისტროს მიმართა სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსმა, თხოვნით, სასაჩუქრედ „ერთი ცალი საათის“ გამოყოფის შესახებ. იმავე წლის 4 მაისს, ანუ შეკვეთის მიღებამდე 6 დღით ადრე შპს „ქენევალუქსთან“ ერთი ცალი, 14,256.0 ლარის ღირებულების სასაჩუქრე მაჯის საათის შესყიდვაზე გაფორმებულია ხელშეკრულება N393, თუმცა საფუძველად წარმოდგენილია აღნიშნული წერილი.

ხელშეკრულებით არ არის დაკონკრეტებული საათის მწარმოებელი კომპანია, ტექნიკური მახასიათებლები და სხვა აუცილებელი მონაცემები, რაც აუცილებელია მისი ფასის დასადგენად. აღნიშნული საათი მიღებულია 7 მაისს და 18 ივლისს გაცემულია (ავიზო №5/44) სამცხე-ჯავახეთის

სამხარეო მთავარ სამმართველოზე და 19 ივლისს, მინისტრის ბრძანების საფუძველზე ჯილდოს სახით გადაცემულია თურქეთის მოქალაქეზე (მუსტაფა ტექმენი).

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

შრომის ანაზღაურება, პრემია

2011 წელს სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ გაწეული 135,733.7 ათასი ლარის ხარჯიდან (სამინისტროს საკასო ხარჯის 24%) შრომის ანაზღაურების მუხლით გახარჯულია 20,117.3 ათასი ლარი (14.8%), საიდანაც პრემიის სახით გაცემულია 2,120.4 ათასი ლარი. პრემიის ხელფასთან თანაფარდობა თვეების მიხედვით მერყეობს 4%-დან 22%-მდე, ხოლო დეკემბერში შეადგინა 34%. 2011 წლის განმავლობაში ცალკეულ თანამშრომლებზე ერთჯერადად დარიცხული პრემიის ოდენობა მერყეობს 100 ლარიდან 13,900 ლარამდე.

2012 წლის 9 თვეში ცენტრალური აპარატის მიერ გაწეული 108,571.8 ათასი ლარის ხარჯიდან (სამინისტროს საკასო ხარჯის 26%) შრომის ანაზღაურების მუხლით გახარჯულია 15,409.4 ათასი ლარი (14.2%), საიდანაც პრემიის სახით გაცემულია - 1,802.9 ათასი ლარი. 2012 წლის განმავლობაში მომუშავეთათვის ერთჯერადად დარიცხული პრემიის ოდენობა მერყეობს 100 ლარიდან 13,400 ლარამდე.

2011-2012 წელს უმაღლესი საშტატო სახელფასო განაკვეთი (მინისტრის) შეადგენდა 3,540 ლარს. შტატგარეშე მოსამსახურის უმაღლესი ხელფასია (მინისტრის მრჩეველი-დარიუს იურგილევიჩუსი) 5,300 ლარი, რომელზედაც 2011 წლის განმავლობაში დარიცხულია 69,425 ლარი (დეკემბრის თვეში დარიცხულია 11,125 ლარი), ხოლო 2012 წლის 9 თვეში - 42,400 ლარი (ბოლოს დარიცხულია აგვისტოში).

წლების განმავლობაში თანამშრომელთა გარკვეულ, მცირე კონტიგენტზე (მაღალი თანამდებობის პირებზე) სისტემატურად გაიცემოდა პრემიები თითქმის იდენტური არგუმენტაციით, კერძოდ „მოვალეობის კეთილსინდისიერი შესრულებისა და მაღალი პროფესიონალიზმის გამო“. ზემოხსენებულ კონტიგენტზე ზოგჯერ თვეში ორჯერაც ხდებოდა პრემიის გაცემა, რის შედეგადაც წლის მანძილზე, ზოგიერთ მათგანზე 13-დან 25-ჯერ არის პრემიები გაცემული.

ერთი თვის განმავლობაში ერთ თანამშრომელზე დარიცხული პრემიის ოდენობა მერყეობს 100-დან 20,150.0 ლარამდე.

2011 წლის განმავლობაში ერთ პიროვნებაზე დარიცხული პრემიის ჯამური მაქსიმალური ოდენობაა 55,128 ლარი (ზურაბ მაისურაძეზე), 2012 წლის 9 თვეში - 58,250 ლარი (გიორგი ლორთქიფანიძე).

აღსანიშნავია, რომ 2012 წლის აგვისტოს თვეში მინისტრის ექვსივე მოადგილეზე ორ-ორჯერ არის გაცემული დიდი ოდენობის პრემიები, მათ შორის ხუთზე (გიორგი ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ მიმცეიშვილი, ეკატერინე ზღულაძე-გლუქსმანი, ნოდარ ხარშილაძე, შოთა ხიზანიშვილი) 10.0-10.0 ათასი და 5.0-5.0 ათასი ლარი, მეექვსეზე (შალვა ჯანაშვილი) კი - 10.0 ათასი და 4.0 ათასი ლარი.

ამრიგად, წლის მანძილზე შრომის ანაზღაურების მუხლში წარმოშობილი ეკონომიის დიდი ნაწილი გამოყენებულია პრემიების გასაცემად და არ მომხდარა „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით მხარჯავი დაწესებულებებისათვის მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენება წარმოშობილი ეკონომიის შემთხვევაში ასიგნებების დავალიანებათა დასაფარად მიმართვის თვალსაზრისით, მაშინ როდესაც როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ეს დავალიანება 7 მლნ ლარს აღემატება. სახელფასო დავალიანებების შემცირება წარმოებს მხოლოდ მოქალაქეების მიერ შეტანილ სარჩელზე სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული „წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებათა დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან“ თანხების გაცემით, ისიც უმნიშვნელო ოდენობით.

- მოქალაქეებზე ფულადი პრემიისა და ერთჯერადი ფულადი დახმარებების გაწევის საკითხი.

აუდიტის პერიოდში მოქალაქეებზე პრემიის და ერთჯერადი დახმარების სახით გაწეულია 127.3 ათასი ლარის საკასო ხარჯი. მაგალითად, პოლიციისათვის გაწეული დახმარების მოტივით მოქალაქე ვინსენტ ლაპარტიენზე - 43,875 ლარი. ხოლო, ხაშურის რაიონულ სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში კიბის მოაჯირიდან გადმოვარდნისა და სიცოცხლესთან შეუთავსებადი ტრამეების გამო გარდაცვლილ მოქალაქე სოლომონ ქიმერიძის ოჯახზე ერთჯერადი ფულადი დახმარების მიზნით გაცემულია - 18,750 ლარი.

სულ, 108.5 ათასი ლარის ფულადი პრემიით (ჯილდო) წახალისებულია 18 მოქალაქე. მოქალაქეებზე ფულადი პრემიის გაცემის საფუძველად შს სამინისტროს ბრძანებებში მითითებული ნორმები ითვალისწინებს სამინისტროს მოსამსახურის და „პირის“ წახალისებას.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სალაროს გასავლის ორდერით²⁴ მოქალაქე ვინსენტ ლაპარტიენს, სამინისტროს საიმჯო, დასურათებული ბუკლეტების შექმნისთვის 2011 წელს სალაროდან მიღებული აქვს 28,560.0 ლარი (ხარჯი გაწეულია „ოფისის ხარჯების“ მუხლით). ასევე წარმოდგენილია მიღება-ჩაბარების აქტი²⁵ ფულადი პრემიის ჩაბარების და არა შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების თაობაზე, რომელსაც ხელს აწერს სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს ყოფილი უფროსი ზვიად პაპიძე და მოქალაქე ვინსენტ ლაპარტიენი.

²⁴სალაროს გასავლის ორდერი (უწყისით) 1541 - 2011 წლის 30 აგვისტო.

²⁵ მიღება-ჩაბარების აქტი № 1 - 2011 წლის 31 აგვისტო

აუდიტის დროს, სამინისტროში ვერ იქნა წარმოდგენილი დაჯილდოებული მოქალაქეების მიერ პოლიციისთვის/სამინისტროსთვის გაწეული კონკრეტული დახმარების დამადასტურებელი დოკუმენტები.

რაც შეეხება ხაშურის რაიონულ სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში გარდაცვლილი მოქალაქე სოლომონ ქიმერიძის ოჯახისათვის დარიცხულ 18,750 ლარის ფულად დახმარებას²⁶ - გაწეულია სხვა ხარჯების მუხლიდან.²⁷ აღნიშნული მუხლი კი ითვალისწინებს სახელმწიფო ერთეულების მიხედვით ფიზიკური პირების დაღუპვის შემთხვევაში გადახდილ კომპენსაციებს, რომელიც შეიძლება იყოს სავალდებულო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ან ნებაყოფილობითი სასამართლოს გარეთ მიღწეული შეთანხმების საფუძველზე. სამინისტროში დახმარების გაწევის შესახებ მინისტრის ბრძანების გარდა სხვა დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა სამინისტროს ასიგნებებიდან ამ ხარჯის გაწევის კანონიერებას, ვერ იქნა წარმოდგენილი.

ფიზიკური პირების იარაღით დაჯილდოების შესახებ

აუდიტის პერიოდში მინისტრის ბრძანებების საფუძველზე ადგილი ჰქონდა საქართველოსა და უკრაინის მოქალაქეების იარაღით დაჯილდოების ფაქტებს. კერძოდ „საქართველოს აღმშენებლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის“ სხვადასხვა სისტემის პისტოლეტებით დაჯილდოებულია უკრაინის 26 მოქალაქე. გარდა ამისა, პოლიციისათვის გაწეული დახმარებისათვის ასევე სხვადასხვა სისტემის პისტოლეტებით დაჯილდოებულია საქართველოს 8 მოქალაქე.

მოქალაქეებზე იარაღის ჯილდოდ გადაცემის საფუძველად შს სამინისტროს სამართლებრივ აქტებში მითითებული ნორმების მიხედვით, იარაღის ჯილდოდ გადაცემის უფლებამოსილება აქვს შინაგან საქმეთა მინისტრს შესაბამისი დაწესებულების თანამშრომლის, ან იმ პირის მიმართ, რომლებიც მსახურობდნენ შესაბამის დაწესებულებაში, ასევე უცხო ქვეყნის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლის მიმართ. ამასთან, იარაღის ჯილდოდ გადაცემის სამართლებრივ აქტში სხვა მონაცემებთან ერთად მითითება დასაჯილდოებელი პირის სამსახური და დაკავებული თანამდებობა²⁸.

²⁶ მინისტრის 2012 წლის 1 მარტის № 159 ბრძანება.

²⁷ ფინანსთა მინისტრის № 672 ბრძანება თავი IV – ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია.

²⁸ „სამოქალაქო და სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ჯილდოდ გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 3 სექტემბრის № 430 ბრძანებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა.

სამინისტროს მიერ იარაღით დაჯილდოებული პირები (გარდა ერთისა) არ წარმოადგენდნენ სამინისტროს მოსამსახურეებს, ამასთან არც ერთ ბრძანებაში არ არის მითითებული მათი სამსახური და დაკავებული თანამდებობა. აუდიტის შედეგად ვერ დადგინდა, თუ კონკრეტულად რა სამსახური გაუწიეს მათ პოლიციას და რა განსაკუთრებული წვლილი აქვთ შეტანილი საქართველოს აღმშენებლობაში.

ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ სამინისტროსათვის ჩუქების ფორმით აქტივების გადაცემა

წმინდა ღირებულების ანგარიშზე არაფინანსური აქტივების მოძრაობის შესწავლით დადგინდა, რომ აუდიტის პერიოდში ფიზიკური და იურიდიული პირების მხრიდან სისტემატიურად ხორციელდებოდა სამინისტროსათვის ჩუქების ფორმით აქტივების, (ძირითადად ა/მ-ების) გადაცემა.

სულ ამ პერიოდში შემოსავლებში ასახულია ცენტრალური აპარატისათვის ჩუქების ხელშეკრულებებით გადაცემული 4,050.5 ათასი ლარის ღირებულების 88 ერთეული ა/მ. მათ შორის 3,645.5 ათასი ლარის ღირებულების 79 ა/მ. ფიზიკური, ხოლო 405 ათასი ლარის ღირებულების 9 ა/მ. კი იურიდიული პირებისაგან).

გარდა სატრანსპორტო საშუალებებისა, შემოსავლებში აღრიცხულია იურიდიული პირების მიერ უსასყიდლოდ აშენებული სხვადასხვა ადმინისტრაციული შენობების ღირებულება (სამინისტროსათვის „არასაცხოვრებელი შენობების“ უსასყიდლოდ გადაცემა), ასევე სხვადასხვა იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ჩუქების ფორმით გადაცემული სხვა არაფინანსური აქტივებიც (10,673.6 ათასი ლარის).

სულ აუდიტის პერიოდში ჩუქების ფორმით სამინისტროს ცენტრალური აპარატისათვის გადაცემულია 14,724.1 ათასი ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივები. კერძოდ:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

ფინანსური ანგარიშგება

2011 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 30 სექტემბერი

2011 წელი	ათას ლარებში	
სატრანსპორტო საშუალებები	2,691.5	
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	716.7	
მატერიალური მარაგები	72.2	
შეიარაღება	15.1	
სულ:	3,495.5	
2012 წელი (1 იანვარი-30 სექტემბერი)	ათას ლარ.	შენიშვნა
სატრანსპორტო საშუალებები	1,359.0	
არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობები	2,080.1	ს/ს "არქეოპოლისი" ²⁹
საცხოვრებელი შენობა-ნაგებობები -3 კორპუსი	7,632.1	კახ.გზატკეცე.N36"ზ"თანამშ.გადას.ბინ.
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	54.5	➤ ³⁰
გრძელვადიანი მცირეფასიანი არაფინანსური აქტივები	26.5	➤ ³¹
მატერიალური მარაგები	76.4	➤ ³²
სულ:	11,228.6	
სულ 2011 წლიდან 2012 წლის 1 ოქტომბრამდე	14,724.1	

ს/ს „არქეოპოლისის“ მიერ სამინისტროსათვის უსასყიდლოდ გადმოცემულია შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოს - 2,080.1 ათასი ლარის ღირებულების ადმინისტრაციული შენობის სამუშაოები, რომელიც იმავე დღეს (29/02/2012) ბალანსიდან ბალანსზეა გადაცემული შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოსათვის (სულ 2,282.8 ათასი ლარის ღირებულების არასაცხოვრებელი შენობა 202.6 ათასი ლარის საპროექტო სამუშაოების ჩათვლით). აღსანიშნავია ის გარემოება რომ, ს/ს „არქეოპოლისმა“ აღნიშნული შენობის მშენებლობის დაკვეთა ტენდერში გამარჯვების შედეგად მიიღო და ძალზე არალოგიკურად ჩანს მისი გადაწყვეტილება სამშენებლო სამუშაოების ღირებულების მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

²⁹ს/ს „არქეოპოლისის“ დირექტორის დავით გვარამიას 22 ნოემბრის 2011 წლის N140 წერილის თანახმად ს/ს-ის აქციონერის სურვილის შესაბამისად (წვლილი შეიტანოს ქვეყანაში მიმდინარე აღმშენებლობის საქმეში და ვარდების რევოლუციის მე-8 წლისთავთან დაკავშირებით) ს/ს-ის ხარჯებით დაფინანსდა ცნობილი გერმანელი არქიტექტორის იურგენ მაიერის დაპროექტებული შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის სამუშაოები (30.04.2011 წლის #405 ხელშეკრულების საფუძველზე).

³⁰ჩუქება - შპს „მობილფონი“, ფ/პირები: გიგა ალასანია, ფარმან მამედოვი, ლევან კუჭუხიძე, ია ჯიჭონაია, დავით კოტია, ვასილ გრძელიშვილი.

³¹ჩუქება - ფ/პირები: ნინო ბერუაშვილი, გიგა ალასანია, ფარმან მამედოვი, ლევან კუჭუხიძე, ია ჯიჭონაია, დავით კოტია.

³²ჩუქება - შპს „მობილფონი“, B@H SSBI LTD"-ისრაელი-გენ დირექტორი-სასონ ბატრი, ფ/პირები: გიგა ალასანია, ფარმან მამედოვი, ლევან კუჭუხიძე, ია ჯიჭონაია, დავით კოტია.

სამინისტროს ბალანსზე რიცხული ქონების გადაცემა ფიზიკურ პირებზე

2012 წელს (1 ოქტომბრამდე) საჩუქრად გაცემულადაა დაფიქსირებული სამინისტროს ბალანსზე რიცხული 107.7 ათასი ლარის ღირებულების 186 კომპიუტერი, საიდანაც 8 ერთეული გადაცემულია სერბეთის, უკრაინის, რუსეთისა და ლიტვის მოქალაქეებზე, ხოლო დანარჩენი, 98.8 ათასი ლარის ღირებულების 178 კომპიუტერი (83-პლანშეტური და 95-პორტატული) გასავლის ზედდებულით მიღებული აქვს სამინისტროს საპროტოკოლო ღონისძიებების უზრუნველყოფის სამმართველოს ყოფილ უფროსს გ. ჭილაძეს და მინისტრის 2012 წლის 30 ივნისის N473 ბრძანების საფუძველზე ჩამოწერილია ბალანსიდან. სამინისტროს საბუღალტერო სამსახურში ვერ წარმოგვიდგინეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვის და რა დამსახურებისათვის გადაეცა ამდენი კომპიუტერი საჩუქრად.

იჯარა

სხვადასხვა წლებში სამინისტროს მიერ უძრავი ქონების სასყიდლიან სარგებლობაში (იჯარით) გაცემასთან დაკავშირებით გაფორმებულია 40-ზე მეტი ხელშეკრულება 15 სუბიექტთან (რომლებიც მოქმედებდა აუდიტის პერიოდში - 2011-2012 წლებში). აღნიშნული ხელშეკრულებები ძირითადად გაფორმებულია დახურული ტიპის კვების ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე ბანკომატების და სწრაფი ჩარიცხვის აპარატების დასამონტაჟებლად.

სამინისტროს, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 დეკემბრის N1744 განკარგულებით (რომელიც გამოცემულია „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე) მიეცა თანხმობა ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის აუქციონის გარეშე, დროებით, სასყიდლიან სარგებლობაში გადაეცა სამინისტროსთვის სარგებლობაში გადაცემული ან/და მის ბალანსზე რიცხული ქონება.

აღნიშნული განკარგულებით განსაზღვრული არ არის, თუ როგორ უნდა დადგინდეს ასეთ შემთხვევაში, საფასური ამ ქონებით სარგებლობისათვის, რასაც ითხოვს საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 19 აგვისტოს N659 ბრძანებულებით დამტკიცებული „სახელმწიფო სარგებლობაში არსებული ქონების საპრივატიზებო, სარგებლობაში და მართვის უფლებით გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

ზემოხსენებული ქონებით სარგებლობისათვის წლიური საფასური სამინისტროს მიერ განსაზღვრულია ნარჩენი საბალანსო ღირებულების გათვალისწინებით, რაც მიზანშეუწონელია შემდეგი გარემოებების გამო:

ქ. თბილისში გულუას ქ. N10-ში მდებარე შენობის (სამინისტროს ძირითადი კორპუსი, 10 სართული, 19.6 ათასი კვ.მ. ფართით) ნარჩენი საბალანსო ღირებულება ხელშეკრულების გაფორმების დროისთვის შეადგენდა 1367.3 ათას ლარს. ვაჟა-ფშაველას გამზირზე N72-ში მდებარე შენობის (ე.წ. მოდულის შენობა, საერთო ფართი 21.9 კვ.მ.) ნარჩენი საბალანსო ღირებულება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

ფინანსური ანგარიშგება

2011 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 30 სექტემბერი

შეადგენდა 2531.5 ათას ლარს. აღნიშნული ღირებულებები აშკარად არ შეესაბამება მათ რეალურ საბაზრო ღირებულებებს. ეს შენობები აშენებულია გასული საუკუნის 80-იან წლებში და დღევანდელი ფულადი განზომილებებით არც მათი პირვანდელი ღირებულებაა რეალური (ფულის სხვა ერთეულის და კურსის გამო) და ცვეთის მრავალი წლის განმავლობაში დარიცხვაც განაპირობებს შეუსაბამოდ დაბალ ნარჩენ საბალანსო ღირებულებას. ანალოგიური სიტუაციაა ქ. თბილისში 9 აპრილის ქუჩა N4-ში მდებარე შენობასთან დაკავშირებითაც. აქედან გამომდინარე ნარჩენი საბალანსო ღირებულების გათვალისწინებით განსაზღვრული ქონების გადაცემის საფასური არ შეიძლება იყოს რეალური საბაზრო ფასი.

აქედან გამომდინარე მიზანშეწონილი იქნებოდა ქონების სარგებლობაში გადაცემის წლიური საფასური განსაზღვრული ყოფილიყო დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) შესაბამისი დასკვნის საფუძველზე.

უარყოფითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

უარყოფითი მოსაზრების საფუძველებში აღწერილი საკითხების გამო სამინისტროს საქმიანობა, მისი ფინანსური ოპერაციები და სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში, ხშირ შემთხვევაში შეუსაბამოა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუდიტის ანგარიში თანდართულ მასალებთან ერთად უნდა გადაეგზავნოს საქართველოს მთავარ პროკურატურას.

აუდიტორების ხელმოწერები

თარიღი

ხელმოწერა


წამყვანი აუდიტორი
თემურ ჩილინდრიშვილი

2.07.2013წ.




წამყვანი აუდიტორი
ვალერი სანაია

02.07.13წ.




უფროსი აუდიტორი
გია ნადარეიშვილი

02.07.2013წ.




აუდიტორი
მანანა დავითური

02.07.2013წ.




აუდიტორ - ასისტენტი
სალომე მანჯგალაძე

2.07.2013



აუდიტორ - ასისტენტი
ნიკოლოზ სხულუხია

2.07.2013



ფორმა N1 - ბალანსი

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

	შენიშვნა	31/12/2010	31/12/2011
აქტივები			
ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები			
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში		73994	52354
დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში		231216	471894
მოთხოვნები მივლინებით		143660	151090
მოთხოვნები დანაკლისებით		4640474	4623208
ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები		8468240	18255586
მოთხოვნები სხვა წინასწარი გადახდებით		18833614	16978292
სულ ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები		32,391,198	40,532,424
არაფინანსური აქტივები			
შენობა-ნაგებობები		21375476	20167981
მანქანა-დანადგარი და მოწყობილობები		18215598	21067689
სხვა ზირითადი აქტივები		103340	163280
დაუმთავრებელი მშენებლობა		2374139	9789836
სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები		44590588	46425588
სხვა მატერიალური მარაგები		83204430	83093422
არაწარმოებული აქტივები		620039	1397637
სულ არაფინანსური აქტივები		170,483,610	182,105,433
სულ აქტივები		202,874,808	222,637,857

ვალდებულებები და კაპიტალი

ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები

ფინანსური ვალდებულებები	231216	471894
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	2461672	2459243
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	446976	446976
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	509927	509927
გადასახდელი ხელფასები შტატით მომუშავეთათვის	7645919	7557871
ვალდებულებები მივლინებით	5958	5958
ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	126846	126846
სხვა დანარჩენი კრედიტორული დავალიანებები	249863	249862
სულ ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები	11,678,377	11,828,577

კაპიტალი

წმინდა ღირებულება	191196431	210809280
სულ კაპიტალი	191,196,431	210,809,280
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	202,874,808	222,637,857

საცნობარო მუხლები

პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	162133	161310
გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	259314	259314
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	4574523	5278817
ამორტიზებული ძირითადი აქტივები	4985728	4406124
ვადაგადაცილებული დავალიანებები	11447161	11356683
სულ	21,428,859	21,462,248

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

ფინანსური ანგარიშგება

2011 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 30 სექტემბერი

ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
1.1 შრომის ანაზღაურება	36,669,100.00	20,117,258.00	20,117,257.00	20,117,257.00	20,117,257.00	20,136,498.00	19,241.00
1.2 საქონელი და მომსახურება	75,488,800.00	80,337,877.00	80,337,876.00	80,337,876.00	80,337,876.00	26,995,504.00	(53,342,372.00)
1.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	-	-	1,145,882.00	1,145,882.00	1,145,882.00	1,145,882.00	-
1.2.2 მივლინებები	-	-	858,875.00	858,875.00	858,875.00	792,190.00	(66,685.00)
1.2.3 ოფისის ხარჯები	-	-	11,081,490.00	11,081,490.00	11,081,490.00	9,004,311.00	(2,077,179.00)
1.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	-	-	1,424,333.00	1,424,333.00	1,424,333.00	1,282,833.00	(141,500.00)
1.2.5 კვების ხარჯები	-	-	1,873,206.00	1,873,206.00	1,873,206.00	1,499,829.00	(373,377.00)
1.2.6 სამედიცინო ხარჯები	-	-	4,270.00	4,270.00	4,270.00	4,270.00	-
1.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან	-	-	1,662,292.00	1,662,292.00	1,662,292.00	337,877.00	(1,324,415.00)
1.2.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და	-	-	41,456,600.00	41,456,600.00	41,456,600.00	6,783,774.00	(34,672,826.00)
1.2.9 სამხედრო ტექნიკისა და ტყვია- წამლის შეძენის ხარჯები	-	-	4,830,365.00	4,830,365.00	4,830,365.00	598,071.00	(4,232,294.00)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

ფინანსური ანგარიშგება

2011 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 30 სექტემბერი

1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	-	-	16,000,563.00	16,000,563.00	16,000,563.00	5,546,467.00	(10,454,096.00)
1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	-	-	-	3,558,364.00	3,558,364.00
1.4 პროცენტი	-	-	-	-	-	-	-
1.5 სუბსიდიები	-	-	-	-	-	-	-
1.6 გრანტები	100,000.00	77,533.00	77,533.00	77,533.00	77,533.00	1,005,447.00	927,914.00
1.7 სოციალური უზრუნველყოფა	500,000.00	450,382.00	450,382.00	450,382.00	450,382.00	450,382.00	-
1.8 სხვა ხარჯები	6,920,000.00	6,120,128.00	6,120,128.00	6,120,128.00	6,120,128.00	6,267,184.00	147,056.00
სულ ხარჯები	119,677,900	107,103,178	107,103,176	107,103,176	107,103,176	58,413,379	-48,689,797

ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1.1 ძირითადი აქტივები	52,111,100.00	28,630,541.00	28,630,541.00	28,630,541.00	28,630,541.00
1.1.1 შენობა-ნაგებობები	52,111,100.00	28,630,541.00	15,015,567.00	15,015,567.00	15,015,567.00
1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები	52,111,100.00	28,630,541.00	7,828,966.00	7,828,966.00	7,828,966.00
1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	-	-	6,190,165.00	6,190,165.00	6,190,165.00
1.1.1.3 სხვა ნაგებობები	-	-	996,436.00	996,436.00	996,436.00
1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	-	-	13,418,928.00	13,418,928.00	13,418,928.00
1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	-	-	1,003,456.00	1,003,456.00	1,003,456.00
1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები	-	-	12,415,472.00	12,415,472.00	12,415,472.00

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

ფინანსური ანგარიშგება

2011 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 30 სექტემბერი

1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	-	-	196,046.00	196,046.00	196,046.00
1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	-	-	196,046.00	196,046.00	196,046.00
1.1.3.2.1 ლიცენზიები	-	-	37,576.00	37,576.00	37,576.00
1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	-	-	158,470.00	158,470.00	158,470.00
1.2 მატერიალური მარაგები	-	-	-	-	-
1.3 ფასეულობები	-	-	-	-	-
1.4 არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-	-
სულ არაფინანსური აქტივები	52,111,100	28,630,541	28,630,541	28,630,541	28,630,541

ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

წმინდა ღირებულება 31/12/2011	
სადებეტო ბრუნვა	
მომუშავეთა ანაზღაურება	20136498.00
საქონელი და მომსახურება	26995504.00
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	3558364.00
გრანტები	1005447.00
სოციალური უზრუნველყოფა	450382.00
სხვა ხარჯები	6267184.00
აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა	82467590.00
სხვა ეკონომიკური ნაკადები	8242368.00
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები *	92519.00
სულ სადებეტო ბრუნვა	149,215,856
საკრედიტო ბრუნვა	
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	135733717.00
შემოსავლები	10086016.00
აქტივების ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება	14878018.00
სხვა ეკონომიკური ნაკადები	8130954.00
სულ საკრედიტო ბრუნვა	168,828,705
წმინდა ღირებულების ცვლილება	19,612,849

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

ფინანსური ანგარიშგება

2011 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 30 სექტემბერი

ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

არაფინანსური აქტივების დასახელება	წამთი წლის დასაწყისისათვის	მიღება						გასვლა								წამთი წლის(პერიოდისთვის) ბოლოს
		შესყიდვით	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ	გრანტებით	სესაფუფულოდით	ტრანსფერებით გარდა გრანტებისა	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	საკუთარი სახსრებით	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე უსასყიდლოდ	ხელფასები სასაქონლო ფორმით	გრანტებით	სოციალური დახმარებებით	სხვა ხარჯებით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონელი და მომსახურებით

ძირითადი აქტივები

შენიშნა-ნაგებობები	21,375,476	515,001	546,540	-	-	4,834,988	-	6,246,769	-	37,847	-	89,892	267,898	461,618	-	20,167,981
საცხოვრებელი შენობები	460,870	-	-	-	-	-	-	-	-	37,847	-	89,892	-	2,686	-	330,445
არასაცხ. შენობები	19,286,775	121,773	546,540	-	-	4,105,238	-	6,109,942	-	-	-	-	35,434	316,923	-	17,598,027
სხვა ნაგებობები	1,627,831	393,228	-	-	-	729,750	-	136,827	-	-	-	-	232,464	142,009	-	2,239,509
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	18,215,598	14,408,725	13,844,542	6,590,521	3,408,204	2,102,158	8,473	31,513,743	-	415,563	4,300	10,364	2,925,477	2,641,085	-	21,067,689
სატრანსპორტო საშუალებები	9,687,009	1,163,942	13,782,705	6,590,521	2,691,504	2,058,354	8,473	21,334,066	-	364,146	-	-	2,737,925	1,837,513	-	9,708,858
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	8,528,589	13,244,783	61,837	-	716,700	43,804	-	10,179,677	-	51,417	4,300	10,364	187,552	803,572	-	11,358,831
სხვა ძირითადი აქტივები	103,340	188,630	-	-	-	11,304	-	139,994	-	-	-	-	-	-	-	163,280

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

ფინანსური ანგარიშგება

2011 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 30 სექტემბერი

კულტივირებული აქტივები	-	-	-	-	-	11,304	-	11,304	-	-	-	-	-	-	-	-
არამატერიალური ძირითადი აქტივები	103,340	188,630	-	-	-	-	-	128,690	-	-	-	-	-	-	-	163,280
დაუმთავრებელი მშენებლობა	2,374,139	12,401,843	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	4,986,146	-	-	9,789,836
სხვა დანარჩენი აქტივები	44,590,588	2,265,384	27,612	-	15,070	190,144	-	186,308	-	-	1,989	-	19,252	455,661	-	46,425,588
სულ ძირითადი აქტივები	86,659,141	29,779,583	14,418,694	6,590,521	3,423,274	7,138,594	8,473	38,086,814	-	453,410	6,289	100,256	8,198,773	3,558,364	-	97,614,374

მატერიალური მარაგები	83,204,430	51,612,348	96,340	-	72,221	9,230	-	44,021,725	250,800	474,504	-	4,000	-	-	7,150,118	83,093,422
სულ მატერიალური მარაგები	83,204,430	51,612,348	96,340	-	72,221	9,230	-	44,021,725	250,800	474,504	-	4,000	-	-	7,150,118	83,093,422

არაწარმოებული აქტივები	620,039	-	362,984	-	-	781,530	-	359,051	-	-	-	-	7,865.00	-	-	1,397,637.00
სულ არაწარმოებული აქტივები	620,039	-	362,984	-	-	781,530	-	359,051	-	-	-	-	7,865.00	-	-	1,397,637.00

ფორმა N5.1 - ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ 2011

საანგარიშო პერიოდისთვის რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დასახელება	მოგება ფლობიდან კრედიტი (8100)	ზარალი ფლობიდან დებეტი (8100)	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით ზრდა კრედიტი (8200)	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით კლება დებეტი (8200)
ფინანსური აქტივები	6,567.00	5,821.00	32,123.00	23,620.00
სხვა დებიტორული დავალიანებები	6,567.00	5,821.00	32,123.00	23,620.00
ფინანსური ვალდებულებები	-	-	154,437.00	-
სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	-	154,437.00	-

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

ფინანსური ანგარიშგება

2011 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 30 სექტემბერი

ფორმა N6 - ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

მაჩვენებელთა დასახელება	ბიუჯეტით		არასაბიუჯეტო სახსრებით		სულ	
	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები
სატრანსპორტო ერთეულთა საშუალო წლიური რაოდენობა სულ: 496	41456600	6783774			41,456,600	6,783,774
მ.შ. მსუბუქი მანქანები სულ: 449	6140957	6140958			6,140,957	6,140,958
<i>აქედან</i>						
ა) პერსონალური სარგებლობის: 20	221304	221305	-	-	221304	221304
ბ) სამსახურებრივი მიმოსვლის 429	5919653	5919653	-	-	5919653	5919653
გ) ოპერატიული და სპეცდანიშნულების:	-	-	-	-	-	-

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

ფინანსური ანგარიშგება

2011 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 30 სექტემბერი

ფორმა N1 - ბალანსი

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 1 ოქტომბერს

	შენიშვნა	31/12/2011	01/10/2012
აქტივები			
ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები			
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში		52354	1347792
დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში		471894	91241
მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით			52340
მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით		182425	182425
მოთხოვნები წინასწარი გადახდებით		11708106	6924891
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით		4440783	3878128
ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები		18255586	9178172
მომუშავეების მიმართ მოთხოვნები		151090	65925
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები		5270186	5034166
სულ ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები		40,532,424	26,755,080
არაფინანსური აქტივები			
სხვა მატერიალური მარაგები		65320112	76021743
შენობა-ნაგებობები		20167981	44057266
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		67493277	71678981
სხვა ძირითადი აქტივები		163280	1025170
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი		9789836	12708501
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები		17773310	20232142
არაწარმოებული აქტივები		1397637	1725013
სულ არაფინანსური აქტივები		182,105,433	227,448,816
სულ აქტივები		222,637,857	254,203,896

ვალდებულებები და კაპიტალი

ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები

მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	471894	91242
აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	1918	813637
ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	126846	126846
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	11227919	11153276
სულ ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები	11,828,577	12,185,001

კაპიტალი

წმინდა ღირებულება	210809280	241694014
სულ კაპიტალი	210,809,280	241,694,014
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	222,637,857	253,879,015

საცნობარო მუხლები

პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	161310	313981
გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	259314	259314
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	2284637	2904298
ამორტიზებული ძირითადი აქტივები	4406124	4842182
ვადაგადაცილებული დავალიანებები	11356683	11280122
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2994180	3840283
სულ	21,462,248	23,440,180

ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

საანგარიშო პერიოდისათვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 1 ოქტომბერს

ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
1.1 შრომის ანაზღაურება	36880800	26206907	15401434	15401434	15401434	15409440	8006
1.2 საქონელი და მომსახურება	80800000	66006939	66006609	63733743	63733743	34525650	-29208093
1.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება			736908	736908	736908	736908	0
1.2.2 მივლინებები			625644	625644	625644	615994	-9650
1.2.3 ოფისის ხარჯები			13308452	12065123	12065123	7498178	-4566945
1.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები			1264653	902702	902702	924620	21918
1.2.5 კვების ხარჯები			1307609	1202912	1202912	1101053	-101859
1.2.6 სამედიცინო ხარჯები			14584	1735	1735	235	-1500
1.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან			4319595	4007164	4007164	244687	-3762477

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

ფინანსური ანგარიშგება

2011 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 30 სექტემბერი

1.2.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და	31797196	31675785	31675785	5081624	-26594161
1.2.9სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები	1850761	1850761	1850761		-1850761
1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	10781207	10665009	10665009	18322351	7657342
1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება				10529	10529
1.4 პროცენტი					0
1.5 სუბსიდიები					0
1.6 გრანტები	100000	80000	32991	32991	32991
1.7 სოციალური უზრუნველყოფა	740000	170954	147693	147693	147693
1.8 სხვა ხარჯები	12871500	9160732	9150656	8252028	8252028
სულ ხარჯები	131,392,300	101,625,532	90739383	87567889	87567889
				58930347	-28637542

ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

საანგარიშო პერიოდისათვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 1 ოქტომბერს

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1.1 ძირითადი აქტივები	37,630,000.00	24,917,159.00	24,917,159.00	21,003,882.00	21,003,882.00
1.1.1 შენობა-ნაგებობები	37,630,000.00	24,917,159.00	11,510,904.00	8,584,344.00	8,584,344.00
1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები	37,630,000.00	24,917,159.00	1,282,707.00	354,707.00	354,707.00
1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	-	-	9,658,241.00	7,959,892.00	7,959,892.00
1.1.1.8 საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	-	-	177,058.00	107,070.00	107,070.00
1.1.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები	-	-	392,898.00	162,675.00	162,675.00
1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	-	-	13,007,038.00	12,020,321.00	12,020,321.00
1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	-	-	4,473,971.00	4,468,191.00	4,468,191.00
1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები	-	-	8,533,067.00	7,552,130.00	7,552,130.00
1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	-	-			

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

ფინანსური ანგარიშგება

2011 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 30 სექტემბერი

			399,217.00	399,217.00	399,217.00
1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	-	-	399,217.00	399,217.00	399,217.00
1.1.3.2.1 ლიცენზიები	-	-	150.00	150.00	150.00
1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	-	-	399,067.00	399,067.00	399,067.00
1.2 მატერიალური მარაგები	-	-	-	-	-
1.3 ფასეულობები	-	-	-	-	-
1.4 არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-	-
სულ არაფინანსური აქტივები	37,630,000	24,917,159	24,917,159	21,003,882	21,003,882

ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

საანგარიშო პერიოდისათვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 1 ოქტომბერს

წმინდა ღირებულება 31/12/2011

სადებეტო ბრუნვა

მომუშავეთა ანაზღაურება	15409439.00
საქონელი და მომსახურება	34525648.00
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	10529.00
გრანტები	354113.00
სოციალური უზრუნველყოფა	147693.00
სხვა ხარჯები	8482922.00
აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა	53899318
სხვა ეკონომიკური ნაკადები	9839651.00
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	226102.00
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	146439.00
სულ სადებეტო ბრუნვა	123,041,854

საკრედიტო ბრუნვა

ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	108571772.00
შემოსავლები	11463963.00
აქტივების ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება	20029494.00
სხვა ეკონომიკური ნაკადები	13861359.00
სულ საკრედიტო ბრუნვა	153,926,588
წმინდა ღირებულების ცვლილება	30,884,734

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

ფინანსური ანგარიშგება

2011 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 30 სექტემბერი

ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	მიღება							ნაშთი წლის(პერიოდისთვის) ბოლოს
		შესყიდვით	ბარტერით	იმავ დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ	გრანტებით	სხვა შემოსავლებით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	*სხვა მიღებები	
მატერიალური მარაგები	65,320,112	40,137,120	-	185,530	-	74,840	4,007,489	213	76,021,743
ნედლეული და მასალები	42,538	-	-	7,434	-	-	-	-	49,903
ფულადი დოკუმენტები	11,158,312	29,594,800	-	1,872	-	-	42,050	-	10,687,327
სათადარიგო ნაწილები	527,607	1,245,985	-	83,562	-	-	800	-	1,578,788
სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები	53,591,655	9,296,335	-	92,662	-	74,840	3,964,639	213	63,705,725
სულ მატერიალური მარაგები	130,640,224	80,274,240	-	371,060	-	149,680	8,014,978	426	152,043,486
ძირითადი აქტივები	97,614,374	25,717,012	403,763	18,685,767	188,500	11,127,161	9,323,986	1,592,565	129,469,918

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

ფინანსური ანგარიშგება

2011 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 30 სექტემბერი

შენობა-ნაგებობები	20,167,981	1,252,342	-	9,589,868	-	9,712,174	7,671,307	-	44,057,266
საცხოვრებელი შენობები	330,445	-	-	866,398	-	7,632,068	6,289,603	-	15,033,776
არასაცხოვრებელი შენობები	17,598,027	956,606	-	8,631,575	-	2,080,106	1,277,463	-	26,683,910
სხვა შენობა-ნაგებობები	2,239,509	295,736	-	91,895	-	-	104,241	-	2,339,580
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	67,493,277	12,895,315	403,763	9,095,899	188,500	1,414,987	1,652,679	1,592,565	71,678,981
სატრანსპორტო საშუალებები	9,708,858	3,452,152	403,763	8,857,847	188,500	1,360,451	340,452	-	11,421,300
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	57,784,419	9,443,163	-	238,052	-	54,536	1,312,227	1,592,565	60,257,681
სხვა ძირითადი აქტივები	163,280	979,382	-	-	-	-	-	-	1,025,170
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	9,789,836	10,589,973	-	-	-	-	-	-	12,708,501
სულ ძირითადი აქტივები	282,890,006	65,581,681	1,211,289	56,057,301	565,500	33,381,483	27,971,958	4,777,695	374,676,083

გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	17,773,310	4,224,253	-	48,498	46,920	26,542	244,076	-	20,232,142
სულ გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	17,773,310	4,224,253	-	48,498	46,920	26,542	244,076	-	20,232,142

არაწარმოებული აქტივები	1,397,637	-	-	425,856	-	-	-	-	1,725,013
სულ არაწარმოებული აქტივები	1,397,637	-	-	425,856	-	-	-	-	1,725,013

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

ფინანსური ანგარიშგება

2011 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 30 სექტემბერი

* აღირიცხება სადაზღვევო კომპანიებზე აქტივების მიღება/მიწოდება, ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციაში გადატანა და არაფინანსური აქტივების სხვა მოძრაობები

არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	გასვლა							
		ბარტერით	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე უსასყიდლოდ	გრანტებით	სხვა ხარჯებით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონელი და მომსახურებით	*სხვა გასვლები
მატერიალური მარაგები	65,320,112	-	28,597,931	1,862	-	250,914	-	4,852,641	213
ნედლეული და მასალები	42,538	-	-	-	-	-	-	69	-
ფულადი დოკუმენტები	11,158,312	-	26,460,113	-	-	2,700	-	3,646,894	-
სათადარიგო ნაწილები	527,607	-	16,355	-	-	-	-	262,811	-
სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები	53,591,655	-	2,121,463	1,862	-	248,214	-	942,867	213
სულ მატერიალური მარაგები	130,640,224	-	57,195,862	3,724	-	501,828	-	9,705,282	426

ძირითადი აქტივები	97,614,374	403,763	23,778,349	312,409	192,480	8,893,115	10,529	-	1,592,565
შენობა-ნაგებობები	20,167,981	-	4,251,668	-	84,738	-	-	-	-

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

ფინანსური ანგარიშგება

2011 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 30 სექტემბერი

საცხოვრებელი შენობები	330,445	-	-	-	84,738	-	-	-	-
არასაცხოვრებელი შენობები	17,598,027	-	3,859,867	-	-	-	-	-	-
სხვა შენობა-ნაგებობები	2,239,509	-	391,801	-	-	-	-	-	-
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	67,493,277	403,763	19,409,189	312,409	107,742	1,221,807	10,529	-	1,592,565
სატრანსპორტო საშუალებები	9,708,858	403,763	11,182,017	311,708	-	982,749	10,486	-	-
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	57,784,419	-	8,227,172	701	107,742	239,058	43	-	1,592,565
სხვა ძირითადი აქტივები	163,280	-	117,492	-	-	-	-	-	-
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	9,789,836	-	-	-	-	7,671,308	-	-	-
სულ ძირითადი აქტივები	282,890,006	1,211,289	71,217,555	937,227	577,440	19,008,037	31,587	-	4,777,695

გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	17,773,310	-	1,424,559	6,850	-	115,904	-	584,144	-
სულ გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	17,773,310	-	1,424,559	6,850	-	115,904	-	584,144	-

არაწარმოებული აქტივები	1,397,637	-	98,480	-	-	-	-	-	-
სულ არაწარმოებული აქტივები	1,397,637	-	98,480	-	-	-	-	-	-

* აღირიცხება სადაზღვევო კომპანიებზე აქტივების მიღება/მიწოდება, ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციაში გადატანა და არაფინანსური აქტივების სხვა მოძრაობები

ფორმა N5.1 - ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ 2011

საანგარიშო პერიოდისათვის რომელიც დასრულდა 2012 წლის 1 ოქტომბერს

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დასახელება	მოგება ფლობიდან კრედიტი (8100)	ზარალი ფლობიდან დებეტი (8100)	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით ზრდა კრედიტი (8200)	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით კლება დებეტი (8200)
ფინანსური აქტივები	-	943.00	148,535.00	578,774.00
სხვა დებიტორული დავალიანებები	-	943.00	148,535.00	578,774.00
ფინანსური ვალდებულებები	-	-	137,273.00	-
სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	-	137,273.00	-

ფორმა N6 - ანგარიში ავტომაქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ

საანგარიშო პერიოდისათვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 1 ოქტომბერს

დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში (რაოდენობა)		საანგარიშო პერიოდში მიღება		საანგარიშო პერიოდში გასვლა		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)			
	მუშა მდგომარეობაში	არამუშა მდგომარეობაში	შემენა	სხვა სახით მიღება	ექსპლუატაციიდან გასული	სხვა სახით გასული	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგო ნაწილები
სატრანსპორტო საშუალება სულ:	498	80	45	663	33	612	31675785	1274532	28490040	1292830	1307662	1394838	3336688	262811
მ.შ. მსუბუქი	312	-	20	379	20	400	-	-	-	-	1,793,277	714,021	1,925,368	142,510
ჯიპები და პიკაპები	135	-	25	204	4	160	-	-	-	-	1,097,966	465,832	1,017,146	96,688
სატვირთო	22	-	-	11	2	6	-	-	-	-	73,383	31,370	83,433	12,695

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

ფინანსური ანგარიშგება

2011 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 30 სექტემბერი

მანქანა- დანადგარები და ინვენტარი და საოფისე ტექნიკა სულ:	388649	6,733	3,891	1,177	43,282	6,458	104,639	104,639	-	-	104,639	104,639	-	-
მობილური ტელეფონები	940	25	76	22	92	238	55	55	-	-	55	55	-	-
ტელევიზორები	431	92	181	82	118	119	-	-	-	-	-	-	-	-
კომპიუტერები	6720	337	2,488	139	371	7,042	9,137	9,137	-	-	9,137	9,137	-	-

